MEMBER OF GAA HOLDING
HONDA TBILISI
WWW.HONDA.COM.GE
255 10 50 | 577 21 15 09
SENA AUTO GROUP

OFFSIDE

3 2015

4₾

სპორტის ლეგენდები:
ვიქტორ სენა

როკი მარჩიანო
გაგა ნახუცრიშვილის ბლოგი

healthy HAIR CENTER

ტოტალური
ფეხბურთის მამები

ზაზა ფარულია

იოჰან კრუიფის
"ფეხბურთის ფილოსოფია"

THE **MECHANICAL REVOLUTION** OF **SWATCH**

SISTEM51

swatch® ubmhn®

სარჩევი



10 მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენები

17 HAIR

20 ტოტალური ფეხბურთის მამები

24 წასვლები და ცარიელი სკამი

27 ზაზა ფაჩულია

32 Rocky Marciano

36 THE ONE

40 პანჩო გონსალესი
გენიოსი და მარტოხელა მგელი

44 60's
1966 ჩემი პირველი ჩემპიონატი

სარჩევი

48 **ოქროს ბიჭები**

56 პანტა პუნტის საოცრება

60 ღმერთების დასასრული

62 **პირტონ სენა**

70 *ცხენების ჩმა*

74 ინტელექტუალური თამაში

78 **იოჰან კრუიფის „ფეხბურთის ფილოსოფია“**

80 **ვენდეტა არგენტინაულად**

84 ფრანგი გამთამაშებლის *სასიკვდილო დასტვლილი*

86 **მსმელები**



21
Twenty One
FashionStore

Tbilisi
D. Agmashenebeli ave. 80
tel. 2960034

facebook.com/21fashionstore

Twenty One FashionStore - ეს მამაკაცის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მაღაზიაა Casual და Vintage სტილში.

Casual-ის სტილი გულისხმობს დემოკრატიზმს, ტანსაცმელში მთავარია სილაღე და თავისუფლება.

Casual- ინგლისურიდან ქართულად ნიშნავს ყოველდღიურს, ქალაქურს. ამ სტილის ძირითად პრინციპს ელეგანტური დაუდევრობა წარმოადგენს.

Casual - ეს ყოველდღიური ტანსაცმელია.

ამ სეგმენტში ჩვენ წარმოგიდგენთ ნაკლებად ცნობილ ბრენდებს ევროპიდან, აშშ-დან და იაპონიიდან.

მამაკაცის ტანსაცმელი Vintage (ნიშნავს მოძველებულ ღვინოს) სტილში - ეს არის სტილიზებული მიმართულება მოდაში, რომელიც იყენებს წარსულში მოდურ ტენდენციებს.

Vintage- ამარტივებს იმ სტილებსა და დეტალებს, რომლებიც გამოიყენებოდა წარსულის თანამედროვეობაში. აქედან გამომდინარე, ტანსაცმელი საინტერესო და ორიგინალურია, ამასთან ასეთი ტანსაცმელი არ გამოიყურება ექსტრავაგანტულად.

ამ სეგმენტში ჩვენ გთავაზობთ ნაკლებად ცნობილ ბრენდებს იაპონიიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან და ინგლისიდან.

ALLSAINTS
SPITALFIELDS

AllSaints Spitalfields - ეს არის ბრიტანული ბრენდი, რომელიც აწარმოებს და ყიდის ულტრამოდურ, ნატურალური ქსოვილებისგან შეკერილ ყოველდღიურ ტანსაცმელს, „ლონდონის ქუჩის“ სტილში. ეს არის საოცარი შერწყმა არისტოკრატიზმისა და გრანჟის (დაუდევარი, უწესრიგო)!

AllSaints Spitalfields - იზიდავს თავისი განუმეორებელი ორიგინალურობით, ხაზებისა და სილუეტების მრავალფეროვნებით, აგრეთვე მასალისა და დამზადებისუმაღლესი ხარისხით.

AllSaints Spitalfields - ტანსაცმელი პოპულარული გახდა სხვადასხვა ასაკის მამაკაცებისთვის, რომლებიც გამოირჩევიან დამოუკიდებელი აზროვნებითა და საკუთარი უნიკალური სტილის შექმნის სურვილით.

MiXLiMiTED

Mix Limited - ეს არის იაპონელი დიზაინერების შრომის შედეგი, რომლებმაც გააერთიანეს თავიანთი ნიჭი ერთ ბრენდში.

Mix Limited-ს მამაკაცის ტანსაცმლის კოლექციაში გამოიყენება ნატურალური ქსოვილები, ორიგინალური დიზაინი, რომელშიც დაჭერილია იაპონური კულტურის ელემენტები.

სამოსის შექმნის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსართავის დეტალებს.

Twenty One
McGREGOR

მამაკაცის ტანსაცმლის - „Twenty One by McGregor-ის” შეზღუდული კოლექცია აშშ-დან.

ეს ექსპერიმენტული კოლექცია შექმნეს ამერიკელმა დიზაინერებმა მხოლოდ ერთხელ, ევროპაშიც კი შეუძლებელია მისი შეძენა.

უნიკალური ქსოვილები და ექსკლუზიური მოდელები. სიძველის ბრწყინვალება, ხელით მორთვა და ქსოვილების უმაღლესი ხარისხი. პრემიუმ ხარისხი ხელმისაწვდომ ფასად.

და ეს კიდევ ყველაფერი არ არის!



წინა ნომრის გამოსვლიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა. ამ პერიოდში მოსაყოლიც ბევრი დაგროვდა და სალაპარაკოც. პირველ რიგში, უეფას სუპერთასის მატჩი უნდა აღვნიშნოთ, რომლის ეიფორიიდან კვლავაც ვერ გამოვდივარ. ეს იყო ნამდვილი საფეხბურთო ზეიმი, ისტორიული შეხვედრა ჩემი სახლიდან სულ რაღაც 50 მეტრში. წარმოუდგენელია. საფეხბურთო მხარეზე ყურადღებას აღარ გავამახვილებ. ყველამ იცის, თუ როგორ განვითარდა მოვლენები. მთავარი, რისი გამოყოფაც მინდა, არის ის განწყობა, რომელიც 12 ივნისს ქალაქში სუფევდა. ეს იყო ნამდვილი დღესასწაული, რომელიც ჩემთან სამუდამოდ დარჩება. ცალკე აღნიშვნის ღირსია ღონისძიების ორგანიზაციული მხარე. დიდი მადლობა ყველას, ვინც ამაში მცირე წვლილი მაინც შეიტანა: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, უეფას, მოხალისეებსა და, რა თქმა უნდა, გულშემატკივარს. კარგი იქნება, თუ ასეთი მატჩების ნახვის საშუალება ხშირად მოგვეცემა და თუნდაც საკლუბო და სანაკრებო თამაშებიც ასე კარგად ორგანიზებული იქნება.

როდესაც ორგანიზაციულ საკითხებზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, რომელიც თბილისში სულ ცოტა ხნის წინ ჩატარდა. პატარა ლაფსუსებს ყურადღებას თუ არ მივაქცევთ, აქაც ყველაფერი რიგზე იყო. შეგვძლებია რაღაც ქართველებს, გასახარია ნამდვილად, იმედისმომცემი.

აი, იმედისმომცემი რა არ არის და ქართული ფეხბურთის მდგომარეობა. სანაკრებო რეიტინგში ისეთი ქვეყნები გვისწრებენ, როგორებიც არიან: სენტ ლუსია, სენტ კიტსი, სენტ ვინსენტი, არუბა, კუროსაო და ბევრი სხვა. საკლუბო დონეზე კი ოთხივე გუნდი ევროთასების საკვალიფიკაციო რაუნდის პირველივე წრეში გამოეთიშა ასპარეზობას. ასეთი რამ, მგონი, არასოდეს მომხდარა. ეს უკვე მოჯადოებული წრეც აღარ არის, უკან და უკან მივდივართ. ერთადერთი, რაც შეიძლება გვაიმედებდეს, არის ის, რომ ამაზე ცუდი უკვე აღარაფერია. არადა, ზოგ-ზოგიერთებს რომ უსმინო, გეგონება, ქვეყანაში ფეხბურთი ვითარდება და წინ მიდის. ყველაზე ტრაგიკული ის არის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაშვებული იქნა უამრავი შეცდომა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იყო გაანალიზებული. 25 წლის განმავლობაში ყველა გადაწყვეტილება, ინფრასტრუქტურის განვითარებით დაწყებული, მწვრთნელების დანიშვნით დამთავრებული, იყო ინფანტილური და არც ერთი მათგანი არ ექვემდებარებოდა საერთო ხედვასა და სტრატეგიას. ან როგორ უნდა დაქვემდებარებოდა, როდესაც ასეთი რამ საერთოდ არ გაგვაჩნია. 25 წლის განმავლობაში არ შემუშავებულა არანაირი გრძელვადიანი გეგმა, თუ როგორ უნდა განვითარდეს ფეხბურთი. საერთოდ, რაზე ვლაპარაკობთ?

საუბარი ისევ ნეგატიურად რომ არ დავასრულოთ, გავიხსენოთ რამდენიმე დადებითი მომენტიც. პირველ რიგში, აღსანიშნავია ახალგაზრდა ქართველი ჩოგბურთელის, ნიკოლოზ ბასილაშვილის შესანიშნავი თამაში. ძალიან გასახარია, რომ გამოჩნდა ქართველი ჩოგბურთელი, რომელსაც ნებისმიერი მეტოქისთვის შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა. ასევე გამოვყოთ ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე მოასპარეზე ძიუდოს გოგონების ნაკრები. მათი ასეთი წარმატება მართლაც სასიამოვნო სიურპრიზი იყო და იმედია, მომავალში ოლიმპიადებზე ძიუდოისტ ვაჟებთან ერთად, გოგონებიც საქართველოს არაერთ მედალს მოუტანენ.

სხვა რა გითხრათ, მალე ახალი სეზონი გახურდება, „ჰფფსიდე“ კი გააგრძელებს თქვენთვის იმ სპორტული ისტორიებისა და ამბების მოყოლას, რომლებიც ხანდახან გულშემატკივრის ყურადღების მიღმა რჩება, მაგრამ დროსთან ერთად მნიშვნელობას არ კარგავს.

OFFSIDE

მთავარი რედაქტორი:
გიორგი ზურაბიშვილი

დიზაინი:
ნინო ჭინჭარაული

ტექნიკური რედაქტორი:
ნიკოლოზ ბაბრატიონი

სტილი:
მარინა ყიფშიძე

ფოტო: AFP

კომერციული დირექტორი:
ნაზი გოშაძე

გაყიდვების სამსახური:
ქეთევან დონდუა
თეა ჭელიძე
თორნიკე იოსელიანი

ჟურნალის კონცეფციაზე მუშაობდნენ:
ბიძინა ბარათაშვილი
ლევან სალუქვაძე
დავით კოვზირიძე

გამომცემელი:

FFG FIRST FLOOR GROUP

გეჟდვა: შპს "კონტროლ ჯე"
ტელ: +995 32 2 38 19 08

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს OFFSIDE-ის საკუთრებას. ჟურნალში წარმოდგენილი ნებისმიერი მასალის გამოყენება რედაქციის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია. გამოცემის სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ჟურნალი OFFSIDE არ იღებს პასუხისმგებლობას სარეკლამო ტექსტების შინაარსზე.

მისამართი:
თბილისი, მცხეთის ქ. №19/21;
ტელ.: +995 32 2 38 19 08
ელ-ფოსტა: info@ffg.com.ge

Outdoor.ge

წ ა რ მ ო გ ი დ გ ე ნ თ

რუბრიკას: "ჯანსაღი 7 წამი"

მ თ ა ვ ა რ რ ო ლ შ ი

ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ა ს ი ლ ა შ ვ ი ლ ი

(ჩოგბურთელი)

სპორტი ჩემთვის: პროფესიაა, საიდანაც დიდ სიამოვნებას ვიღებ.

ჯანსაღი ცხოვრების რეკლამას: რეკლმას როგორს გავაკეთებდი არ ვიცი. თუმცა, ჯანსაღი ცხოვრებისთვის 15 წუთი სირბილიც კი, საკმარისია...

სლოგანი: "ყველაზე დიდი ნიჭი არის შრომისმოყვარეობა".

P.S. ან, კარს მიღმა (OutdooR):

მხოლოდ ოჯახია... თავისუფალ დროს, ყოველთვის, მათ გარემოცვაში ვატარებ. :)

HAIR

მსოფლიოს ყველაზე
მაღალანაზღაურებადი სპორტსმენები

Jenny Thompson

10

ჯენი თომპსონი (აშშ, ცურვა)

მასაჩუსეტსის შტატში დაბადებულმა ჯენიფერ ბეთ თომპსონმა საერთაშორისო არენაზე პირველად ძალები 14 წლის ასაკში, 1987 წელს მოსინჯა, როდესაც პანამერიკულ თამაშებში, თავისუფალი სტილით მოცურავეთა შორის, 50-მეტრიანი დისტანცია ყველაზე უკეთ გაცურა, 100 მეტრზე კი მესამე შედეგი აჩვენა. მსოფლიო ჩემპიონის პირველი ოქროს მედალი ჯენიმ 1991 წელს ისევ ფრისტაილში დაისაკუთრა, როდესაც თავის თანაგუნდელებთან ერთად 4100 მეტრზე შეჯიბრი მოიგო. 1992 წელს ბარსელონაში გამართულ ოლიმპიადაზე თომპსონმა ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა – 50 და 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. საერთო ჯამში, თომპსონს 12 მედალი დაუგროვდა, რომელთაგან 8 ოქროსია, 3 ვერცხლის, ერთი კი ბრინჯაოსი.

Sawao Kato

9

სავაო კატო (იაპონია, ტანვარჯიში)

ანალოგიურ შედეგებს მიაღწია იაპონელმა ტანმოვარჯიშემ, სავაო კატომ, თუმცა, ჯენი თომპსონისგან განსხვავებით, ამისათვის მას მხოლოდ 3 ოლიმპიადა დასჭირდა. ნიიგატას პრეფექტურაში დაბადებულმა კატომ პირველად ოლიმპიურ თამაშებში 1968 წელს მეხიკოში მიიღო მონაწილეობა. იმ პერიოდში იაპონიას ტანმოვარჯიშეთა საუკეთესო გუნდი ჰყავდა. ამომავალი მზის ქვეყანამ გუნდურ ჩათვლაში იმარჯვა, ინდივიდუალურში კი საუკეთესო სწორედ სავაო კატო იყო. მან ერთი ოქრო და ერთი ბრინჯაო მოიპოვა.
ოთხი წლის შემდეგ მიუნხენში კატომ კიდევ სამი მედალი დაისაკუთრა: 1 გუნდური ოქრო, 1 ინდივიდუალური ოქრო და ერთიც ინდივიდუალური ვერცხლი. 1976 წელს კატო საბჭოთა სპორტსმენმა, ნიკოლაი ანდრიანოვმა დაამარცხა, თუმცა იაპონიამ ისევ იმარჯვა გუნდურ ჩათვლაში და კატოს კიდევ ერთი ოქროს მედალი ერგო.
საერთო ჯამში, მისი მონაგარია 8 ოქრო, 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაო.

HAIR

მწვანე ტერასა
GREEN TERRACE
Address: Kekelidze str. 11 / Tel: (+995 32) 2 24 02 03
www.greenterrace.ge

Birgit Fischer

8

ბირგიტ ფიშერი (გერმანია, კანოე)

აღმოსავლეთ გერმანიაში დაბადებული სპორტსმენი ბირგიტ ფიშერი ექვს ოლიმპიადაში მონაწილეობდა (1984 წლის ლოს ანჯელესის თამაშები მან საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირეების მიერ გამოცხადებული ბოიკოტის გამო გამოტოვა) და 8 ოქროს მედალი მოიპოვა. თავისი პირველი ორი ოლიმპიადა ფიშერმა აღმოსავლეთ გერმანიის სახელით ჩაატარა, შემდეგი ოთხი კი – გაერთიანებული გერმანიის სახელით. 1988 და 2002 წლებში მან სპორტიდან წასვლის შესახებ განცხადებები გააკეთა, თუმცა, ორივე შემთხვევაში, მომდევნო ოლიმპიურ თამაშებში კვლავ დაუბრუნდა საკუთარ გუნდს. ის ერთდროულად არის კანოეში მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა (18 წელი) და ყველაზე ხანდაზმული (42 წელი) ოლიმპიური ჩემპიონი. 2004 წელს ფიშერი გერმანიაში წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს. თავის 8 ოქროს მედალს კარიერის განმავლობაში ფიშერმა კიდევ 4 ვერცხლის მედალიც დაუმატა.

Bjorn Daehlie

7

ბიორნ დელი (ნორვეგია, სათხლამურო რბოლა)

8 ოქრო და 4 ვერცხლი აქვს ასევე ნორვეგიელ მოთხილამურე ბიორნ ერლენდ დელის, თუმცა მან ეს ჯილდოები სამ ოლიმპიადაზე დააგროვა. 1967 წელს დაბადებულმა სპორტსმენმა 1992-1999 წლებში ჩრდილოეთის მსოფლიოს თასი ექვსჯერ მოიგო, 1994 და 1998 წლებში კი მეორე ადგილი დაიკავა. საერთო ჯამში, დელიმ 29 ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონატის მედალი მოიპოვა, რითაც ის ისტორიაში საუკეთესო მორბენალ-მოთხილამურედ ითვლება. გარდა ამისა, თავის მშობლიურ ნორვეგიაში დელიმ სახელი ბიზნესმენობითაც გაითქვა. უძრავი ქონებისა და მოდის სფეროში მასზე უფრო ცნობილი პიროვნება ნორვეგიაში არ არსებობს. დელი სარეკლამო კამპანიებშიც მონაწილეობს და ერთ-ერთი სატელევიზიო შოუს თანაწამყვანიცაა. დიდ სპორტს ის 1998 წელს, იაპონურ ნაგანოში გამართული ოლიმპიადის შემდეგ დაემშვიდობა.

LG G4

– See the Great, Feel the Great!

- ჩვენი უახლესი ფლაგმანი **LG G4** საქართველოში ოფიციალურად ივნისში ჩაეშვა გაყიდვაში. მისი დახვეწილი დიზაინი და უნიკალური ფუნქციები, ყველა საქმიანი და ტელქნოლოგიების მოყვარული ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი უკვე გახდა.
- სმარტფონის უკანა მხარე დაფარულია უმაღლესი ხარისხის, ნამდვილი გერმანული ტყავით, რომელსაც იყენებენ მსოფლიოში ცნობილი ბრენდები: **Louis Vuitton, Rolls Royce, Ferrari** და ა.შ.
- მას ასევე აქვს დაზიანებისგან დამცავი საფარი.
- **G4**-ის კამერა დღესდღეობით ყველაზე გამორჩეულია თავისი 16 მეგაპიქსელიანი **F1.8** კამერის გადაღების უნარით, რითიც უთანაბრდება პროფესიონალურ ფოტოაპარატს. რის გამოც ის ფოტოგრაფიით გატაცებული ადამიანებისთვისაც უკვე ძალიან პოპულარული გახდა,
- **LG G4** -ის შეძენა შესაძლებელია ჩვენი ოფიციალური პარტნიორების მაღაზიებში: არაი თუმოროუ, მეტრო მარტის მაღაზიათა ქსელი, ალტა, ელიტ ელექტრონიქსი და **LG**-ის ოფიციალური ბრენდული მაღაზიები თბილისში, ზუგდიდსა და თელავში.
- მისი არაოფიციალური ანალოგები ჩვენგან დამოუკიდებლადაც გამოჩნდა საქართველოს ბაზარზე. მათი განსხვავება ოფიციალურისგან ძალიან მარტივია 1 განმასხვავებელი ნიშნით: სმარტფონი ოფიციალურად არის 2 სიმ ბარათიანი, ხოლო არაოფიცილურად - 1 სიმ ბარათიანი.
- იმ მაღაზიებიდან შეძენის შემთხვევაში, რომლებიც არ არიან ზემოთ ჩამოთვლილ სიაში და არაოფიციალურად ყიდიან **LG G4**-ს, ჩვენი წარმომადგენლობა პასუხს არ აგებს შესაძლო დეფექტებზე.
- აქვე აღვნიშნავთ, რომ მომხმარებელი მიიღებს 2 წლიან ოფიციალურ გარანტიას მხოლოდ ჩვენს პარტნიორ მაღაზიებში შეძენილ სმარტფონებზე.“

LG

Office: +995 322 29 70 07
Mobile: +995 558 54 32 71 E-mail: salome1.davitashvili@lge.com
5th Floor, 34 Chavchavadze Ave. Tbilisi 0179, Georgia
www.lg.com

ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია, ბიატლონი)

Ole Einar Bjorndalen

6

ნორვეგიელ ოლე ეინარ ბიორნდალენს „ბიატლონის მეფეს“ უწოდებენ. ზამთრის ოლიმპიური თამაშების რეიტინგს ცალკე თუ შევადგენთ, 13 მედლით ის აბსოლუტური პირველადგილოსანია. გარდა ამისა, ბიატლონის მსოფლიოს ჩემპიონატებზე მან 40 მედალი მოიპოვა, რაც, სულ ცოტა, ორჯერ აღემატება ნებისმიერი სხვა ბიატლონისტის შედეგს. თავისი პირველი მედალი მან 1992 წელს ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემიონატზე მოიგო. მომდევნო წელს ამას კიდევ სამი ოქრო დაამატა და მსოფლიო ჩემპიონატზეც პირველად გამოვიდა. ოლიმპიურ თამაშებში ბიორნდალენმა პირველად მონაწილეობა 1994 წელს თავის მშობლიურ ნორვეგიაში მიიღო, მაგრამ ვერც ერთი მედალი ვერ მოიპოვა. თუმცა, მომდევნო 5 ოლიმპიადაზე ის საუკეთესო იყო. ყველაზე კარგი შედეგი მან 2002 წელს ამერიკულ სოლტ ლეიკ სიტიში აჩვენა, როდესაც 4 ოქროს მედალი აიღო. საერთო ჯამში, ოლე ეინარ ბიორნდალენის მაჩვენებელია 8 ოქრო, 4 ვერცხლი და 1 ბრინჯაო.

კარლ ლიუისი (აშშ, მძლეოსნობა)

Carl Lewis

5

ამერიკელმა მძლეოსანმა, ფრედერიკ კარლტონ ლიუისმა, 10 ოლიმპიური მედალი (მათ შორის, 9 ოქრო) და 10 მსოფლიო ჩემპიონატის მედალი (მათ შორის, 8 ოქრო) მოიპოვა. მისი კარიერა 1979 წელს დაიწყო და 1996 წელს დასრულდა. ლიუისი მსოფლიო სპორტის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი მორბენალი და სიგრძეზე მხტომელია. მან რამდენიმე მსოფლიო რეკორდი დაამყარა, ერთ-ერთი მათგანი კი (სიგრძეზე ხტომაში, დახურულ დარბაზში) 1984 წლის შედეგ, ჯერჯერობით ვერავინ გააუმჯობესა. ლიუისს კიდევ ერთი რეკორდი ეკუთვნის: ათწლიანი პერიოდის განმავლობაში მან სიგრძეზე ხტომაში ზედიზედ 65 გამარჯვება მოიპოვა, რაც სპორტის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი დაუმარცხებელი სერიაა.
ის ორჯერ დაასახელეს საუკუნის სპორტსმენად, ერთხელ – საუკუნის ოლიმპიელად და სამჯერ – წლის სპორტსმენად.
დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ კარლ ლიუისმა სამსახიობო კარიერა დაიწყო და რამდენიმე ფილმში ითამაშა. 2011 წელს ლიუისმა საკუთარი კანდიდატურა ნიუ ჯერსის შტატის სენატში დემოკრატიული პარტიის სახელით წამოაყენა, თუმცა საარჩევნო სიიდან იმის გამო ამოიღეს, რომ ამ შტატის მაცხოვრებელი არ იყო. კარლ ლიუისის საერთო ოლიმპიური შედეგია 9 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი.

მარკ სპიცი (აშშ, ცურვა)

ამერიკელმა მოცურავემ, მარკ ენდრიუ სპიცმა, 1972 წელს მიუნხენში გამართულ ოლიმპიურ თამაშებზე 7 ოქროს მედალი მოიპოვა. ეს შედეგი კიდევ უფრო აღსანიშნავია იმის გამო, რომ სპიცმა შვიდივე შემთხვევაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა, რაც დღემდე ვერც ერთმა სხვა სპორტსმენმა ვერ გაიმეორა.

1968-1972 წლებში ამერიკელმა მოცურავემ 9 ოლიმპიური ოქრო, ერთი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო მოიპოვა. მან პანამერიკულ თამაშებში ხუთჯერ გაიმარჯვა. ამავე პერიოდში სპიცმა მსოფლიო რეკორდი 35-ჯერ დაამყარა.

4



Mark Spitz

პაავო ნურმი (ფინეთი, მძლეოსნობა)

მფრინავ ფინელად წოდებული, საშუალო და გრძელ მანძილებზე მორბენალი პაავო ნურმი 22 ოფიციალური მსოფლიო რეკორდის ავტორი და ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონია. მეოცე საუკუნის დასწყისში 1500 მეტრიდან 20 კილომეტრამდე მანძილებზე სირბილში ნურმის ბადალი არ ჰყავდა. ოლიმპიადაზე მისი პირველი წარმატება ვერცხის მედალი იყო, რომელიც მან 5000 მეტრზე სირბილში მოიპოვა, შემდეგ კი ამას ოქროც დაუმატა 10 000 მეტრზე სირბილში. 1923 წელს ნურმი გახდა პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი სპორტსმენი, რომელმაც ერთ მილზე, 5 000 მეტრზე და 10 000 მეტრზე სირბილში ერთდრულად დაამყარა მსოფლიო რეკორდი. 1928 წელს მან კიდევ ერთი ოქრო მოიპოვა 10 000 მეტრზე სირბილში, თუმცა 5 000 და 3 000 მეტრზე დამარცხდა.
სისწრაფისა და ხასიათის გამო, ნურმის „ფინელი მოჩვენებაც“ კი შეარქვეს. მისმა მიღწევებმა, ვარჯიშის მეთოდებმა და სირბილის მანერამ კი მომდევნო თაობების წარმომადგენლებზე უდიდესი გავლენა მოახდინა. ნურმი ითვლება ე. წ. „ზომიერი სიჩქარის“ სტრატეგიისა და, ზოგადად, სირბილისადმი ანალიტიკური მიდგომის ავტორად. პაავო ნურმი 1973 წელს 76 წლის ასაკში გარდაიცვალა.

3

Paavo Nurmi

Larisa Latynina

ლარისა ლატინინა (სსრკ,ტანვარჯიში)

2

1956-1964 წლებში საბჭოთა ტანმოვარჯიშემ, ლარისა სემიონოვნა ლატინინამ 14 ინდივიდუალური და 4 გუნდური ოქროს მედალი მოიპოვა, რითაც, 48 წლის განმავლობაში ყველა დროის ყველაზე წარმატებულ ოლიმპიელად ითვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ ეს რეკორდი 2012 წელს დაემხო, ინდივიდუალური ოქროს მედლების რაოდენობით ლატინინა კვლავ საუკეთესოდ რჩება.

1956 წელს მელბურნში ლატინინამ ოთხი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 1958 წელს, ოთხი თვის ფეხმძიმე, ის მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვიდა, ექვსი შესაძლებლიდან ხუთი მედალი მოიპოვა და 1960 წელს რომის ოლიმპიურ თამაშებზე უპირობო ფავორიტის რანგში წარდგა. აქ ლატინინამ კიდევ 6 მედალი აიღო: 3 ოქრო, 2 ვერცხლი და ერთი ბრინჯაო.
1962 წელს ის კიდევ ერთხელ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, 1964 წელს კი ტოკიოს ოლიმპიადაზე კიდევ 6 მედალი მოიპოვა, რითაც თავისი საერთო მონაგარი 18 მედლამდე აიყვანა.

Michael Phelps

მაიკლ ფელპსი (აშშ, ცურვა)

1

2012 წლიდან მსოფლიოს საუკეთესო ოლიმპიელის ტიტულს ამერიკელი მოცურავე მაიკლ ფრედ ფელპსი ფლობს. მისი მედლების საერთო რაოდენობაა 22, რომელთაგან 18 ოქროსია. პირველად ფელპსი ოლიმპიურ თამაშებზე 2004 წელს ათენში გამოვიდა, სადაც 6 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, 2008 წელს კი პეკინში მან 8 ოქროს მედალი დაისაკუთრა, რითაც თავისი თანამემამულის, მარკ სპიცის რეკორდი (7 ოქრო ერთ ოლიმპიადაზე) გააუმჯობესა. ამ შედეგებს ფელპსმა 2012 წელს ლონდონში კიდევ 6 მედალი დაუმატა (4 ოქრო და 2 ვერცხლი), რითაც ყველა დროის საუკეთესოდ იქცა. გარდა ამისა, ფელპსი ერთადერთია, ვინც ზედიზედ სამ ოლიმპიადაზე მოიპოვა უფრო მეტი მედალი, ვიდრე რომელიმე სხვა სპორტსმენმა სპორტის ნებისმიერ სახეობაში.
ყველა საერთაშორისო ტურნირის გათვალისწინებით, ფელპსი 77 მედლის მფლობელია, რომელთაგან 61 ოქროსია, 13 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოსი.
მსოფლიოს წლის საუკეთესო მოცურავედ ის შვიდჯერ დაასახელეს, საუკეთესო ამერიკელ მოცურავედ კი ცხრაჯერ.
2012 წლის ოლიმპიადის შემდეგ ფელპსმა განაცხადა, რომ მომდევნო თამაშებში მონაწილეობას არ მიიღებდა, თუმცა 2014 წლის აპრილში ის სპორტს ისევ დაუბრუნდა და იმავე წლის მაისში ჩრდილოეთ კაროლინის შტატში გამართულ შეჯიბრში ოქროს მედალი მოიპოვა.

პირველად საქართველოში –„ჯანსაღი თმის ცენტრი“

„ჩვენ არ ვნერგავთ თმას, ჩვენ მას ვზრდით და ვაჯანსაღებთ“ – ასეთია კლინიკა „ჯანსაღი თმის ცენტრის“ დევიზი, რომელიც თბილისში, მიცკევიჩის 27ა-ში მდებარეობს. ეს არის საქართველოში პირველი მონოპროფილური კლინიკა, რომელიც თმის დაავადებების მკურნალობაზეა ორიენტირებული და კომპლექსური მიდგომის ახალ, თანამედროვე სტანდარტებს ამკვიდრებს. კლინიკაში მკურნალობენ ყველა დაავადებას, რომელიც თავის თმიან ნაწილს უკავშირდება – იქნება ეს ალოპეცია (თმის ცვენა), სებორეა, ფსორიაზი თუ სხვა.

თმა რთული სტრუქტურული ერთეულია, ის ძირითადად კერატინისგან შედგება. ადამიანს თავზე საშუალოდ 200 ათასი თმის ღერი აქვს. თხელი და სუსტი თმის ღერი — 100-გრამიან ტვირთს, ხოლო ქალის სქელი ნაწნავი 20-ტონიან სიმძიმესაც კი უძლებს. თმის სიგრძე წელიწადში საშუალოდ 10-15 სანტიმეტრით იმატებს (ყველაზე სწრაფად ზაფხულში იზრდება). ადამიანმა თმა რომ არ შეიჭრას, სიცოცხლის ბოლომდე მისი სიგრძე დაახლოებით 725 მეტრს მიაღწევს.
თმა თავისი არსით ორგანიზმის დამცავი სისტემის ნაწილია, თუმცა მის ამ ფუნქციაზე ყურადღებას ცოტა ვინმე თუ ამახვილებს. ზოგადად, ადამიანებისთვის და განსაკუთრებით ქალებისთვის თმა გარეგნობის, სილამაზის ერთ-ერთი მთავარი, შეიძლება ითქვას, დამაგვირგვინებელი შტრიხია. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სიჯანსაღის, ბუნებრივი ბზინვარების, ახალგაზრდული იერის შესანარჩუნებლად მას სათანადო მოვლა სჭირდება და არა მხოლოდ პრობლემის არსებობისას ან ხანდაზმულ ასაკში. საქართველოში და კავკასიის რეგიონშიც პირველი მონოპროფილური ტრიქოლოგიური კლინიკა „ჯანსაღი თმის ცენტრი“ სწორედ ამისთვის შეიქმნა.

ილია მესხი, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი:

ილია მესხი, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი:
„ჩვენი კლინიკის სპეციალიზაცია – ტრიქოლოგია (ძველბერძნულიდან τριχός — თმის, λόγος – შესწავლა) დერმატოლოგიის ქვედისციპლინაა და მთლიანად თავის თმიან არეზე ანუ სკალპზეა ორიენტირებული. მოგეხსენებათ, საქართველოში არსებობს თმის გადანერგვის კლინიკები. მათგან განსხვავებით ჩვენ თმას არ ვნერგავთ, მაგრამ ვაკეთებთ ყველაფერს იმისათვის, რომ თმა იყოს ჯანმრთელი და საქმე გადანერგვამდე არ მივიდეს, ან რაც შეიძლება გვიან მივიდეს; ვცდილობთ, შევაჩეროთ თმის ცვენა (ალოპეცია), ან შევეცადოთ ახალი თმა ამოვიყვანოთ. თუმცა არის შემთხვევები, როცა თმის გადანერგვა ერთადერთი სწორი გამოსავალია. ამიტომ, რა თქმა უნდა, თმის გადანერგვის ცენტრებთანაც ვთანამშრომლობთ, რადგან გადანერგილ თმას საგანგებო მოვლა სჭირდება, ჩვენ კი ამისთვის ყველა საშუალება გვაქვს. აღსანიშნავია, რომ ჩვენს კლინიკაში არის გუნდური მიდგომა. ყველა ჩვენი ექიმი უმაღლესი დონის პროფესიონალია – სხვადასხვა საერთაშორისო ასოციაციის წევრები არიან თავიანთი სპეციალობის მიხედვით და საერთაშორისოდ აღიარებული კლინიკური გაიდლაინებით ხელმძღვანელობენ. ეს კი ნიშნავს, რომ როგორც მკურნალობენ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, ისე ვმკურნალობთ ჩვენც.
კლინიკის სამედიცინო დირექტორია ექიმი-ტრიქოლოგი, დერმატოლოგი **ნინო ლორთქიფანიძე**, საქართველოს თმის კვლევის საზოგადოების პრეზიდენტი, ევროპის ტრიქოლოგთა ასოციაციის წევრი. პრაქტიკულად, იგი არის პირველწყარო ინფორმაციისა, რომელიც არებობს ჩვენს დარგში მაღალგანვითარებულ ქვეყნებში.
რას ნიშნავს კომპლექსური მიდგომა? – პაციენტი რომ მოდის ჩვენთან თმის ცვენის ჩივილით, მას მარტო ტრიქოლოგი არ სინჯავს. ზოგჯერ თმის ცვენა სხვა დაავადებას უკავშირდება და ეს დაავადებები უმეტესად ენდოკრინულია. ამიტომ „ჯანსაღი თმის ცენტრში“ მუშაობს ენდოკრინოლოგი – ეს გახლავთ ცნობილი ექიმი დავით კეზელი, რომლის სახელი და გვარი უმაღლესი დონის პროფესიონალიზმთან ასოცირდება.
კლინიკაში არის, ასევე, დიეტოლოგი თეა სურმავა (უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით – ნუტრიციოლოგი, ჯანსაღი კვების სპეციალისტი). საქმე ისაა, რომ თმის მკურნალობა კვებითი რეჟიმის და საკვები დანამატების სწორ შერჩევას საჭიროებს, რასაც სრულფასოვანი გამოკვლევა და სპეციალისტის კვალიფიციური რჩევა სჭირდება. თმის ანალიზით ჩვენს ცენტრშივე ვადგენთ ყველა მიკროელემენტის და ვიტამინის შემცველობას ორგანიზმში. თეა სურმავა ძალიან საინტერესო პროგრამით მუშაობს, რომელიც გულისხმობს არა, უბრალოდ, ზედმეტი კილოგრამების მოშორებას, არამედ სწორი კვებით ჯანმრთელობის შენარჩუნებას.
ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კლინიკაში გვყავს ფსიქოლოგი, გეშტალტთერაპევტი, რომელიც ასეთი ტიპის კლინიკაში აუცილებლად უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ ადამიანს კანის დაავადებები როცა აწუხებს (მოგეხსენებათ, თმა კანის დანამატია), თავის თავს არ უტყდება, მაგრამ ხშირად ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს. ჩვენს პაციენტებს ფსიქოლოგი უწევს კონსულტაციას, რომ ეს პრობლემაც მოიხსნას. ჩვენი ფსიქოლოგი ლიკა ბარაბაძე თავისი საქმის დიდი პროფესიონალია. მოხარულები ვართ, რომ იგი ჩვენს კლინიკასთან თანამშრომლობს.
„ჯანსაღი თმის ცენტრში“ არის სექსოლოგიც: საქმე ისაა, რომ საერთაშორისო კლინიკური გაიდლაინით მოწოდებულია ნივთიერება, რომელიც თმის ამოყვანას შესანიშნავად უწყობს ხელს, მაგრამ მას აქვს ერთი გვერდითი მოვლენა – მამაკაცური ჰორმონის, ტესტოსტერონის დონის დაქვეითებას იწვევს. ცნობილი ფაქტია, რომ როცა ტესტოსტერონი ქვეითდება, თმა ამოდის (თუმცა უკუპროცესი არ ხდება – ჭარბი ტესტოსტერონი თმის ცვენას არ იწვევს), ამასობაში კი ირღვევა მამაკაცური ფუნქცია. პაციენტს თავიდანვე ვაფრთხილებთ ამ ნივთიერების გვერდითი მოვლენის შესახებ (რაც, რა თქმა უნდა, დროებითია, როგორც კი პრეპარატი მოიხსნება, ტესტოსტერონის დონეც ჩვეულებრივად აღდგება) და თავად წყვეტს, მიიღოს თუ არა აღნიშნული პრეპარატი. ამიტომ გვყავს სექსოლოგი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ერთვება, რომ პაციენტს ალტერნატიული საშუალებები დაუნიშნოს ფუნქციის სრულად შესანარჩუნებლად. ჩვენთან მუშაობს უძლიერესი სექსოლოგი, ერთ-ერთი პირველი სპეციალისტი საქართველოში პაატა სოფრომაძე.
როგორც ხედავთ, „ჯანსაღი თმის ცენტრში“ მოქმედებს „ერთი სარკმლის პრინციპი“ – პაციენტი საჭიროების შემთხვევაში ყველა სპეციალისტის მომსახურებას ერთ სივრცეში იღებს და არ სჭირდება სხვადასხვა კლინიკაში სიარული.
ფასებს რაც შეეხება – ჩვენი პრინციპია, რომ ტრიქოლოგია უნდა იყოს ხელმისაწვდომი ჩვეულებრივი, საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანებისთვის და არავითარ შემთხვევაში – მხოლოდ ელიტური ჯგუფებისთვის. ამიტომ „ჯანსაღი თმის ცენტრში“ კონსულტაციაც და სხვა პროცედურებიც არ არის იმაზე ძვირი, ვიდრე ბაზარზე არსებული ფასებია, თუმცა ხარისხით, პრეპარატებითა და მიდგომით ჩვენი კლინიკა ნამდვილად ძალიან მაღლა დგას.



აღსანიშნავია, რომ ცნება „პაციენტი“, რომელსაც, ბუნებრივია, „ჯანსაღი თმის ცენტრში“ იყენებენ, რადგან სამედიცინო დაწესებულებაა, მაინც პირობითია. შეიძლება ითქვას, რომ კლინიკის მომხმარებლები უფრო სტუმრები არიან, ვიდრე პაციენტები და შესაბამისი გარემოც აქვთ საამისოდ.
დალი ჩიტალაძე, მოდის ექსპერტი, კლინიკა „ჯანსაღი თმის ცენტრის“ სახე:
„უბრალოდ, მინდა ვთქვა, ძალიან მიხარია ამ კლინიკის გახსნა, რადგანაც აქამდე არ არსებობდა დაწესებულება საქართველოში, სადაც შესაძლებელი იქნებოდა თმის კომპლექსური მოვლა. არ არის აუცილებელი, მარტო ის ადამიანები მოვიდნენ ცენტრში, რომლებსაც თმა სცვივათ, ან თავის კანის რაიმე სხვა პრობლემა აქვთ; ჯანსაღი თმა ყველას და ყველა ასაკში სჭირდება, ქალებს – განსაკუთრებით: თმა არის მაკიაჟის და, საერთოდ, გარეგნობის ბოლო და ძალიან მნიშვნელოვანი შტრიხი.
კლინიკის ესთეტიკურ ნაწილზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას: ჩვენს ცენტრში ვიყენებთ ყველა თანამედროვე ტექნოლოგიას, როგორიცაა: მეზოთერაპია, PRP პლაზმოლიფტინგი, ფოტოთერაპია და სხვ. მეზოთერაპია, ისევე როგორც სახის კანის შემთხვევაში, გულისხმობს სამკურნალო საშუალებების შეყვანას პირდაპირ თავის თმიან საფარველში; PRP პლაზმოლიფტინგის (თანამედროვე მეთოდი თმის ცვენის წინააღმდეგ) დროს თავის თმიან საფარველში თრომბოციტებით მდიდარი პლაზმა შეყავთ, რაც ხელს უწყობს თმის ზრდას. ფოტოთერაპია არის სამედიცინო ლაზერის გამოყენება ცალკეული დაავადების (მაგ., ფსორიაზის) თუ თმის ცვენის მკურნალობის შედეგის გასაუმჯობესებლად.
ასევე, აღსანიშნავია, რომ კლინიკაში მუშაობს სვირინგის სპეციალისტი, რომელიც პერმანენტულ ტატუს უკეთებს წარბების ადგილას მათ, ვისაც ქიმიოთერაპიული ჩარევის შემდეგ ან რაიმე სხვა პრობლემის შედეგად თმა გასცვივდა.
და, რაც მთავარია, კლინიკის ვიზიტორების განკარგულებაშია სილამაზის სალონი, სადაც თმის შეჭრა-დავარცხნის, შეღებვის თუ სპა პროცედურების დროს მხოლოდ ნატურალურ მცენარეულ საშუალებებს ვიყენებთ. ჩვენთან თმის მოვლის პროცედურების ჩატარება უსაფრთხოა ორსულობისა და ძუძუთი კვების დროსაც.
საქმე ისაა, რომ „ჯანსაღი თმის ცენტრში“ მოსული ადამიანი სამკურნალო პროცედურას რომ ჩაიტარებს, სურს მოწესრიგებული, ლამაზად დავარცხნილი წავიდეს შინ. ამას ჩვენი პროფესიონალი სტილისტები უზრუნველყოფენ.
აქვეა პატარა კაფე, რომელიც არ არის უბრალოდ კაფე: მისი მენიუ ნუტრიციოლოგის მკაცრი მეთვალყურეობით დგება და უმაღლესი კვალიფიკაციის შეფ-მზარეული მუშაობს, რომელიც ძალიან გემრიელ კერძებს და დესერტებს – ძირითადად ფრეშებს – ამზადებს. პაციენტს შეუძლია ამ კომფორტულ კაფეში დაელოდოს პროცედურის ჩატარებას, ან ანალიზის პასუხს, ან უბრალოდ, პროცედურის შემდეგ განიტვირთოს და გემრიელად მიირთვას.
ხომ გაგიგონიათ გამოთქმა: ერთი ქალის ფასი თმა აქვსო. როგორიც არ უნდა იყოს თმა – თხელი თუ სქელი, ქერა თუ წაბლისფერი, სწორი თუ ხვეული – თუ მოუვლელი და დაუვარცხნელია, რაც არ უნდა კარგი მაკიაჟი გაიკეთოთ, რაც არ უნდა ლამაზი კაბა გეცვათ, როგორი მოვლილი სახის კანიც არ უნდა გქონდეთ – ყველაფერს ფასი ეკარგება, რადგან გარეგნობას ბოლო და ერთ-ერთი უმთავრესი შტრიხი აკლია. ამიტომაც ყველას მოვუწოდებ, მოვიდნენ „ჯანსაღი თმის ცენტრში“ და ჩვენთან ურთიერთობის შემდეგ თმა მუდამ ჯანსაღი და ლამაზი ექნებათ“.

მისამართი: 27ა
ტელ.: 2 007 008



ჯიმი ჰოგანი

ტოტალური ფეხბურთის მამები

აბო იაშაღაშვილი

ჯიმი ჰოგანი ინგლისურ ლანკაშირში, ირლანდიელი ემიგრანტების ოჯახში დაიბადა. მამამისი ბამბის ფაბრიკაში მუშაობდა და უნდოდა, ჯიმი მღვდელი გამხდარიყო, მან კი ფეხბურთი არჩია, ინსაიტი გახდა. მართალია, ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, თუმცა ისეთი რამ მოიგონა, რომ ფეხბურთი სულ სხვა მხარეს წაიყვანა. 1910 წელს ის ბოლტონთან ერთად ჰოლანდიაში ტურის დროს "დორდრეხტს" ეთამაშა. ინგლისელებმა მეტოქე გუნდი იოლად დაამარცხეს, ჰოგანმა კი იფიქრა, მწვრთნელობაც მოესინჯა; ჰოლანდიაში მალევე დაბრუნდა და თავისი ხედვის ახსნა დაიწყო. ტაქტიკას მიაქცია ყურადღება, გამძლეობას, პასი და ბურთის დაჭერა გამოყო და იქ მყოფნი ისე გააოცა, რომ მას ჰოლანდიის ნაკრების ერთი თამაშის გაწვრთნაც კი ანდეს. ეს ახლებური თამაში იყო, ამ მარცვლებიდან ამოვიდა ის, რასაც მერე ტოტალური ფეხბურთი დაერქვა. ჰოგანი ამ თამაშის მამად ითვლება.

რეინოლდსმა ამსტერდამში მთლიანობაში 27 წელი დაყო, იგი „აიაქსს“ 1947 წლამდე წვრთნიდა.

ჰოლანდიიდან ჯიმი ავსტრიის ნაკრებში მიიწვიეს, გუნდის ოლიმპიადისათვის მომზადება ჩააბარეს; საქმესაც თავი კარგად გაართვა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ გეგმები აურია. ის უეცრად აღმოჩნდა ინგლისისათვის მტრული ავსტრო-უნგრეთის შუაგულში და მას დაპატიმრება დაემუქრა. საბედნიეროდ, ჯიმი ბუდაპეშტის „მტკ“-ის ვიცეპრეზიდენტის, ბარონ დირსტეის მარიფათმა გადაარჩინა, რომელმაც ის მწვრთნელად გააფორმა და ამით ტყვეთა ბანაკისაგან იხსნა, უნგრულ ფეხბურთს კი ჰოგანის ხელი დაატყო, რაც კაი ხნის მერე გამოიღებს ნაყოფს, თუმცა მანამდე, 1915 წელს, ერთი სხვა ინგლისელი, ჯეკ რეინოლდსი, ასევე ომის გამო გეგმებარეული, ამსტერდამში ხვდება და „აიაქსის“ მწვრთნელად ინიშნება. აქ ის ჯიმი ჰოგანის ჰოლანდიაში დათესილს ეცნობა, ეს მას გონებაში უჯდება, ამ გზას აგრძელებს და ამით აღტაცებული თავის გუნდს ასეთსავე ყაიდაზე ათამაშებს.

1959 წელს ბუკინგემს ამსტერდამის „აიაქსი“ იწვევს და აქ მას რეინოლდსის შექმნილი თამაშის ყაიდა ხვდება.

ამასობაში ომი სრულდება და ჰოგანი ინგლისში აპირებს საქმის გაგრძელებას, თუმცა იქ მას ზურგს აქცევენ, მოღალატეობას დასწამებენ და კარს მოუკეტავენ. გულგატეხილი, ის უკან, კონტინენტზე ბრუნდება, გერმანულ და უნგრულ კლუბებს წვრთნის და შემდეგ თავს ისევ ავსტრიის ნაკრებში ამოყოფს. ის გახდება 30-იანი წლების ავსტრიის ნაკრების სულისჩამდგმელი, მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალისტის, „ვუნდერმანშაფტი“ რომ დაერქვა და აოცებდა მნახველს მოკლე პასებითა და ბურთის ტექნიკური ფლობით. ეს გუნდი ინგლისშიც მოსწყვეტს თვალს მნახველს და, ზოგადად, ითვლება, რომ ეს იყო პირველი ნაკრები, რომელმაც ტოტალურ ფეხბურთს გემო გაუსინჯა.

რეინოლდსი ამასობაში „აიაქსში“ აგრძელებს მუშაობას. მან ჩაუყარა საფუძველი ამსტერდამელთა საფეხბურთო აკადემიას; მისი მოთხოვნა იყო, რომ ყველა ასაკობრივ გუნდს ერთი სისტემით ეთამაშა და, რაც მთავარია, „აიაქსის“ თამაში ბურთის დაჭერაზე იყო აგებული. ამასთან, ფეხბურთელები, გამორჩევით მცველები და გარემარბები, ერთმანეთს იოლად ანაცვლებდნენ. რეინოლდსმა აქ მთლიანობაში 27 წელი დაყო, იგი „აიაქსს“ 1947 წლამდე წვრთნიდა.

50-იანების დასაწყისში კი ევროპაში ჩნდება უნგრეთის ნაკრები სრულიად გამაოცებელი ფეხბურთით. ის მეტეორივით გაიქროლებს და ერთიმეორის მიყოლებით ამარცხებს ევროპულსა თუ სამხრეთამერიკულ გრანდებს: ურუგვაის, ბრაზილიას; გერმანიას 8-3 ანადგურებს. მათი სახელი ყველას პირზე აკერია, მსოფლიოს ვიცეჩემპიონებიც ხდებიან. ეს საოცარი გუნდი იყო – „ოქროს გუნდი“, გუსტავ შებეშის დამოძღვრილი, და ყოველ მოთამაშეს ნებისმიერ პოზიციაზე შეეძლო თამაში. ეს გამოარჩევდა მათ სხვათაგან. ეს იყო ტოტალური ფეხბურთი. ამ გუნდმა 1953 წელს „უემბლიზე“ ინგლისის ნაკრები 6-3 დაამარცხა და ეს საერთოდაც პირველი არაბრიტანული გუნდი იყო, „უემბლიზე“ რომ მოიგო. ინგლისს ვერ უშველა ვერც სტენლი მეტიუზმა, ვერც ალფ რემსმი. მეტიც, რამდენიმე თვეში უკვე ბუდაპეშტში გაიმართა საპასუხო მატჩი და აქ უნგრელებმა 7-1 მიანგრიეს ბრიტანელები. „უემბლიზე“ თამაშის შემდეგ კი უნგრელთა ფედერაციის თავმა თქვა, რომ ეს ფეხბურთი მათ ჯიმი ჰოგანმა ასწავლა. მერე შებეშმაც გაიმეორა, რომ, თუ რამ იცოდნენ ფეხბურთში, ეს ყველაფერი ჰოგანისაგან მოდიოდა. იმის, ჯერ კიდევ როდის, ჩაგდებულ მარცვალს ასე ამოეხეთქა. ინგლისელებს ეს მეტად მტკივნეულად მოხვდათ. იქნებ მისთვის ზურგის შექცევაც გაახსენდათ, თუმცა ამ ფეხბურთის გადმოღება არ უჩქარიათ. მაგრამ იყო „უემბლის“ სტადიონზე ერთი ადამიანი, რომელიც უცქერდა უნგრელთა თამაშს და აოცებდა ბურთის ასეთი ფლობა, აზროვნება, ერთმანეთის ჩანაცვლება. ეს იყო ვიკ ბუკინგემი, მაშინ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ მწვრთნელი. ის გააოცა ამ ფეხბურთმა, გააოცა და დაახსომდა. ამით

აღფრთოვანებულმა სცადა მან თავის კლუბში ბურთის შენარჩუნებაზე აგებული თამაშის დანერგვა. ეს, თავის მხრივ, მოითხოვდა პასის სიზუსტეს და ამან მოკლე პასის კულტურა გააჩინა. ბურთით მოთამაშე დიდხანს არ დრიბლიორობდა, თანაგუნდელს ეძებდა და ისინიც, თავის მხრივ, სულ მოძრაობდნენ და იხსნებოდნენ. ასე გაგორდა ბურთი „ვესტ ბრომვიჩში"; 1954 წელს მათ ინგლისის თასი მოიგეს და დუბლის შესრულებამდე სულ ცოტა დააკლდათ.

1959 წელს ბუკინგემს ამსტერდამის „აიაქსი" იწვევს და აქ მას რეინოლდსის შექმნილი თამაშის ყაიდა ხვდება, მსგავსი იმისა, რასაც თვითონ მისდევს და ის ამას აგრძელებს, უფრო ხვეწს. თითქოს ჰოგანის ჰოლანდიაში და უნგრეთში დათესილი ათწლეულების შემდეგ, სხვადასხვა გზებით და სხვადასხვა მწვრთნელების ხელში გამოვლილი, ახლა ყველაფერი ერთად შეიყარა. „აიაქსის" თამაშში ჩნდება მეტი თავისუფლება, ეს, თავის მხრივ, აჩენს დაზღვევასა და გუნდურ პასუხისმგებლობას. ბუკინგემი ორი წელი დარჩა „აიაქსში", შემდეგ 1965 წელს ისევ მობრუნდა და 17 წლის კრუიფი „აიაქსის" პირველ გუნდში დააწინაურა. ოღონდ ნაყოფის მოსხმას დრო სჭირდებოდა და ეს არ დასცალდა. ამსტერდამელებს მის მაგივრად რინუს მიხელსი მოჰყავთ, ჯერ კიდევ რეინოლდსის „აიაქსში" რომ ეთამაშა.

მიხელსმა ბუკინგემის დანატოვარი უფრო განავითარა, კრუიფი ამ სისტემის გულად აქცია და ამ ტოტალური ფეხბურთით ისინი ზედიზედ რამდენჯერმე ჰოლანდიის ჩემპიონები ხდებიან. ასეთი თამაშით „აიაქსი" უკვე ევროპაშიც დომინირებს და სამჯერ ზედიზედ ჩემპიონთა თასსაც იგებს. „აიაქსის" საცქერად მთელი მსოფლიოდან ჩამოდიან მწვრთნელები, ეს საათივით აწყობილი თამაში რომ დაისწავლონ და გადმოიღონ.

ვიკ ბუკინგემი კი არ ქრება. ის ახლა ინგლისში ცდილობს ისევ ამ თავისი ფეხბურთის დანერგვას, თუმცა იქ სკეპტიკურად უყურებენ. ის ვარჯიშში ბალეტის ელემენტების ჩართვასაც ცდილობს, წონასწორობის უკეთ დასაცავად და ამაზეც ქილიკობენ. 1970 წელს მას „ბარსელონა" იწვევს. ეს ჯერ არ არის ის „ბარსა", რაც დღეს მის ხსენებისას თავში გიჩნდება. ბუკინგემი იყო პირველი ადამიანი, რომელმაც გააჩინა კავშირი „აიაქსსა" და „ბარსელონას" შორის. ტოტალური ფეხბურთის დამკვიდრება მან ახლა კატალუნიის დედაქალაქში დაიწყო. „როცა ბურთი შენ გაქვს, მოწინააღმდეგე გოლს ვერ გაგიტანს", – ასეთი იყო მისი მიდგომა, რომელმაც, აჰა, სადამდე გასტანა და სულ სხვათა პირიდან გაგვიგონია – დავუშვათ, იოჰან კრუიფის. მისი „ბარსაში" გადმოყვანა ბუკინგემს ძალიან სურდა, თუმცა არც იქ დასცალდა დიდხანს გაჩერება. 1971 წელს „ბარსელონაში" მის მაგივრად ისევ მიხელსი მიიწვიეს, უკვე სახელგავარდნილი, უკვე ჩემპიონთა თასის მომგები და მან ისევ ბუკინგემის მომზადებული ნიადაგის დამუშავება გააგრძელა. მანვე გადმოიყვანა კრუიფი, რომელიც კატალუნიის ლეგენდად უნდა ქცეულიყო და ვისმა თამაშმაც მსოფლიო ჩემპიონატზე ამ ფეხბურთით ჰოლანდია ფინალში გაიყვანა.

2008 წელს „ბარსას" მწვრთნელი ხდება კრუიფის ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელი და ვან გაალის დროინდელი კაპიტანი ხოსეპ გვარდიოლა.

მიხელსის წვლილი ტოტალური ფეხბურთის დახვეწაში ძალიან დიდია. რაც აქამდე დაგროვდა, მის ხელში აყვავდა. ფიფამ ის მეოცე საუკუნის საუკეთესო მწვრთნელადაც დაასახელა.

ოთხმოციან წლებში კი უკვე კრუიფი ხდება „ბარსელონას" მწვრთნელი და ბუკინგემისა და მიხელსის დანატოვარი ახალ სიმაღლეზე აჰყავს. ეს ფეხბურთი უკვე „ბარსელონას" სახასიათო თამაშად იქცევა და მსოფლიო ვარსკვლავების და აკადემიის აღზრდილების ნაზავით ის ქმნის გუნდს, რომლის თამაშიც ბურთის დაჭერასა და ლამაზად მოგებაზეა აგებული; „დრიმ თიმიც" შერჩა იმ გუნდს სახელად. მას მერე, ვინც „ბარსელონაში" მოდიოდა, ამ გზიდან გადახვევის უფლება აღარ ჰქონდა, გუნდიც ასეთსავე ყაიდაზე უნდა გაემართა. ვან გაალიცა და რაიკარდიც, „აიაქსის" სკოლაგამოვლილები, აგრძელებენ ამას.

2008 წელს „ბარსას" მწვრთნელი ხდება კრუიფის ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელი და ვან გაალის დროინდელი კაპიტანი ხოსეპ გვარდიოლა. ის ამ დანატოვარს კიდევ უფრო ხვეწს. წლების განმავლობაში ვერავინ სჯობნის „ბარსელონას" თამაშისას ბურთის კონტროლში. ჩნდება აქამდე გაუგონარი ნიუანსებიც, რომლებიც მოწინააღმდეგე გუნდის მოედნის ნახევარზე განგებ ბურთის დაკარგვაშია, რათა უეცარი პრესინგით და ბურთის დაბრუნებით მოულოდნელი იერიში წამოიწყონ. „ბარსელონას" ფეხბურთი ესპანეთის ნაკრებშიც იკიდებს ფეხს, სადაც „ბარსას" ფეხბურთელები დომინირებენ, „ბარსა" კი ანგრევს ყველაფერს. ამ თამაშის სახელიც მოგეხსენებათ, „ტიკი-ტაკა", ტოტალური ფეხბურთის ახალი სახე, ესპანურ მოქნილობასთან ნაზავი. ასეთი ფეხბურთით ესპანეთის ნაკრებმა ევროპის ორი და მსოფლიოს ერთი ჩემპიონატი მოიგო, მოიგო დამსახურებულად, ლამაზად, ყოველგვარ ეჭვს გარეშე. ისე, ლანკაშირელ ბიჭს, ჯიმ ჰოგანს, მღვდლობა რომ აერჩია, საინტერესოა, ფეხბურთი რა გზას დაადგებოდა.

ნასვლები და ცარიელი სკამი

ხავი ერნანდესი



ერთხელ ბებიასთან ერთად საიდანღაც თბილისში ვბრუნდებოდი და გზად ხაშურში შევიარეთ; ხაშურში იყო დაბადებული, ჩემი ბავშვობის მეგობარი მინდა ვნახო, ძალიან მომენატრაო. საღამოვდებოდა, როცა მივედით; დიდხანს ეხუტებოდნენ და ეფერებოდნენ ერთმანეთს, მერე სამზარეულოში დასხდნენ და დაიწყეს ჭორაობა, თან ვახშამი გამიმზადეს: ეზოს ქათმების შემწვარი კვერცხი, ნაზუქი, რომლის გემოც დღემდე მახსოვს, თეთრი ბლის გენიალური მურაბა ნიგვზებით და ჩაი. ეს ყველაფერი ტელევიზორთან მომიტანეს, იქვე ლოგინიც გამიშალეს და გააგრძელეს ახალგაზრდობის გახსენება.

ფეხბურთი დიდი კაცებისგან იცლება, რაც ვერაა კარგი ამბავი, მაგრამ ყველაზე ცუდი ისაა, რომ ამ დიდი კაცების შემცვლელები არ ჩანან.

ვივახშმე და, სანამ დავწვებოდი, ერთხელაც ჩამოვუარე არხებს; მაშინ, კომუნისტების დროს, სულ რამდენიმე იყო. მოსკოვის პირველ არხზე საფეხბურთო მოედანი გამოჩნდა. მეთქი, ჩემპიონატის თამაში იწყება, და უცებ ეკრანზე მიშელ პლატინი დავინახე, რამდენიმე წუთში კი მისი გამოსათხოვარი მატჩი დაიწყო. მაშინ ასეთ თამაშებს კი არა, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალებს ძლივს აჩვენებდნენ და უცებ – ჩემი საყვარელი ფეხბურთელის ბოლო თამაში, მთელი თანავარსკვლავედი მოედანზე და მე – ხაშურში. იშვიათად მიყურებია ფეხბურთისთვის ასეთი მოულოდნელი განცხრომით.

ეს გემრიელი ამბავი ხშირად მაგონდება და იმ დღეს კიდევ ერთხელ გამახსენდა, როცა ბერლინის ოლიმპიაშტადიონზე უკვე უეფას პრეზიდენტმა პლატინიმ ხავი ერნანდესს ჩემპიონთა თასი მიანოდა. ამანაც ასწია და „ბარსადან“, დიდი „ბარსადან“, დიდი ფეხბურთიდან წავიდა. მოედანზე კი ამ დროს ანდრეა პირლო ტიროდა, კიდევ ერთი უზარმაზარი ფეხბურთელი, რომელიც ასევე მიდის და იმ სტადიონზე სულ სხვა ემოციებით მახსოვს – მაშინ, 2006 წელს, მას, მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელს, ყველაზე დიდი თასი ეჭირა ხელში. მაშინ მე სტადიონზე ვიყავი და ჯერ კიდევ მიკვირდა, თუ რატომ გააკეთა ზიდანმა ის, რაც გააკეთა.

პირლო გენუაშიც მახსოვს, იტალია საქართველოს ეთამაშებოდა. მეორე ტაიმში ერთი ჩვენი ექს-იმედის მომცემი ბიჭი გამოვიდა მოედანზე და რამდენიმე მაგარი ფინტი გააკეთა. ამ ფინტთაგან ერთ-ერთი პირლოს ერგო და ზუსტად ხუთ წუთში, როცა ეს ფეხბურთელები ბურთთან ისევ ერთად აღმოჩდნენ, იტალიელმა ჩვენსას სახეში იდაყვი ჩაარტყა. ძალიან ოსტატურად, თითქმის არავის შეუმჩნევია. ეგ იყო და, ეს ჩვენი ბიჭი იმ თამაშიდან საერთოდ ამოვარდა.

ხავი მთლიანად გუნდებს აგდებდა თამაშიდან ერთი პასით. წლები დასრიალებდა „როლს როისივით“, ბურთთან ტრიალებდა და როგორც კი ბურთი დაკარგვას იწყებდა, მას ხავის აძლევდნენ. ისიც იყვანდა ფეხში, როგორც სტანდარტული ადამიანები კატას ხელში, ეფერებოდა, ათვინიერებდა და უშვებდა ახალ, უფრო დალაგებულ, გაკვალულ, საინტერესო მოგზაურობაში. ფეხბურთის მეცნიერებათა დოქტორი არასდროს ჩქარობდა, მაგრამ მის გადაწყვეტილებებს ვერავინ ეწეოდა და იგებდა თანაგუნდლების გარდა. ხავი მიდის და ფეხბურთს ტვინი აკლდება.

და ფეხბურთს აკლდება კიდევ ერთი გრანდიოზული კაცი, ერთგულების, სიყვარულის, პროფესიონალიზმის, შრომისა და ნამდვილი ბრიტანული სტილის განსახიერება, ნახევარმცველი, მცველი, გარემარბი, ფორვარდი, უკანდახეული ფორვარდი, კაცი, რომელმაც ყველაზე დიდი სასწაული მოახდინა ფეხბურთის ისტორიაში და რკინის „მილანს“ 0:3 დაუტრიალა ცხვირწინ. სტივენ ჯერარდი „ლივერპულიდან“ წავიდა, თუმცა ის არასდროს იქნება მარტო. ასეა, დიდი გუნდების ჰიმნები ჰაერზე არ იწერება, იქ დიდი და რეალური იდეებია ჩადებული. ფეხბურთი დიდი კაცებისგან იცლება, რაც ვერაა კარგი ამბავი, მაგრამ ყველაზე ცუდი ისაა, რომ ამ დიდი კაცების შემცვლელები არ ჩანან. არასდროს ყოფილა მათი სათადარიგოთა სკამი ასეთი ცარიელი. ეს, ეტყობა, პროცესის ნაწილია – თანამედროვე ფეხბურთი სულ უფრო ჯგუფური, ერთნაირი ტიპების სათამაშო ხდება და მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატიც ამის დასტური იყო. ძალიან არ უხდება ეს ფეხბურთს, მეტი რომ არ შეიძლება, ისე.

HAIR



ზაზა ფაჩულია

გიორგი ზურაბიშვილი

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ზაზა ფაჩულიამ „ენ ბი ეი-ში“, „მილუოკი ბაქსის“ რიგებში სეზონი შესანიშნავად ჩაატარა. ფაჩულიას გამოცდილება და სათამაშო ინტელექტი ახალგაზრდულ „ბაქსს“ ძალიან გამოადგა და გუნდმა „პლეი ოფში“ გასვლაც კი შეძლო. შემდეგ სეზონში ზაზა „დალას მავერიქსის“ მაისურით ითამაშებს. „დალასიდან“ გუნდის ძირითადი ცენტრი ტაისონ ჩენდლერი წავიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ფაჩულიას საკმაოდ ბევრი სათამაშო დრო ექნება. თუმცა, სანამ „ენ ბი ეი-ში“ სეზონი დაიწყება, ზაზას ნაკრებთან ერთად „ევრობასკეტზე“ მოუწევს თამაში. საქართველოს ნაკრების კაპიტანი ბრწყინვალე ფორმაშია და გულშემატკივარსაც მისი სათამაშო კლასის იმედი აქვს. გავესაუბროთ ზაზა ფაჩულიას:

წლევანდელ სეზონში „მილუოკი ბაქსმა“ დიდი პროგრესი განიცადა. რას იტყვი გუნდზე და როგორ შეაჯამებდი განვლილ წელს?

წელს ჩვენგან კარგი შედეგის ჩვენებას არავინ ელოდა. ეს ბუნებრივია, რადგან შარშანწინ სეზონი ძალიან ცუდად ჩავატარეთ. თუმცა, გუნდში ბევრი ცვლილება მოხდა: შეიცვალნენ მწვრთნელები, მოთამაშეები... ეს ყველაფერი თამაშის ხარისხზე დადებითად აისახა და საკმაოდ ბრძოლისუნარიანი კოლექტივი შეიკრა. დღეს „ბაქსი“ სწორ გზაზე დგას; ის ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული და რამდენიმე სეზონში „მილუოკი“ კიდევ უფრო გამართულ კალათბურთს ითამაშებს.

„პლეი ოფში“ „ჩიკაგო ბულზის“ წინააღმდეგ ჩატარებული სერია „მილუოკისთვის“ სეზონის დასასრული გამოდგა. შენი აზრით, იყო თუ არა ეს ამ ეტაპზე გუნდისთვის საუკეთესო შედეგი?

ალბათ ამჯერად ჩვენ მიერ ნაჩვენები შედეგი გუნდისთვის მართლაც საუკეთესო იყო. „ჩიკაგოს“ უძლიერესი შემადგენლობა ჰყავს და მათ წინააღმდეგ შეტევაში წარმატებით თამაში ყოველთვის ძალიან რთული. თანაც, „მილუოკის“ ბევრ კალათბურთელს „საპლეიფო“ გამოცდილება აკლდა. თხუთმეტიდან ცხრა მოთამაშეს „პლეი ოფში“ ერთი მატჩიც კი არ ჩაეტარებინა. ამ ფაქტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს; „პლეი ოფში“, რეგულარულ სეზონთან შედარებით, სრულიად განსხვავებული თამაში მიდის, რომლის დროსაც გამოცდილებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

მწვთნელის ცვლილება ახსენე. რას იტყვი ჯეისონ კიდზე? როგორი სპეციალისტია ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო პლეიმეიკერი?

ჯეისონ კიდი ძალიან კარგი მწვრთნელია. ის არის სპეციალისტი, რომელიც სწორ კალათბურთს გასწავლის და თამაშს გიადვილებს. მისი ეს თვისებები ახალგაზრდა კალათბურთელებს ძალიან ეხმარება, თუმცა მეც, როგორც ვეტარანმა, მისგან ბევრი რამ ვისწავლე. კიდი ყოველთვის გაიძულებს, რომ ითამაშო გუნდურად და ნაკლები ყურადღება მიაქციო ინდივიდუალურ მხარეს. წელს ჩვენი გუნდი დაცვაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო და ესეც ჯეისონ კიდის დამსახურებაა.

სეზონის დასაწყისში გუნდის ძირითად ცენტრად ლარი სანდერსი მოიაზრებოდა, თუმცა მას პრობლემები შეექმნა და სანდერსმა კალათბურთის თამაშს თავი დაანება. მოგვიყევი ლარი სანდერსზე და გვითხარი, როგორ მოირგე ძირითადი ცენტრალური მოთამაშის როლი?

HAIR

ლარი სანდერსს პირადი პრობლემები ჰქონდა და ეს გადაწყვეტილება მან თავად მიიღო. როგორც ჩანს, მას კალათბურთის თამაში აღარ უნდოდა. როდესაც „მილუოკისთან“ კონტრაქტს ხელი მოვაწერე, ვიცოდი, რომ სათადარიგო ცენტრი უნდა ყოფილიყავი. საბოლოოდ მოვლენები სხვანაირად განვითარდა; მე ძირითადი ცენტრი გავხდი და ეს როლი საკმაოდ ადვილად მოვირგე. გუნდის სისტემაში კარგად „ვჯდებოდი“ და ჯეისონ კიდთანაც მშვენიერი ურთიერთობა დავამყარე. ძალიან კარგი გრძნობაა, როდესაც თამაშს ხუთეულში იწყებ. „ენ ბი ეი-ში“ სულ 30 ცენტრია, რომელიც პირველი წუთებიდანვე პარკეტზეა და, როდესაც შენ ერთ-ერთი მათგანი ხარ, ძალიან სასიამოვნოა.

სეზონის პირველ ნახევარში უმძიმესი ტრავმა მიიღო გუნდის ახალწვეულმა ჯაბარი პარკერმა, რომელმაც დარჩენილი მატჩები მთლიანად გამოტოვა. პარკერი ლიგის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ მიიჩნევა. რამდენად კარგი კალათბურთელია იგი და რამდენად დაეტყო გუნდს მისი არყოფნა?

ჯაბარი პარკერი ნამდვილად ძალიან ნიჭიერი მოთამაშეა და იგი დრაფტზე მეორე ნომრად შემთხვევით არ აურჩევიათ. სამწუხაროა, რომ მან ტრავმა მიიღო. პარკერი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა და „მილუოკი“ მასზე უდიდეს იმედებს ამყარებს. ჯაბარის საუკეთესო ექიმები დაუქირავეს, რომ იგი მალე დაბრუნდეს და მომავალ სეზონს კარგ ფორმაში შეხვდეს. სავარაუდოდ, რამდენიმე წელიწადში „ბაქსი“ მთლიანად მასზე იქნება აწყობილი. ასევე ძალიან ნიჭიერი მოთამაშეა ახალგაზრდა ბერძენი გიანის ანტეტოკუმპო, რომელიც ჯაბარი პარკერთან ერთად გუნდის მომავალი ლიდერი უნდა იყოს.

სეზონის ბოლოს „მილუოკიმ“ საკმაოდ საკამათო გაცვლა განახორციელა. გუნდის ლიდერი ბრენდან ნაიტი ახალგაზრდა პლეიმეიკერ მაიკლ კარტერ უილიამსში გაიცვალა. შენი აზრით, რამდენად გამართლებული იყო ეს ცვლილება და ნაიტის წასვლა გუნდის თამაშზე როგორ აისახა?

ეს გაცვლა მენეჯმენტის გადაწყვეტილება იყო, რომელიც უფრო მომავალზე არის გათვლილი. ბრენდანი ძალიან მაგარი მოთამაშეა, რომელმაც ბევრი შეხვედრა მოგვაგებინა. კარტერ უილიამსი ნიჭიერი ახალგაზრდა კალათბურთელია, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებენ. მხოლოდ დრო გვიჩვენებს, თუ რამდენად გამართლებული იყო ეს გაცვლა, დღევანდელი გადმოსახედიდან ამაზე მსჯელობა ძნელია.

წელს კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი ჩაატარე. იყო რამდენიმე დასამახსოვრებელი მომენტი. განსაკუთრებით გამოვყოფ შეხვედრას, რომლის დროსაც „ბრუკლინ ნეტსის“ წინააღმდეგ 22 ქულისა და 21 მოხსნის (18 შეტევაში) დაგროვება შეძელი. ერთ შეხვედრაში, შეტევაში 18 მოხსნა არის „ენ ბი ეი-ს“ ისტორიაში ყველა დროის მესამე შედეგი. გაიხსენე ეს მატჩი. შეტევაში ამდენი მოხსნის გაკეთება როგორ მოახერხე?

ყველაფერს განაპირობებს მონდომება, ბრძოლა და ენერგიის ჩადება იმ საქმეში, რომელსაც აკეთებ. არ ვიცი, მოხდა ისე, რომ საბოლოო შედეგი ასეთი იყო. რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა, როდესაც შენი მიღწევით ისეთი მოთამაშეების გვერდით დგები, რომელიც არიან დენის როდმანი, მუიზის მელოუნი და ჩარლზ ოუკლი.

შემდეგ სეზონში „დალას მავერიკსის“ რიგებში მოგიწევს თამაში. რამდენად გაგახარა ამ გაცვლამ და რა იქნება შენი როლი ახალ გუნდში?

„მილუოკიში“ თავს კარგად ვგრძნობდი, თუმცა გუნდში „დეტროიტიდან“ მოიყვანეს ახალი მოთამაშე გრეგ მონრო, რომელიც, დიდი ალბათობით, იქნება კიდეც „ბაქსის“ ძირითადი „ცენტრი“. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ჩემი „დალასში“ გადასვლა გამეხარდა, რადგან იქ ტაისონ ჩენდლერი აღარ არის და მეც ხუთეულში ადგილის დამკვიდრებას შევეცდები. ძალიან მონდომებული ვიქნები და ძალისხმევას არ დავიშურებ; ვნახოთ, საბოლოოდ რა გამოვა და გუნდს როგორ შევეწყობი. ასევე სასიამოვნოა, რომ ისეთ კალათბურთელებთან ერთად მომიწევს თამაში, როგორებიც არიან დირკ ნოვიცკი და დერონ უილიამსი.

ნოვიცკი და უილიამსი იმ სუპერვარსკვლავების

რიცხვს შეემატებიან, რომლებსაც კარგად იცნობ და რომლებთან ერთადაც გითამაშია. ვისთან მეგობრობ ყველაზე მეტად?

თითქმის ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. „ენ ბი ეი“ ერთი პატარა ოჯახია, სეზონის განმავლობაში ბევრ შეხვედრას ატარებ და ბევრ კალათბურთელთან გიწევს ურთიერთობა. კონკრეტულად რომელიმე მოთამაშის გამოყოფა გამიჭირდება, უფრო მეტად მაინც ევროპელ კალათბურთელებთან ვმეგობრობ.

ცნობილია შენი დაპირისპირება კევინ გარნეტთან. ამ ინციდენტის შემდეგ თქვენი ურთიერთობა როგორ გაგრძელდა?

დღეს მე და კევინს საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა გვაქვს. გარნეტი ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა და შეუძლებელია, ეს არ აღიარო. ინციდენტი თამაშის დროს მოხდა, მოედნის გარეთ ეს დაძაბულობა არ გაგრძელებულა. რამდენჯერმე შევხვდი კიდეც და საკმაოდ თბილად ვისაუბრეთ. მე ვაფასებ იმ ხასიათს, რომელიც აქვს გარნეტს და იმასაც, თუ როგორ მიაღწია მან ამხელა წარმატებას. ის ყოველთვის აკეთებდა იმას, რაც ამა თუ იმ მომენტში თავისი გუნდისთვის იყო საჭირო, ისევე როგორც მე. ასე რომ, დღეს ყველაფერი კარგად არის.

კარიერის მანძილზე გარნეტის გარდა ბევრი ძლიერი კალათბურთელის წინააღმდეგ მოგიწია თამაში. ვისთან დაპირისპირება გაგჭირვებია ყველა მეტად?

ორი მოთამაშე მახსენდება: შაკილ ო’ ნილი და იაო მინი.

ვინ არის საუკეთესო მწვრთნელი, რომელთანაც გიმუშავია?

ერთი კონკრეტული მწვრთნელის გამოყოფა მიჭირს. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ბევრ უმაღლესი დონის სპეციალისტთან მომიწია მუშაობა. ყველამ რაღაც წვლილი შეიტანა ჩემს განვითრებაში.

ვინ არის შენი საყვარელი კალათბურთელი?

ბავშვობიდან ყველაზე მეტად ტიმ დანკანი მომწონდა. ის ჩემს პოზიციაზე თამაშობს და შემიძლია ვთქვა, რომ ტიმი ჩემი საყვარელი კალათბურთელია. მიმაჩნია, რომ მიუხედავად თავისი ასაკისა, იგი დღესაც ერთ-ერთი საუკეთესოა. მეჯერი რომ ვიყო, აუცილებლად დანკანს ავიყვანდი.

ვინ გასწავლა ყველაზე მეტი „ენ ბი ეი-ს“ პირველ სეზონებში?

პირველ რიგში, ვეტერანი მოთამაშეები უნდა გამოვყო. როდესაც გუნდში მიდიხარ, უფროსი მეგობრებისგან ყველაზე მეტს სწავლობ. თუმცა, რა თქმა უნდა, მწვრთნელებსაც და ასისტენტებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

გაიხსენე საუკეთესო მომენტი შენი კარიერის განმავლობაში.

ყველაზე კარგად პირველი „საპლეიფო“ გამოცდილება მახსოვს. მაშინ „ატლანტაში“ ვთამაშობდი და სერიაში „ბოსტონ სელტიქსს“ დავუპირისპირდით. მიუხედავად იმისა, რომ ამის შემდეგ კიდევ ექვსჯერ მომიწია „პლეი ოფში“ თამაში, პირველი გამოცდილება მართლაც დაუვიწყარია.

როგორ აფასებ 2015 წლის „ევრობასკეტზე“ საქართველოს ნაკრების შანსს?

საკმაოდ რთული ქვეჯგუფი შეგვხვდა, თუმცა შემდეგ ეტაპზე გასვლა სრულიად შესაძლებელია. საკუთარ თავზე უნდა ვიფიქროთ და ჩვენი კალათბურთი ვითამაშოთ. მთავარია, ყველა ჯანმრთელი იყოს, მოსამზადებელი ეტაპი ნაყოფიერად გავიაროთ და სექტემბერს კარგ ფორმაში შევხვდეთ.

როგორც ცნობილია, შენ „მილუოკი ბაქსის“ ძველი პარკეტი შეიძინე. როდის აპირებ მის საქართველოში ჩამოტანას და როგორ უნდა გამოიყენოთ?

პარკეტი გამოგზავნის პროცესშია. უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი, თუ როგორ მოვიხმართ მას.

რას აპირებ კარიერის დასრულების შემდეგ? მწვრთნელობაზე თუ გიფიქრია?

არ დაგიმალავ და, მწვრთნელობაზე არ ვფიქრობ. უახლოეს მომავალში კალათბურთისთვის თავის დანებებას არ ვაპირებ. ასე რომ, ამაზე ჯერჯერობით ბევრი არ მიფიქრია.

რას ურჩევ დამწყებ კალაბურთელებს?

წარმატების გასაღები მხოლოდ ერთი კონკრეტული რამ არ არის. ბევრი ფაქტორი არსებობს, რომელიც დამწყებმა მოთამაშემ უნდა გაითვალისწინოს. პირველ რიგში, მთავარია, საქმის სიყვარული, პროფესიონალიზმი და მონდომება. შეიძლება მიზნის მისაღწევად თვეები და წლები დაგჭირდეს. ასე რომ, მოთმინება ძალიან მნიშნველოვანია. მაინც, ქართული ხასიათი ისეთია, რომ ყველაფერი სწრაფად გვინდა და ხანდახან ასე არ ხდება. მთავარია, საკუთარ თავზე მუშაობა განაგრძო, რათა შენი შესაძლებლობები მუდმივად უმჯობესდებოდეს. თუ მოინდომებ, ბევრს იშრომებ და საქმეს სიყვარულით მიუდგები, შეუმჩნეველი ნამდვილად არ დარჩები; შანსი მოგეცემა და ეს შანსი უნდა გამოიყენო.

Rocky *Marciano*

გაგა ნახუცრიშვილი



რეკორდი მარჩიანენი: — „ფული მთავარი არ არის, კრივი ჩემი სიყვარულია“

Rocky Marciano vs. Roland LaStarza (1950), Rocky Marciano vs. Joe louis (1951),
Marciano vs. Jersey Joe Walcott (1952), Rocky Marciano vs. Ezzard Charles (1954),
Rocky Marciano vs. Archie Moore (1955)

ჩემს ბავშვობაში ხშირად ასეთ ამბავს ჰყვებოდნენ: ბარში, ბარმენის დახლთან, ახალგაზრდა კაცი იჯდა და კათხა ლუდს მიირთმევდა. *ვიღაც მოძველებიჭო ტიპი მისდგომია: შენა, ბიჭო, აქ ლუდს რომ ხვრეპ, გამარჯობა არ უნდა მითხრაო, უთქვამს.*

ახალგაზრდა ფეხზე წამომდგარა, ხელი ჩამოურთმევია და გამარჯობაო, უპასუხია ზრდილობიანად. მერე ლუდი ჩაუცლია და ბარიდან გასულა. ვინ იყო ეს მომღიმარიო, უკითხავს იმ ტიპს ბარმენისთვის. ეს როკი მარჩიანო იყოო, გასცინებია ბარმენს. იმასაც სახეზე მიწის ფერი დასდებია.

არ ვიცი, რეალობაა თუ ლეგენდა ჩემი ბავშვობისდროინდელი ამბავი, მაგრამ ლეგენდის წარმოშობასაც ხომ პიროვნება განაპირობებს, მისი ხასიათი, განვლილი ცხოვრება. მაგალითად, არავის მოუვა აზრად, მაიკ ტაისონზე ასეთი რამ რომ გამოიგონოს.

HAIR

კრივი ხომ მხოლოდ სპორტი არ არის. კრივი მოწოდებაა, ცხოვრების წესია. ყოველი შემთხვევისთვის, როკის დროს ასე იყო.

,,ფული მთავარი არ არის, კრივი ჩემი სიყვარულია“, – ამბობდა მარჩიანო. ბანალურად ჟღერს, არა?!
დღეს, როცა სპორტში უზარმაზარი ფული ტრიალებს. თანაც ყველა დიდი სპორტსმენი გაიძახის, რომ მთავარი



Rocky Marciano vs. Roland LaStarza (1950)



Marciano vs. Jersey Joe Walcott (1952),



Rocky Marciano vs. Joe Louis (1951)

Rocky Marciano vs. Ezzard Charles (1954),

სიყვარულია და გაგება. მაგრამ კრივი ხომ მხოლოდ სპორტი არ არის. კრივი მოწოდებაა, ცხოვრების წესია. ყოველი შემთხვევისთვის, როკის დროს ასე იყო.
როკი მარჩიანო (ნამდვილი სახელია, როკო ფრენსის მარკეჯანო) დაიბადა 1923 წლის 1 სექტემბერს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მასაჩუსეტსის შტატში, ქალაქ ბროქტონში, იტალიელი ემიგრანტების მრავალშვილიან ოჯახში. რინგზე გამოსვლისას ხშირად მის მოკრივის შორტებს იტალიის დროშის ფერები ამშვენებდა.

ოჯახი ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა. პატარა როკიც არანაირ სამუშაოს არ თაკილობდა. თოვლს ხვეტდა, მიწას თხრიდა, ჭურჭელს რეცხავდა...
როკი მარჩიანოს პირველი გატაცება ბეისბოლი იყო, სპეციალისტებს პერსპექტიულ ბეისბოლისტად მიაჩნდათ და კარგ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ. მოულოდნელია, უცნაურია ბედისწერა, უსიამოვნო შემთხვევა და პერსპექტიული ბეისბოლისტისგან დიდებული მოკრივე დადგება.
როგორც მოკრივე, მარჩიანო საკმაოდ გვიან გაიხსნა, ესეც დიადთა ხვედრია. ან ძალიან ადრე ამობრწყინდება

როგორც მოკრივე, მარჩიანო საკმაოდ გვიან გაიხსნა.

მათი ვარსკვლავი, ანაც საკუთარ თავს გვიან პოულობენ. 1950 წლის მარტში მარჩიანოს პირველი დიდი ბრძოლა შედგა. მისი მეტოქე რონალდ ლასტარცი იყო. უპირატესობას ლასტარცი ფლობდა, მაგრამ თხუთმეტრაუნდიან

HAIR

მარჩიანომ, როგორც პროფესიონალმა მოკრივემ, ორმოცდაცხრა ბრძოლა გამართა და ყველა მოიგო.



Rocky Marciano vs. Archie Moore (1955)

ბრძოლაში მსაჯებმა საეჭვო გამარჯვება როკი მარჩიანოს მიანიჭეს. „გამიმართლა, გამარჯვებას მეტოქე უფრო იმსახურებდა“, – იტყვის როკი.

1951 წლის ოქტომბერში ლეგენდარულ, თუმცა უკვე მობერებულ ჯო ლუისს შეხვდა და მერვე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა.

1952 წლის სექტემბერში მარჩიანო მსოფლიო ჩემპიონს, ჯერსი ჯო უოლკოტს შეებრძოლა და კარიერაში პირველად ნოკდაუნში აღმოჩნდა, მაგრამ არ შედრკა და მეცამეტე რაუნდში ჩემპიონი ნოკაუტში ჩააგდო. ეს პაექრობა ავტორიტეტულმა ჟურნალმა, „რინგმა“ „წლის ბრძოლად“ შერაცხა.

1953 წლის მაისში მატჩრევანში გაიმართა. მარჩიანომ უოლკოტი ნოკდაუნში გაგზავნა. ის მეათე თვლაზე წამოდგა, მაგრამ მსაჯებმა ბრძოლა შეაჩერეს და უოლკოტი დამარცხებულად ცნეს. უოლკოტის სეკუნდანტები შედეგს გაცხარებულები აპროტესტებდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ამ ბრძოლასაც დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა, თუმცა მარჩიანო მაინც სჯობდა მეტოქეს.

1953 წლის სექტემბერში როკი მარჩიანო და ლასტარცი ერთმანეთს ისევ გადაეყარნენ. ამჯერად როკიმ სუფთა გამარჯვება მოიპოვა მეთერთმეტე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით. ჟურნალმა „რინგმა“ ეს პაექრობაც „წლის ბრძოლად“ აღიარა.

1954 წლის ივნისში ყოფილ მსოფლიო ჩემპიონს ეზარდ ჩარლდს შეხვდა და ქულებით დამაჯერებლად გაიმარჯვა.

1955 წლის მაისში დონ კოკელს ებრძოლა. კოკელი დიდი ვერაფერი მოკრივე იყო. როკიმ მეცხრე რაუნდში ნოკაუტით გაიმარჯვა.

1955 წლის სექტემბერში ძალიან საინტერესო ბრძოლა გაიმართა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში როკი მარჩიანო და მსოფლიო ჩემპიონი ნახევრად მძიმე წონაში, ასევე ლეგენდარული არჩი მური. მარჩიანომ მეცხრე რაუნდში ნოკაუტით გაიმარჯვა. ეს მისი უკანასკნელი ბრძოლა იყო. უკვე ზურგის პერმანენტული ტკივილი ტანჯავდა და წავიდა.

მარჩიანომ, როგორც პროფესიონალმა მოკრივემ, ორმოცდაცხრა ბრძოლა გამართა და ყველა მოიგო. ასეთი რამ დღემდე ვერც ერთმა სხვა მძიმეწონიანმა მოკრივემ ვერ შეძლო, ამითაც არის ერთადერთი, განუმეორებელი. დიდი იმითაც იყო, რომ თავის მოწინააღმდეგეებს მთელი ცხოვრების მანძილზე ეხმარებოდა, რითაც შეეძლო.

როკი მარჩიანო 1969 წლის 31 აგვისტოს ავიაკატასტროფაში დაიღუპა; მეორე დღეს 46 წლის შესრულდებოდა.

HAIR

ТРАКТИР ТРИ КОЗАКА
ЛАСКАВО ПРОСИМО

ТРАКТИР ТРИ КОЗАКА

„ტრი კაზაკა“

ჯანსაღი საკვები - ჯანმრთელობისა და ფიზიკური სიძლიერის შესანარჩუნებლად აუცილებელი პირობაა. უკრაინელი კაზაკები ყოველთვის გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემებით, ჯანმრთელობითა და სიმამაცით. როგორც ამბობენ, ჯანსაღი საკვები კაზაკებს ბრძოლებში ძალას მატებდა. კაზაკები გეახლებოდნენ დღეში სამჯერ. მათ კვების რაციონს აუცილებლად ავსებდა ცხელი კერძი. საფირმო კერძებს შორის იყო კულიჩები, პურის კვერები - სოლომახა (პურეულის აფუებული ცომი), ტეტერია (წვნიანი პურეულის ფქვილისგან), ტიურა (ფხვნილში გახეხილი ორცხობილა, ჩამბალი ბურახში და შეკაზმული მარილიან წყალში), შჩერბა (თევზის წვნიანი) და ასევე ღომი. მათ საყვარელ საკვებად, ასევე, ითვლებოდა გირცები, კულიჩები და პოტაპცები. ყოველი ჩამოთვლილი კერძი, გემრიელთან ერთად სასრგებლოც იყო.

„ტრი კაზაკა“ თბილისში ერთ-ერთი საუკეთესო უკრაინული რესტორანია. ინტერიერი გადაწყვეტილია კლასიკური ქოხის სტილში: თიხის თეთრი კედლები, მასიური ხის ავეჯი, ბუხარი, ხის თაროები ნაირნაირი მწნილეულითა და უკრაინული ეთნოგრაფიული ნივთებით. მენიუ აქ განსაკუთრებულია: საუკეთესოდ მომზადებული უკრაინული კერძები, სხვადასხვა სორტის ქონი, სახლის სასმელები, ტკბილი ნაყენი და ა.შ

ეს სივრცე იდეალურია როგორც საქმიანი შეხვედრებისათვის, ასევე რომანტიული ვახშმისათვის. გულისხმიერი მასპინძლის როლს აქ მიმტანები ითავსებენ. უგემრიელეს კერძებთან ერთან „ტრი კაზაკას“ უპირატესობა სწორედ მაღალი ხარისხის მომსახურებაა. მაღალკვალიფიციური რესტორნის პერსონალი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სტუმარმა აქ თავი მაქსიმალურად კომფორტულად იგრძნოს.

რესტორანი „ტრი კაზაკა“ არის ადგილი, სადაც ერთხელ მისული სტუმარი აუცილებლად შკან დააბრუნდება.

3.Vekua Str.(Pirimze).Tbilisi.Georgia | Tel:(+995)555777776

THE ONE

გიორგი ბარბაქაძე

რაგბის სამყარო უკვე დღეებს ითვლის – ახლოვდება რიგით მეცხრე მსოფლიო თასის გათამაშება, რომელსაც ბრიტანეთი უმასპინძლებს. ამ უმნიშვნელოვანეს სპორტულ მოვლენას ქართველი გულშემატკივარიც უდიდესი ინტერესით ელის, ვინაიდან „ბორჯღალოსნებმა“ ზედიზედ მეოთხედ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება. C პულში მოხვედრილი „ქართველი ლელოები“ ჯგუფური ეტაპის საწყის 2 მატჩს სარაგბო კლუბ „გლოსტერის“ KINGSHOLM STADIUM-ზე გამართავენ (აშენდა 1891 წელს, მაყურებელთა ტევადობა – 16 500). 19 სექტემბერს ტონგას დაუპირისპირდებიან, ხოლო 25-ში არგენტინას. „ბორჯღალოსანთა“ მორიგი „გაჩერება“ უელსის დედაქალაქი კარდიფი იქნება, 2 ოქტომბერს MILLENNIUM STADIUM-ზე (აშენდა 1999 წელს, მაყურებელთა ტევადობა – 74 500) მსოფლიოს უძლიერესი, ახალი ზელანდიის ნაკრები გველოდება, ხოლო ჯგუფური ეტაპის უკანასკნელ მატჩს კი „ბორჯღალოსნები“ 7 ოქტომბერს „ექსეთერ ჩიფსის“ სარაგბო არენა SANDY PARK-ზე (აშენდა 2006 წელს, ტევადობა – 12 500) ნამიბიელთა წინააღმდეგ გამართავენ. ზემოთ ნახსენები არენები მსოფლიო თასის არაერთ მატჩს უმასპინძლებენ, თუმცა მთავარი მოვლენები და გადამწყვეტი დაპირისპირებები „სარაგბო მექად“ წოდებულ ლეგენდარულ „თვიქენჰემზე“ შედგება...

მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმული სარაგბო არენის,”თვიქენჰემის“ შექმნის ისტორია ცოტაოდენ პარადოქსული და კურიოზულია.

Cabbage Patch

მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმული სარაგბო არენის, „თვიქენჰემის“ შექმნის ისტორია ცოტაოდენ პარადოქსული და კურიოზულია: XX საუკუნის დასაწყისში ინგლისელთა ორ ყველაზე პრინციპულ მეტოქეს, უელსსა და ირლანდიას, უკვე გააჩნდათ საკუთარი სარაგბო არენები, სადაც ისინი სისტემატურად მართავდნენ საშინაო მატჩებს. ინგლისელთა საამაყო „ალისფერი ვარდები“ კი მომთაბარე გზას ეწეოდნენ და ქვეყნის სრული მასშტაბით მოგზაურობდნენ, რათა სხვადასხვა ქალაქის სტადიონებზე მეტოქეთათვის ემასპინძლათ. უდიდესი ამბიციის მქონე ინგლისელები ასეთ მდგომარეობაში დიდხანს ვერ გაჩერდებოდნენ და 1907 წელს ინგლისის რაგბი-ფეხბურთის კავშირმა (RFU- RUGBY FOTBALL UNION) მიიღო გადაწყვეტილება, საკუთარი სარაგბო ნაკრებისათვის საშინაო არენა აეშენებინა. ამისათვის კი ლონდონის ცენტრიდან 10 მილში მოინახა ადგილი – მინდორი, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას კომბოსტო მოჰყავდა. მხოლოდ ინგლისელ-

Hundreds before you. Thousands around you. Millions behind you.

HAIR

ებს თუ ეყოფოდათ გამბედაობა და სპორტული თავხედობა, კომბოსტოს მინდვრებში აეშენებინათ ისტორიული სტადიონი.

ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ ᲠᲐ�გᲑᲘ ᲓᲦᲘᲗᲘ ᲓᲦᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 80-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲘᲢᲔᲡ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲐᲝ ᲐᲠᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲖᲔᲑᲐ ᲒᲐᲔᲙᲔᲗᲔᲑᲘᲜᲐᲗ.

მშნებლებს სპორტული არენის აგებისთვის მხოლოდ 2 წელი დასჭირდათ; 1910 წელს კი „თვიქენჰემზე“ ადგილობრივ გუნდებს შორის პირველი მატჩი ჩატარდა: „ჰარლექუინზი“ „რიჩმონდს“ დაუპირისპირდა. ახლად გახსნილ სტადიონზე ორი ათასამდე გულშემატკივარი შეიკრიბა. ამ მოვლენიდან 14 თვეში კი სპორტულმა არენამ ინგლისის ნაკრების მატჩი მიიღო, რომელსაც უკვე 16 000 გულშემატკივარი დაესწრო. „ალისფერმა ვარდებმა“ უელსელი „დრაკონები“ 11:6 დაამარცხეს. „თვიქენჰემი“ ინგლისელთათვის იღბლიანი გამოდგა. თუმცა, ბედის ირონიით, ამ მოვლენებიდან საკმაოდ მალე ევროპა პირველმა მსოფლიო ომმა მოიცვა. შესაბამისად, „თვიქენჰემი“ ინგლისის სარაგბო ნაკრების საშინაო არენიდან უცბად შინაურ ცხოველთა საძოვრად იქცა, მაგრამ 1926 წლიდან ყველაფერი კვლავ მწყობრში ჩადგა და ინგლისელებმა თამაში „კომბოსტოს მინდვრებში“ ისევ გააგრძელეს.

ვინაიდან ინგლისში რაგბი დღითი დღე უფრო პოპულარული ხდებოდა, გასული საუკუნის 80-იან წლებში ინგლისელებმა გადაწყიტეს, ეროვნული ნაკრების საშინაო არენისთვის მოდერნიზება გაეკეთებინათ. მათ თავდაპირველად აღმოსავლეთ ტრიბუნის რეკონსტრუქცია წამოიწყეს, რასაც დასავლეთ ტრიბუნის განახლებაც მოჰყვა, შედეგად „თვიქენჰემი“ 75 000-მაყურებლიან გოლიათად იქცა და ის იმ დროისათვის ევროპაში ყველაზე დიდ სარაგბო არენას წარმოადგენდა.

ინგლისური ტრადიციის მიხედვით, ყველა გამორჩეულ არენას თავისი ჰიმნი აქვს. სიმღერა, რომელიც წინასწარ კი არ იწერება, არამედ გულშემატკივართა მხრიდან წამოსული ემოციიდან ექსკლუზიურად იქმნება. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც „თვიქენჰემი“ იყო: 1989 წელს ინგლისი ხუთი ერის მატჩის რანგში ირლანდიას მასპინძლობდა და პირველი ტაიმის შემდეგ 0:3 მარცხდებოდა. მატჩის მეორე ნახევრის სტარტზე ინგლისელთა ფერადკანიანმა ფრთის მოთამაშემ, კრის ოტიმ, ბრწყინვალე ლელო გაიტანა. სტადიონის საწყის რიგებში მჯდომმა მადლიერმა სკოლის მოსწავლეებმა კი ოტის პატივსაცემად ცნობილი აფროამერიკელი მომღერლის, ვოლეს ვილისის სიმღერა „SWING LOW, SWEET CHARIOT“ წამოიწყეს. რამდენიმე წუთში ოტიმ მეორე ლელო გაუტანა ირლანდიელებს და ამჯერად მომღერალთა გუნდს სოლიდური ჯგუფი შეემატა, ხოლო მატჩის მიწურულს, როდესაც კრისმა „ჰეთთრიკი“ შეასრულა, უკვე „SWING LOW“-ს მთელი სტადიონი ერთხმად მღეროდა. მატჩი ინგლისელთა 30-ქულიანი გამარჯვებით დასრულდა, სიმღერა კი „თვიქენჰემის“ ჰიმნად იქცა.

ლეგენდარული არენის საუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში გულშემატკივარს არაერთი დიადი მატჩი ახსოვს, რომელშიც მათმა სათაყვანებელმა ნაკრებმა დასამახსოვრებელი გამარჯვება მოიპოვა, თუმცა იყო გამონაკლისებიც და დიდი იმედგაცრუებებიც; თუნდაც 1991 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი, როდესაც ინგლისმა საკუთარ არენაზე ავსტრალიასთან 6:12 წააგო და სანუკვარი მიზნის მიღწევა 12 წლით გადადო. ინგლისური რაგბის არსებობის ისტორიაში „ალისფერ ვარდებს“ საყოველთაო აღიარებით ყველაზე ძლიერი ნაკრები XXI საუკუნის დასაწყისში ჰყავდათ: 1999 წლიდან 2004 წლის მარტამდე ინგლისელები საკუთარ არენაზე დაუმარცხებელნი იყვნენ, გულშემატკივარმა კი სარაგბო მოედანს ახალი სახელი მოუძებნა – ციხესიმაგრე (CASTLE). 2004 წლის დეკემბერში რაგბის კავშირის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ მიიღეს გადაწყვეტილება სტადიონის გაფართოების თაობაზე და არენაზე მაყურებელთა ტევადობა 82 000-მდე გაიზარდა. ამ მაჩვენებლით „თვიქენჰემი“ ინგლისში დღემდე მეორეა (ჩამორჩება მხოლოდ უემბლის), ხოლო ევროპაში – რიგით მეხუთე.

თანამედროვე „თვიქენჰემი“ არქიტეტქურული შედევრია, რომელშიც ერთმანეთს ისტორია და თანამედროვეობა თანაბრად ერწყმის. არენასთან მიახლოებისთანავე თვალში მოგხვდებათ ოქროსფერი ლომის ქანდაკება (ინგლისელთა ისტორიული სიმბოლო), მისგან ოციოდე მეტრში კი დგას სკულპტურული კომპოზიცია, რომელიც ასახავს 5 მორაგბის საჰაერო ბრძოლას ოვალური ბურთისთვის – მკაფიო მინიშნება იმისა, რომ თქვენ სწორედ სარაგბო არენაზე მოხვდით. სტადიონზე შესვლა და საკუთარი ადგილის მონახვა მაქსიმალურად არის გამარტივებული, რასაც იდეალური არქიტექტურული დიზაინი და კარიბჭეთა მოსახერხებელი განლაგება უზრუნველყოფს. დერეფნები და ჰოლები მოპირკეთებულია სარაგბო სიტუაციების ამსახველი მხატვრული კომპოზიციებით, ხოლო კედლებს, ლეგენდარულ მორაგბეთა სურათების გარდა, ამშვენებს ფრაზები, რომლებიც მაყურებელში დიდ მუხტსა და მოტივაციას ბადებს: Hundreds before you. Thousands around you. Millions behind you.

არენას გააჩნია საკუთარი სასადილო დარბაზი, რომელიც 350 კაცზეა გათვლილი, ასევე 200-ადგილიანი კინოთეატრი, საპრესკონფერენციო სივრცე (280 ადამიანი); ფუნქციონირებს სარაგბო მუზეუმი, რომელიც მსოფლიო რაგბის „პატარა ენციკლოპედიაა“. 2005 წელს მსოფლიო რაგბის ფედერაციამ სწორედ „თვიქენჰემი“ აირჩია „ყველა ვარსკვლავთა მატჩის“ მასპინძლად, რომელშიც ერთმანეთს სამხრეთ ნახევასფეროს გამორჩეული მორაგბეები ჩრდილოეთ ნახევარსფეროს საუკეთესო მოთამაშეებს დაუპირისპირდნენ. სარაგბო მატჩების გარდა, სტადიონი არაერთხელ მოხვედრილა მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში, როგორც გრანდიოზული კონცერტების მასპინძელი.

რაგბის წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის დროს „თვიქენჰემზე“ უმნიშვნელოვანესი თამაშები გახურდება, ვინაიდან არენამ მსოფლიო თასის 10 მატჩს, მათ შორის, 2 ნახევარფინალს და ფინალურ დაპირისპირებას უნდა უმასპინძლოს.

HUNDREDS BEFORE YOU. THOUSANDS AROUND YOU. MILLIONS BEHIND YOU.

პანჩო გონსალესი 1969

გენიოსი და მარტოხელა მგელი

არჩილ კეკელია

ჩოგბურთის ისტორიას ახსოვს პიროვნებები, რომელთაც არა მარტო შეცვალეს მაყურებლის წარმოდგენა სპორტზე, არამედ გავლენა იქონიეს ჩოგბურთის განვითარებაზე.

უიმბლდონის ტურნირის პირველი წრის შეხვედრა არასოდეს ყოფილა ისეთი დაძაბული, როგორიც 1969 წელს. „რა ჩოგბურთზეა საუბარი, როცა ბურთსაც კი ვერ ვხედავ“, – პანჩო გონსალესის ამ მორიგ შეძახილს მაყურებელი სტვენით შეხვდა. გონსალესმა ჩოგანი მსაჯის სკამის წინ დაამტვრია და მსაჯს ახედა. ჩარლზ პასარელისა და პანჩო გონსალესის შეხვედრის დასაწყისიდანვე ორივე ჩოგბურთელი თავის ჩაწოდებას 45 გეიმის განმავლობაში ინარჩუნებდა, სანამ პასარელმა პანჩოს ბურთი თავზე არ გადაუგდო და სეტის მოგების მეთორმეტე შესაძლებლობა გამოიყენა. 24-22 – ასე დამთავრდა პირველი სეტი. მეორე კი საღამოს შვიდი საათის შემდეგ მოღრუბლულ ამინდში დაიწყო და პასარელმა სეტი ადვილად, ანგარიშით 6-1 მოიგო.



რიკარდო ალონსო გონსალესი 1928 წლის 9 მაისს ლოს-ანჯელესის გარეუბანში, მექსიკელი ემიგრანტების ოჯახში დაიბადა.

პანჩო, როგორც მას მეგობრები ეძახდნენ, მოუსვენარი ბიჭუნა იყო. 12 წლის პანჩოს საშობაოდ ნახევარ დოლარად ღირებული ჩოგანი აჩუქეს და მას შემდეგ ბიჭუნა ჩოგბურთმა გაიტაცა. უკვე ორი წლის მერე თვითნასწავლი ჩოგბურთელი სამხრეთ კალიფორნიის ჩემპიონი გახდა თავის ასაკობრივ ჯგუფში. აშშ-ის ეროვნულ პირველობაზე პანჩო არ დაუშვეს, რადგან მან სკოლაში სწავლა აღარ მოისურვა. გონსალესმა აშშ-ის ფლოტში გაწვევას თავი ვერ აარიდა, თუმცა ძალა გამონახა, რომ არმიის შემდეგ ჩოგბურთს დაბრუნებოდა. 1947 წელს პანჩოს შესთავაზეს მექსიკის სახელით გამოსვლა. პანჩომ უარყო ეს წინადადება, რადგან მას აშშ-ის მოქალაქეობის დაკარგვა არ სურდა.

უკვე მომდევნო წელს, მოულოდნელად, მეჩვიდმეტე ნომრად განთესილი გონსალესი მოყვარულებში აშშ-ის ჩემპიონი

აშშ-ის ეროვნულ პირველობაზე პანჩო არ დაუშვეს, რადგან მან სკოლაში სწავლა აღარ მოისურვა.

თამაში მეორე დღისთვის გადაიდო. ჩოგანს დაყრდნობილი, გაბრაზებული პანჩო გონსალესი წელში გაიმართა, ჭაღარაშერეული თმა გაისწორა და გასასვლელისკენ გასწია. უკმაყოფილო მაყურებელი აღშფოთებული იყო გონსალესის ქცევით.

HAIR

გახდა. მან ეს მიღწევა 1949 წელს გაიმეორა ფორესტ-ჰილში. ამავე წელს პანჩომ ორი ტიტული მოიგო წყვილთა თანრიგში, საფრანგეთის ჩემპიონატსა და უიმბლდონის ტურნირებზე, ხოლო აშშ-ის ნაკრების შემადგენლობაში თასი მოიპოვა. მიუხედავად ადრეული გამარჯვებებისა, გონსალესის თამაში არასტაბილურობით გამოირჩეოდა. ის ხშირად მარცხდებოდა გაცილებით სუსტ მეტოქეებთან, რის გამოც პრესაში „ყალბ ჩემპიონად“ (ინგლ. **Cheese Champion**. პირდაპირი მნიშვნელობით: ყველის ჩემპიონი) მოიხსენიებდნენ. სხვა ჩოგბურთელები, მათ შორის, ლეგენდარული როდ ლეივერი და კენ როზუოლი, მას „გორგოს“ უწოდებდნენ, რაც იტალიურად „დიდ ყველს“ ნიშნავდა.

1949 წლის მიწურულს, ცნობილი ბობი რიგსის რჩევით, გონსალესი პროფესიულ ჩოგბურთში გადავიდა და მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ტურნეში.

1950 წელს პანჩო გონსალესი იგებს პირველ ტურნირს – უემბლის ჩემპიონატს ლონდონში. მან კიდევ ორჯერ გაიმარჯვა ამ შეჯიბრებაში. 1952 წელს კი ფინალში კრეიმერი დაამარცხა. ამავე პერიოდში აშშ-ის ეროვნულ ჩემპიონატში პროფესიონალთა შორის პანჩო ზედიზედ ორჯერ დამარცხდა ფინალში პანჩო სეგურასთან.

1953 წლიდან იწყება პანჩოს ბრძანებლობის ეპოქა ამერიკულ და მსოფლიო პროფესიულ ჩოგბურთში. მან ზედიზედ შვიდჯერ მოიგო აშშ-ის ჩემპიონატი. პირველი ტურნირის ფინალში დაამარცხა ომამდელი ვარსკვლავი დონ ბაჯი, შემდეგ სამჯერ პანჩო სეგურა და ორჯერ ლიუ ჰოადი.

1954-1960 პანჩო მუდმივად იმარჯვებდა მსოფლიო ტურნირებში, სადაც მისი მოწინააღმდეგეები იყვნენ იმ წლების ვარსკვლავები: ტონი ტრაბერტი, ფრენკ სედჯმენი, ჰოადი და კენ როზუოლი. 1961 წელს, ჯეკ კრეიმერთან შვიდწლიანი



კონტრაქტის შემდეგ, პანჩო გონსალესმა გამოაცხადა საჩოგბურთო კარიერის დასრულების შესახებ, დატოვა ლიგა და გახსნა საკუთარი საჩოგბურთო სკოლა ჰოლივუდის მახლობლად, მაგრამ იგი მალევე დაუბრუნდა პროფესიულ ჩოგბურთს, პანჩოს არ შეეძლო „მშვიდი“ ცხოვრება.

პანჩო დიდ დროს უთმობდა და ავარჯიშებდა ისეთ ჩოგბურთელებს, როგორებიც იყვნენ: არტურ ეში, კლიფ რიჩი, ჩარლი პასარელი, დენის რალსტონი.

1963 წელს, როგორც ნაკრების მწვრთელმა, გონსალესმა აშშ-ის ნაკრები დევისის თასის გათამაშების ფინალამდე მიიყვანა. პანჩო დიდ დროს უთმობდა და ავარჯიშებდა ისეთ ჩოგბურთელებს, როგორებიც იყვნენ: არტურ ეში, კლიფ რიჩი, ჩარლი პასარელი, დენის რალსტონი.

1964 წელს გონსალესი აშშ-ის ჩემპიონატის ფინალში გადის.

1968 წელს საფრანგეთის ღია ჩემპიონატში, სადაც ერთად დაიშვებოდნენ მოყვარულები და პროფესიონალები, პანჩომ მიაღწია ნახევარფინალს. იმავე წელს, აქტიური საჩოგბურთო კარიერის დასრულებამდე ხუთი წლით ადრე, გონსალესის სახელი შეიტანეს ნიუპორტის საჩოგბურთო დიდების დარბაზის სიაში.

1969 წელს უიმბლდონის ტურნირის პირველი წრის გადადებული შეხვედრა გონსალესსა და პასარელს შორის გრძელდება. მეორე დღე. ანგარიში სეტებში 2-0 პასარელის სასარგებლოდ. ამ დღეს ამინდი უკეთესია, პანჩოს თამაში კი არა. ძლიერი დარტყმებით პასარელი ძალას აცლის ვეტერანს. გონსალესს კი სისწრაფე და ძალა არ ჰყოფნის, რათა დაცვიდან შეტევაზე გადავიდეს.

გონსალესის წინააღმდეგობამ „გატეხა“ პასარელი და მესამე სეტში ანგარიშით 14-15 მან ორჯერ დაუშვა ორმაგი შეცდომა. პასარელმა დაკარგა დამაჯერებლობა და მასთან ერთად მეოთხე სეტიც (3-6).

მეხუთე სეტში თამაში რთული და დრამატული გახდა. „პანჩომ სისხლი იყნოსა“, – წერდა ბრიტანელი მწერალი რიჩარდ ევანსი. როდესაც ცხადი გახდა, რომ ჩარლიმ წააგო ბლიცკრიგი, აღმოჩნდა, რომ მას მეტი გამძლეობა შერჩენოდა. გონსალესი გადაიღალა, ის ხშირად ეყრდნობოდა ჩოგანს და გათამაშებებს შორის დროის გაგრძელებას საუბრით ცდილობდა. ჩარლიმ შეხვედრა მატჩ-პოინტამდე მიიყვანა, 5-4 და 40:0. პასარელმა „გააწამა“ პანჩო მაღალი ბურთების აგდებით და ბურთის მიღება გონსალესისთვის მომქანცველი გახდა. როდესაც ანგარიში მეშვიდედ გათანაბრდა და თამაში უკიდურესად დაიძაბა, პანჩომ შეძლო და გაათანაბრა ანგარიში გეიმებში 5:5, პანჩომ „გადაარჩინა“ სამმაგი მატჩ-პოინტი. სამი გეიმის შემდეგ გონსალესი კვლავ აგებდა ანგარიშით 7-8, პასარელს კიდევ ერთხელ, მეშვიდედ შეეძლო შეხვედრის მოგება. დაღლილი პანჩო გავიდა ბადესთან, მაგრამ პასარელის შემოვლითი დარტყმა რამდენიმე დიუმით ასცდა უკანა ხაზს.

ამ ეპიზოდის შემდეგ გონსალესმა დაიწყო ქულების მოგება, პასარელმა კი შეცდომების დაშვება. ლომი ზამთარში, მარტოხელა მგელი, საშინელი პანჩო, გორგო – ეს მეტსახელები აღარაფერს ნიშნავდა, როცა პანჩო ათამაშდა აგრესიულად, შთაგონებით. როცა ანგარიში გონსალესის სასარგებლოდ 10-9 იყო, პასარელმა ორმაგი შეცდომა დაუშვა და ბურთი აუტში გააგზავნა. პანჩომ მარათონული შეხვედრა ანგარიშით 22-24, 1-6, 16-14, 6-3, 11-9 მოიგო. მატჩი 5 საათსა და 20 წუთს გაგრძელდა. გათამაშდა 112 გეიმი.

აღფრთოვანებულმა მაყურებელმა ოვაცია მოუწყო პანჩო გონსალესს.

ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა უიმბლდონის ისტორიაში, როდესაც მაყურებელი პირველ დღეს უსტვენდა ჩოგბურთელს, ხოლო მეორე დღეს ტაშით აცილებდა მას.

როდესაც პანჩო აუჩქარებლად ტოვებდა „ბრძოლის ველს“, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა, თუ როგორ გრძნობდა იგი თავს გამარჯვების შემდეგ და მიიღო სიტყვაძუნწი პანჩოს პასუხი: „ცოტათი დავიღალე“.

1969 წლის უიმბლდონზე პანჩომ მოიგო მომდევნო სამი შეხვედრა და წააგო მერვედფინალში არტურ ეშთან.

ყველაფერი, რის თქმაც უნდოდა გონსალესს, ამ ტურნირის პირველი ორი მოღრუბლული და მზიანი დღის განმავლობაში აჩვენა: ის, რაც აკლდა ტრიბუნებზე მყოფ მაყურებელს და ჩოგბურთს წლების განმავლობაში. თავისი ბოლო ტურნირი პანჩო გონსალესმა 1972 წელს მოიგო დე-მოინში. 43 წლისა და 9 თვის პანჩო ATP-ის ეგიდით ჩატარებული ტურნირების ყველაზე ასაკოვანი ჩოგბურთელი გახდა.

პანჩო გონსალესისა და ჩარლზ პასარელის შეხვედრამ „ხელფეხი“ გაუხსნა ტაი-ბრეიკების შემოღების მომხრეებს და „დამატებითი“ გეიმი US OPEN-ზე უკვე მომდევნო წლიდან დააწესეს.

პანჩო გონსალესი ეგრეთ წოდებული „დიდი თამაშის“ ტიპიური წარმომადგენელი იყო. მძლავრი თამაში მთელ კორტზე, მაღალი ტემპი, თანაბრად კარგი თამაში უკანა ხაზზე და ბადესთან ჰაერში, ზუსტი და ძლიერი ჩაწოდება, მოქნილობა და ბურთის შესანიშნავი გრძნობა... მაყურებელი აღფრთოვანებული იყო გონსალესით, ჟურნალისტები კი მის დარტყმებს მუსიკასა და პოეზიას ადარებდნენ. ბად კოლინზმა გონსალესი შეიყვანა ხუთი საუკეთესო მამაკაცი ჩოგბურთელის რიცხვში, ხოლო კრეიმერმა ყველა დროის საუკეთესო ჩამწოდებელ ჩოგბურთელად აღიარა. ფრანგი ჩოგბურთელი ბარტესი პანჩოსთან თამაშის შემდეგ წერდა: „როდესაც ბადის მეორე მხარეს გონსალესს ვხედავ, ასე მგონია, რომ ჩემ წინაშე ფრთაგაშლილი არწივია, რომელიც მთელ მოედანს ფარავს“.

მიუხედავად დადებითი თვისებებისა, პანჩო გამოირჩეოდა აუტანელი ქცევით მოედანსა და მის გარეთ. კარიერის დასაწყისში განცდილმა მარცხებმა შეცვალა გონსალესის ხასიათი. უდარდელი ოპტიმისტიდან მუდმივად უკმაყოფილო „მარტოხელა მგლად“ აქცია. ის მუდმივად კამათობდა მსაჯებთან და შეეძლო, თვეობით არ ესაუბრა მეგობრებთან. უბრაზდებოდა ფოტორეპორტიორებს, ტელეოპერატორებსა და ჟურნალისტებს. იგი განასახიერებდა აგრესიული სპორტსმენის ტიპს.

პანჩოს ურთიერთობებს მუდმივად თან ახლდა სირთულეები, რის გამოც მასთან არღვევდნენ კონტრაქტებს და გონსალესი კარგავდა სამუშაოს.

თუ გონსალესის ქცევა იმსახურებდა კრიტიკას, სულ სხვაგვარი იყო პანჩო ვარჯიშზე. ის ბევრს ვარჯიშობდა მაშინაც კი, როდესაც 40 წელს გადააბიჯა. თამაშის შემდეგ ბრუნდებოდა სასტუმროში და ემზადებოდა შემდეგი შეხვედრისათვის, ისევ თამაშობდა და კვლავ ემზადებოდა მომავალი ბრძოლისათვის. ის არ იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა აქციებში, და როდესაც სხვები არიგებდნენ ავტოგრაფებს, პანჩო რჩებოდა პროფესიონალ ჩოგბურთელად კორტზე და შესანიშნავ მოთამაშედ. გონსალესი აძლევდა რჩევებს ახალბედა ჩოგბურთელებს და ეხმარებოდა მათ.

მას ძალიან უყვარდა ბავშვები და ცხოველები. ეს აქარწლებს მითს „საშინელი“ პანჩოს შესახებ.

პანჩო გონსალესს ჰყავდა ექვსი მეუღლე და რვა შვილი. მისი უკანასნელი მეუღლე იყო რიტა აგასი, ანდრე აგასის და, რომელთანაც პანჩომ 1984 წელს იქორწინა 55 წლის ასაკში.

ის მუდმივად კამათობდა მსაჯებთან და შეეძლო, თვეობით არ ესაუბრა მეგობრებთან. უბრაზდებოდა ფოტორეპორტიორებს, ტელეოპერატორებსა და ჟურნალისტებს.

1994 წელს პანჩო გონსალესი მძიმედ დაავადდა. ის გარდაიცვალა მომდევნო წელს, ტელევიზიით უიმბლდონის ტურნირის ყურებისას. პანჩო გონსალესის დაკრძალვის ხარჯები ანდრე აგასიმ გაიღო.

60's

1966

ჩემი პირველი ჩემპიონატი

პირველად იყო ლონდონი, უფრო სწორად, წყნეთი, თუმცა, ჯობს, ცოტა შორიდან დავიწყო.

მსოფლიო ჩემპიონატი რომ ეპოქალური მოვლენაა, ფეხბურთის ყველა გულშემატკივრისთვის ალბათ საკმაოდ ბანალური ჭეშმარიტებაა. თუმცა, არავითარი „ალბათ“. ეს ხომ უბრალო შეჯიბრება არაა, არამედ ყველაზე პოპულარული სპორტული ტურნირია მსოფლიოში, რომელსაც უფრო მეტი ადამიანი უყურებს, ვიდრე ნებისმიერ სხვა სპორტულ შეჯიბრებას. მას თვით ოლიმპიადაც კი ვერ შეედრება.

1958 წლამდე საბჭოთა კავშირი ამ ტურნირში საერთოდ არ მონაწილეობდა.

არ მახსოვს, ვინ უწოდა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატს „საფეხბურთო ფიესტა“, მაგრამ რაც მართალია, მართალია, ჩემპიონატის დღეებში სხვა ყველაფერი მეორე პლანზე გადადის და ამ საყოველთაო ფეხბურთომანიაში ისინიც კი აღმოჩნდებიან ხოლმე ჩართულები, ფეხბურთის დიდი მოყვარულები რომ არ არიან. მოკლედ, ეს ნამდვილი ფიესტაა — დღესასწაული, რომელიც მუდამ ჩვენთანაა ოთხ წელიწადში ერთხელ.

იყო დრო, როდესაც საქართველოში მსოფლიო ჩემპიონატებს არ აჩვენებდნენ. თუმცა, მაშინ საქართველოც არ იყო ოფიციალურად აღიარებული ქვეყანა, არამედ მხოლოდ სხვა ქვეყნის, საბჭოთა კავშირის, იგივე რუსეთის ნაწილი და ეს ქვეყანა კარგა ხანს იყო დახურული მსოფლიო ჩემპიონატისთვის. 1958 წლამდე საბჭოთა კავშირი ამ ტურნირში საერთოდ არ მონაწილეობდა და როდესაც დაიწყო მონაწილეობა, კარგა ხანს რადიორეპორტაჟიც კი არ გადმოიცემოდა, ტელევიზიაზე რომ არაფერი ვთქვათ.

და, აი, 1966 წელს ნავსი გატყდა და საბჭოთა მაყურებელმაც იხილა ტელერეპორტაჟი ჩემპიონატიდან, რომელიც ფეხბურთის სამშობლოში, ინგლისში ჩატარდა (სწორედ ინგლისში და არა დიდ ბრიტანეთსა თუ გაერთიანებულ სამეფოში). თუმცა, საფეხბურთო ციებ-ცხელება საქართველოში გაცილებით ადრე დაიწყო. თავად ის ფაქტი, რომ ტელერეპორტაჟი მსოფლიო პირველობიდან პირველად მოეწყობოდა, წინასწარ გახდა მსჯელობისა და გარჩევების საგანი. მოახლოებულ ჩემპიონატზე ლაპარაკობდნენ ყველგან: პარკში, ეზოში, რესტორანში თუ უბნის ბირჟაზე.

მაშინ საკმაოდ პატარა ვიყავი და იმდროინდელი ატმოსფერო, დიდი ფეხბურთის საყოველთაო მოლოდინი მხოლოდ ფრაგმენტულად ჩამრჩა მეხსიერებაში; მაგალითად, ჩემი მეზობლის, ლუკა წულაძის კომენტარები ფეხბურთელთა ფოტოებზე. ლუკა დედით ფრანგი იყო, პერიოდულად დადიოდა ხოლმე პარიზში და მის სახლში ბევრი ფრანგული ჟურნალი ინახებოდა, მათ შორის, სპორტულიც. როცა მასთან ბიჭები ვსტუმრობდით, დიდსულოვნად გვათვალიერებინებდა ხოლმე. მსოფლიო ჩემპიონატის წინ კი დიდი ფერადი ჟურნალი გვაჩვენა (ეს რომ ლეგენდარული „ფრანს ფუტბოლი“ იყო, ცოტა მოგვიანებით გავიგე), რომელშიც ფეხბურთელთა ფოტოები იყო დაბეჭდილი და თან გვეკითხებოდა: აბა, ეს ვინ არის? ეს? უმეტესწილად ვხვდებოდი ხოლმე. თუმცა, ერთხელ რომელიღაც ფოტოზე გავიჭედე და ისეთი საყვედურით მითხრა, ეს მიულერია, ბიჭოო, თითქოს პელეს ფოტო ვერ გამომეცნოს. არადა, გერმანელი ლეგენდა, გერდ მიულერი არ გეგონოთ, ფრანგი ფეხბურთელი იყო, იმ დროისათვის საფრანგეთს გარეთ არცთუ ისე ცნობილი.

ასევე მახსოვს, თუ როგორ გავარდა ხმა ჩემპიონატის მთავარი პრიზის, ოქროს ქალღმერთი ნიკეს სკანდალური მოპარვის შესახებ და მერე როგორ იპოვა გაზეთში გახვეული თასი პარკში მოსეირნე რიგითი ინგლისელი მოქალაქის ძაღლმა. საქართველოში შეთქმულების თეორიები მაშინაც საკმაოდ პოპულარული იყო, ამიტომ, რასაკვირველია, ეგრევე გავრცელდა ხმა, ეს ყველაფერი ჩაწყობილი ამბავია ჩემპიონატის რეკლამის მიზნით და სინამდვილეში არანაირი ქურდობა არ მომხდარაო, თუმცა, მახსოვს, ვიღაც კი დაიჭირეს ქურდობაზე, რომელმაც დანაშაული აღიარა და მერე ითხოვდა, ტელევიზორი მაინც დამიდგით საკანში, თამაშებს რომ ვუყურეო.

პირადად მე ეს ამბავი გურამ ფანჯიკიძის წიგნის წაკითხვის შემდეგ გავიგე, რომელიც ინგლისში იმყოფებოდა ჩემპიონატის დღეებში, როგორც სპორტული ჟურნალისტი. მან საკმაოდ საინტერესოდ აღწერა თავისი შთაბეჭდილებები (თუ სწორად

მახსოვს, „ფეხბურთის სამშობლოში“ ერქვა). საერთოდ, მისი წიგნები მსოფლიო ჩემპიონატებზე, რომლებიც ინგლისის ჩემპიონატის აღწერიდან დაიწყო, კარგი სერიალივით გრძელდებოდა. იმ დროს, როდესაც არც ინტერნეტი არსებობდა და საბჭოეთის მოქალაქეებს არც უცხოურ პრესასა და ტელევიზიებზე მიგვიწვდებოდა ხელი, ასეთი წიგნები ჩვენთვის იყო არა მხოლოდ ინფორმაციული ტექსტი, არამედ ერთგვარი ფანჯარა ევროპაში, თავისუფლების ერთი ყლუპი და მიუწვდომელ სამყაროსთან შეხება.

იმდროინდელი ამბებიდან ყველაზე მყარად მაინც უნგრეთი-ბრაზილიის მატჩი ჩამრჩა მეხსიერებაში, რომელიც უნგრელებმა ანგარიშით 3:1 მოიგეს.

სხვათა შორის, ფანჯიკიძის წიგნმა ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ ერთგვარ ჟანრსაც ჩაუყარა საფუძველი, რადგან მერე სხვა სპორტულმა ჟურნალისტებმაც დაიწყეს ანალოგიური წიგნების წერა და ისინიც ისევე სწრაფად ქრებოდა ხოლმე დახლებიდან, როგორც ფანჯიკიძის სპორტული ბესტსელერები.

თუმცა, ეს ყველაფერი იყო მერე. მსოფლიო ჩემპიონატთან ჩემი გაცნობა კი შედგა ზაფხულის გრილ საღამოს. ეს ხდებოდა დაბა წყნეთში, ფინანსთა სამინისტროს აგარაკზე, ფიცრულ კოტეჯში, სადაც დამსვენებელთა შორის მარტო მამაჩემს ჰქონდა თბილისიდან წამოღებული შავ-თეთრი ტელევიზორი „ვოლნა“ (ფერადი ტელევიზორი, მგონი, ჯერ არც არსებობდა) და, ბუნებრივია, მთელი მეზობლობა ფეხბურთის საყურებლად ჩვენთან იკრიბებოდა. პატარა კოტეჯის სამზარეულოში ყველა მსურველი ვერ ეტეოდა და ზოგი ფეხზე დამდგარი, ზოგი კი ფანჯარაში თავშემოყოფილი უყურებდა ფეხბურთს. ყველაზე მძიმე დღეში კი ბავშვები ვიყავით, ხანდახან გვტუქსავდნენ კიდეც, გვიანაა უკვე, წადით, დაიძინეთ პატარებმო, მაგრამ რა დაგვაძინებდა? ჩვენც არანაკლებ გვინდოდა პელეს, გარინჩას, ეუსებიოს, ბობი ჩარლტონისა და სხვა, აქამდე მხოლოდ სადღაც ამოკითხულ-ყურმოკრული ლეგენდების თამაშის ხილვა. ამიტომ უფროსების შეგონებას დაძინებაზე ისე წავუყრუებდით ხოლმე, თითქოს არც გაგვეგო და მერე, მაგიდის ქვეშ შეყუჟულები (მაგიდის ქვეშ შეძრომა, ეტყობა სტრატეგიული შენიღბვის ამბავში დავამუღამეთ, თვალში რომ არ შევჩხეროდით უფროსებს და დასაძინებლად არ გავეყარეთ), ვუმზერდით ტელეეკრანს და ხარბად ვიჭერდით თითოეულ კადრს, ფეხბურთელთა თითოეულ მოძრაობას. გვეჩვენებოდა, რომ ეს იყო რაღაც განსაკუთრებული, სხვა დონის და სხვა რანგის ფეხბურთი, თუმცა, რატომ გვეჩვენებოდა? ეს ნამდვილად ასე იყო.

Pele

Eusebio

GARRINCHA

Bobby Charlton

FLORIAN-ALBERT

„აუ, რა თამაშია?“ „ნახე ბიჭო, ხაზავს ალბერტი!“

ჩვენს ბრანაკლაზე ვამბობდა ბელეს, ბარბოზას, ეუსებიოს, ბობი ჩარლზისა და ს

ოქროს ბიჭები

გიორგი ზურაბიშვილი

„ყველაზე სასიამოვნოა, როდესაც მოთამაშეების ჯგუფს თვალყურს ადევნებ და ხედავ, რომ ისინი დაცვაში შეწყობილად, ორკესტრივით, ურთიერთქმედებენ. ეს არის კალათბურთის ერთგვარი პოეზია.“ – რონ „გურუ“ ადამსი.

სან ფრანციკოს შტატის საპორტო ქალაქ ოკლენდში კალათბურთი განსაკუთრებულად უყვართ. სწორედ აქ მდებარეობს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო საკალათბურთო დარბაზი „ორაკლ არენა“, რომელშიც საშინაო მატჩებს „ენ ბი ეი-ს“(NBA) წლევანდელი ჩემპიონი „გოლდენ სტეიტ უორიორსი“ ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ „გოლდენ სტეიტი“ ყოველთვის შემტევ და სანახაობრივ კალათბურს თამაშობდა, გუნდს 70-იანი წლების მერე სერიოზული წარმატებისთვის არ მიუღწევია. წლევანდელ სეზონშიც „უორიორსი“ ჩემპიონობის ფავორიტად ნაკლებად განიხილებოდა, თუმცა გუნდმა მთელი სეზონის განმავლობაში საუკეთესო კალათბურთი ითამაშა და მსოფლიოს ჩემპიონიც დამსახურებულად გახდა.
„გოლდენ სტეიტის“ ასეთი კარგი და გამართული თამაში ბევრისთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ შემთხვევითი ნამდვილად არ ყოფილა. წინა წლებშიც ჩანდა ამ საჩემპიონო გუნდის აჩრდილი, რომელიც ქარბორბალასავით დატრიალდებოდა და ნებისმიერ მეტოქეს გადაუვლიდა ხოლმე. გუნდს აკლდა გამართული დაცვა და სტაბილური თამაში, წელს კი ამ ორივე ფაქტორმა „გოლდენ სტეიტის“ წარმატებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. გუნდისთვის ეს შედეგი ერთ დღეში არ მოსულა. ვცადოთ და გავაანალიზოთ ის მთავარი ფაქტორები, რომლებმაც „ენ ბი ეი-ს“ ერთი კოლორიტული, უამბიციო, თავისუფლად მოთამაშე გუნდი საჩემპიონო ორკესტრად გარდაქმნა.

Moment Of Truth

2011 წლის დეკემბერში ჯოუი ლეიკობმა „გოლდენ სტეიტ უორიორსი“ ოფიციალურად შეისყიდა. მანვე განიზრახა გუნდის განვითარება და მთავარ ამოცანად დაცვის გაძლიერება დაისახა. გუნდისთვის გარდამტეხი, საკვანძო მომენტი ახალი მფლობელის მოსვლიდან სულ რაღაც სამ თვეში დადგა. „გოლდენ სტეიტის“ მაშინდელი გენერალური მენეჯერი ლარი რაილი მიიჩნევდა, რომ გუნდს ყველაზე მეტად კარგი, მაღალი, დაცვითი ყაიდის მოთამაშე აკლდა. სწორედ რაილის დიდი ძალისხმევის შედეგად განხორციელდა გაცვლა, რომელმაც „უორიოსის“ გარდაქმნას საფუძველი ჩაუყარა. გუნდის უდავო ლიდერი მონტა ელისი ტრავმებით გაწამებულ ავსტრალიელ ცენტრში ენდრიუ ბოგატში გაიცვალა. არავინ იცოდა, თუ როგორ ფორმაში შეხვდებოდა ავსტრალიელი მომავალ სეზონს. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ გუნდიდან წავიდა უკანახაზელი, რომელიც დაცვას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა; ამასთანავე ხელფეხი გაეხსნა „გოლდენ სტეიტის“ მომავალ ლიდერს და წლევანდელი სეზონის MVP-ის, სტეფ კარის, რომლის პოტენციალიც მონტა ელისთან ერთად აშკარად იჩრდილებოდა და „უორიორსმა“ დამატებით მიიღო უმაღლესი სათამაშო ინტელექტის მქონე ცენტრი, რომელიც ძალიან მალე დაცვის ღერძად ჩამოყალიბდა. ეს გაცვლა „გოლდენ სტეიტისთვის“ იყო ჭეშმარიტების მომენტი, მთავარი გარდამტეხი ფაქტორი, რომელმაც გუნდი მყისიერად „საპლეიფო“ დონეზე გაიყვანა.

რამდენიმე გადამწყვეტ მომენტში სტივ კერმა ძალიან გაბედული გადაწყვეტილებები მიიღო, რაც გახდა კიდეც „გოლდენ სტეიტის“ წარმატების მიზეზი.

სამწვრთნელო შტაბი

„უორიორსის“ ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი სტივ კერი გუნდში მხოლოდ სეზონის დასაწყისში მოვიდა. ახალგაზრდა სპეციალისტმა თავისი წინამორბედის, მარკ ჯექსონის დაწყებული საქმე გააგრძელა. კერს ბევრი არაფერი შეუცვლია, თუმცა მან გუნდი კიდევ უფრო დაალაგა და კალათბურთელები უკეთ შეათამაშა. რამდენიმე გადამწყვეტ მომენტში სტივ კერმა ძალიან გაბედული გადაწყვეტილებები მიიღო, რაც გახდა კიდეც „გოლდენ სტეიტის“ წარმატების მიზეზი.
როგორც კერი თავად აღნიშნავს, ამ წარმატებაში უდიდესი როლი მისმა ასისტენტებმა ითამაშეს. მართლაც, წლევანდელ სეზონში „უორიორსს“ ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო სამწვრთნელო შტაბი ჰყავდა. კერის პირველი ასისტენტი იყო ელვინ ჯენტრი, საოცრად გამოცდილი სპეციალისტი, რომელიც შეტევას ხელმძღვანელობდა. ჯენტრი „მაიამის“, „დეტროიტისა“ და „კლიპერსის“ გარდა, წარსულში „ფინიქს სანზის“ მთავარი მწვრთნელიც იყო. მაშინდელი „ფინიქსი“ კი ამჟამინდელი „გოლდენ სტეიტის“ მსგავსად სწრაფ და შემტევ კალათბურთს თამაშობდა. სტივ კერის თქმით, გუნდის წარმატებაში ელვინ ჯენტრის დამსახურება უდიდესია. მომავალ სეზონში ელვინი „ნიუ ორლეან პელიკანსის“ მთავარი მწვრთნელი იქნება. მას ენტონი დევისთან მუშაობა მოუწევს.
კერის მეორე ასისტენტი „გურუდ“ წოდებული რონ ადამსია. 67 წლის სპეციალისტი დაცვას ხელმძღვანელობს და

მარკ ჯექსონი, სტეფ კარი

ცნობილია, რომ გუნდში დაცვითი კომბინაციების დროს გადამწყვეტი სიტყვა სწორედ მას ეკუთვნის. ადამსი არის ძალიან გამოცდილი სპეციალისტი, რომელმაც არა მხოლოდ გუნდური დაცვის გაძლიერება და დაცვითი სტრატეგიების შემუშავება შეძლო, არამედ სწორედ მისი პირადი ძალისხმევით არაერთმა მოთამაშემ ინდივიდუალურად დაცვაში უდიდესი პროგრესი განიცადა.

მარკ ჯექსონი

მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელ სეზონში „გოლდენ სტეიტთან“ ერთად საჩემპიონო ბეჭედი სწორედ სტივ კერმა მოიგო, გუნდის წარმატებაში მისი წინამორბედის, მარკ ჯექსონის დამსახურება ძალიან დიდია. სურვილი ერთია, მაგრამ მოთამაშეების მენტალიტეტის შეცვლა, სხვა რელსებზე გადაყვანა და ახალი დაცვითი სტრატეგიის იმპლიმენტაცია მწვრთნელისთვის ურთულესი საქმეა. მარკ ჯექსონმა დროის საკმაოდ მოკლე მონაკვეთში გუნდის ერთ მუშტად შეკვრა და მოთამაშეებში გამარჯვებულის მენტალიტეტის გაღვივება შეძლო. ჯექსონისთვის გადაწყვეტილებების მიღება მარტივი არ იყო. მისი მთავარი ასისტენტი მაიკ მელოუნი მიიჩნევდა, რომ „გოლდენ სტეიტს“ თავისუფალი, სანახაობრივი კალათბურთის ჩვენება უნდა გაეგრძელებინა. მარკ ჯექსონს მელოუნთან საკმაოდ ცუდი ურთიერთობა ჰქონდა, ამიტომაც მან თავის მეორე, უფრო ახალგაზრდა ასისტენტს, დარენ ერმანს დაუჯერა, რომელიც უფრო დაცვითი სტილის მომხრე და დაცვაში სამწამიანის დამძიმების სტრატეგიის მთავარი გამტარებელი იყო. საბოლოოდ, მარკის არჩეულმა ტაქტიკამ გაამართლა: ასეთ სისტემაში ენდრიუ ბოგატი თავს ბევრად უფრო კომფორტულად გრძნობდა და გუნდი ერთ სეზონში დაცვით რეიტინგში 27-ედან 13-ე ადგილზე გადავიდა. „გოლდენ სტეიტი“ პლეიოფში გავიდა და პირველ წრეში, სერიაში ფავორიტად შერ-

ჯექსონმა დრეიმონდში პოტენციალი დაინახა, მას შანსი მისცა და გრინმაც გაამართლა.

აცხულ, შესანიშნავ ფორმაში მყოფ ჯორჯ კარლის „დენვერ ნაგეტსს“ აჯობა.
სეზონის ბოლოს მარკ ჯექსონს ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა ძალიან დაეძაბა, რაც გახდა კიდეც მისი გათავისუფლების მიზეზი. მარკმა კომენტატორის სკამზე გადაინაცვლა, გუნდში კი მივიდა ახალბედა მთავარი მწვრთნელი სტივ კერი, რომელმაც ჯექსონის დაწყებული საქმე გააგრძელა და „გოლდენ სტეიტი“ ჩემპიონობამდე მიიყვანა.

დაცვის შემკვრელი

მარკ ჯექსონის დამსახურებაა ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო დამცველის, დრეიმონდ გრინის უდიდესი პროგრესიც. გრინი საშუალოზე დაბალი დონის მოთამაშედ მოიაზრებოდა, რომელიც მესამე ნომრად თამაშისათვის ნელი და მძიმე იყო, ხოლო მეოთხე ნომერზე სათამაშოდ მას სიმაღლე არ ჰყოფნიდა. მიუხედავად ამისა, ჯექსონმა დრეიმონდში პოტენციალი დაინახა, მას შანსი მისცა და გრინმაც გაამართლა. დრეიმონდი უდიდესი შრომის შედეგად ლიგის ერთ-ერთ ყველაზე შეუპოვარ, მებრძოლ მოთამაშედ ჩამოყალიბდა, რომელსაც დაცვაში თანაბარი წარმატებით შეუძლია როგორც მძიმე ფორვარდების, ასევე გამთამაშებლების წინააღმდეგ თამაში. „გოლდენ სტეიტს“ დაცვის შემკვრელი სჭირდებოდა და გრინი სწორედ ასეთი მოთამაშე შეიქნა: უნივერსალური, ხისტი, მებრძოლი და უკომპრომისო დაცვის ლიდერი. წლევანდელ სეზონში „უორიორსი“ დაცვის რეიტინგში პირველ ადგილზე გავიდა, რაშიც ყველაზე დიდი წვლილი სწორედ დრეიმონდ გრინს მიუძღვის. სეზონის ბოლოს „ენ ბი ეი-ს“ საუკეთესო დამცველის ტიტული კავაი ლეონარდს გადასცეს, თუმცა, ვფიქრობ, წელს ამ პრიზს დრეიმონდ გრინი უფრო იმსახურებდა.

დაცვის სპეციალისტი

როდესაც საჩემპიონო გუნდის ჩამოყალიბებას ცდილობ, აუცილებლად გჭირდება ისეთი მოთამაშე, რომელიც ერთი ერთზე მოწინააღმდეგე გუნდის სუპერვარსკვლავს გაანეიტრალებს. თანამედროვე ეპოქის საუკეთესო მოთამაშე ლებრონ ჯეიმსია, რომელიც სუპერფინალში პრაქტიკულად ყოველ წელს თამაშობს, ასე რომ, საჩემპიონო ამბიციების მქონე გუნდებს ძირითადად მის განეიტრალებაზე უწევთ ფიქრი. „გოლდენ სტეიტს“ სჭირდებოდა კარგი მესამე ნომერი, რომელიც ლებრონ ჯეიმსის, კევინ დურანტის, კარმელო ენტონისა და სხვა სუპერვარსკვლავების წინააღმდეგ დაცვაში ხეირიანად თამაშს შეძლებდა.

წლევანდელ სუპერფინალურ სერიაში გადამწყვეტი სწორედ სტივ კერის ის გადაწყვეტილება გამოდგა, რომლის შედეგადაც მან იგუადალა ძირითად ხუთეულში დააბრუნა.

2013 წლის ზაფხულში „უორიორსმა“ თავიდან მოიცილა ანდრის ბიედრინსის კონტრაქტი, რამაც გუნდს სახელფასო ჭერი გაუთავისუფლა და კარგი მოთამაშის დამატების შანსი მისცა. ყველა საუბრობდა, რომ „გოლდენ სტეიტში“ დუაიტ ჰოვარდი უნდა გადასულიყო, მაგრამ გენერალურმა მენეჯერმა ბობ მაიერსმა სხვა გადაწყვეტილება მიიღო, რის შედეგადაც განხორციელდა, შეიძლება ითქვას, იდეალური ტრანსფერი – გუნდში „დენვერიდან“ ვეტერანი დაცვის სპეციალისტი, ამერიკის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, ანდრე იგუადალა მივიდა. ანდრე ორკესტრში ძალიან კარგად ჩაეწერა. იგი გახდა „უორიორზის“ ლიდერი როგორც მოედანზე, ასევე მოედნის გარეთ. მას თანაბარი წარმატებით შეეძლო გუნდური დაცვის თამაში, ერთი ერთზე მეტოქე გუნდის ლიდერის განეიტრალება, სწრაფ შეტევებში გაქცევა, კერ-

დრეიმონდ გრინი

HAIR

ისა და ტომსონისთვის სივრცეების შესაქმნელად ბურთის მეტოქის ნახევარზე გადმოტანა და გათამაშება, შედეგიანი გადაცემების დარიგება და საჭიროების შემთხვევაში ქულების დაგროვება.

ფინალების MVP სწორედ ანდრე იგუადალა გახდა.

წლევანდელ სუპერფინალურ სერიაში გადამწყვეტი სწორედ სტივ კერის ის გადაწყვეტილება გამოდგა, რომლის შედეგადაც მან იგუადალა ძირითად ხუთეულში დააბრუნა. ანდრე შესანიშნავ ფორმაში მყოფ ლებრონ ჯეიმსს დაცვაში ძალიან კარგად დაუდგა და ამასთანავე გამოცდილ კალათბურთელს შეტევაშიც, გადამწყვეტ მომენტებში, ხელი არ აუკანკალდა. ფინალების MVP სწორედ ანდრე იგუადალა გახდა.

კლეი და კომპანია

წლევნდელი სეზონის დასაწყისში „გოლდენ სტეიტისთვის“ კიდევ ერთი რთული მომენტი დადგა. გუნდის მენეჯერებს ურთულესი გადაწყვეტილება ჰქონდათ მისაღები: „მინესოტა“ „უორიორსს“ კლეი ტომსონის სანაცვლოდ კევინ ლავს სთავაზობდა. ლავის დონის მოთამაშეზე უარის თქმა რთულია, მაგრამ სტივ კერმა და „გოლდენ სტეიტის“ კონსულტანტმა, ლეგენდარულმა ჯერი უესტმა თავისი გაიტანეს, კლეი ტომსონი გუნდში დაიტოვეს და ეს აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება გამოდგა. ტომსონის პროგრესმა „გოლდენ სტეიტის“ შეტევა პრაქტიკულად დაუცველი გახადა. წელს კლეიმ ყველა დროის რეკორდი დაამყარა. „საკრამენტოს“ წინააღმდეგ მან ერთ მეოთხედში 37 ქულის დაგროვება შეძლო.

როგორც ხედავთ, „გოლდენ სტეიტის“ ხელმძღვანელობამ და სამწვრთნელო შტაბმა პრაქტიკულად უშეცდომოდ იმუშავა. ყველა კალათბურთელი გუნდის სათამაშო სქემას იდეალურად ერგება. გამთამაშებლით დაწყებული, მძიმე ფორვარდით დამთავრებული, დაცვაში თითქმის ყველა იდეალურად გადადის გაცვლაზე. ამ სტილს მოთამაშეების სიმაღლის თანაფარდობაც უწყობს ხელს (გამთამაშებელი შონ ლივინგსტონი და მძიმე ფორვარდი დრეიმონდ გრინი ერთი სიმაღლისანი არიან). „უორიორსის“ მოთამაშეები იდეალურად აზღვევენ ერთმანეთს და ამ დაცვით სქემაში შემთხვევით არავინ ხვდება.

თავდასხმაში თითქმის ყველა ძალიან კარგად ესვრის პერიმეტრიდან და აბსოლუტურად ყველა ძალიან კარგად გარბის სწრაფ შეტევაში. ყველა კალათბურთელი ერგება გუნდის სათამაშო სტილს და ეს არ არის შემთხვევითი. ეს გუნდის მენეჯმენტის სწორი საკადრო პოლიტიკის დამსახურებაა. „გოლდენ სტეიტ უორიორსი“ არის იდეალური მაგალითი, თუ როგორ შეიძლება სწორი ხედვის, მენეჯმენტისა და სტრატეგიის უნაკლო ურთიერთშერწყმის წყალობით საუკეთესო შედეგის მიღწევა. „გოლდენ სტეტი უორიორსი“ დამსახურებული ჩემპიონია.

ვინმე ხომ არ გამომრჩა? სტეფ?



პანტა პუნტის საოცრება

ზურა თალაკვაძე

2004 წლის ოლიმპიადა განსაკუთრებული იყო – მასშტაბურობით, ორგანიზაციით, უბრალოდ, თავისი ლოკაციით: არაჩვეულებრივი ოლიმპიური სოფელი, კომფორტული ძიუდოს დარბაზი, ჩვენთვის ოქროს ფასის მქონე ძალოსნობის დარბაზი, ყველაზე პოპულარული კალათბურთის დარბაზი.

უქმე დღე იყო. ასეთი დღე ათენში სასეირნოდ უნდა გამოიყენო. ვიწრო ბილიკების უბანში შედიხარ და ზღაპარში გზააბნეული იწყებ ხეტიალს. რა ლამაზია... ძალიან ლამაზი. ხვდები ზევსს, პოსეიდონს, მედუზა გორგონას (და არ გაქვავდები), არგონავტებს. ყველა ზომის ქანდაკებების ყიდვა შეგიძლია. ზევსი შეახვევინე, ტროას ცხენიც წამოიღე და თუ არ დაგეზარება, კიდევ რამდენიმე მითოლოგიურ პერსონაჟს იყიდი. უბნიდან გასასვლელს აგნებ და ცენტრალურ გზაზე გადიხარ. კუთხეში, იქვე, უზარმაზარ მოედანზე გასვლამდე ამჩნევ სპორტულ მაღაზიას.
მაღაზიაში ოლიმპიური სიმბოლიკა და მოქმედი ოლიმპიელების პოსტერ-ამუნიცია იყიდება, მაგრამ ორსართულიანი მაღაზიის ორი მესამედი საბერძნეთის საკალათბურთო ნაკრებს ეკუთვნის. ყველგან საბერძნეთი, ყველგან კალათბურთი, ყველგან სიამაყე. და შესასვლელში, უზარმაზარი ასოებით წერია: Galis, Panta Galis!
დიდი კალათბურთელის, ნიკოს გალისის საპატივცემულოდ.
იქ სიდიადე, ისტორია, დაფასება, უკვდავებაა. ნიკოს გალისმა საბერძნეთს ეს ყველაფერი 1987 წელს აჩუქა. და საბერძნეთს ეს ახსოვს. საბერძნეთი ამას ინახავს.
Galis, Panta Galis!
ანუ გალისი, ყოველთვის გალისი!
იმ მაღაზიაში უსულო საგნებიც პულსირებენ. ყველა ნივთი ცოცხალია. უახლოვდები დახლს და იქიდან გალისის მეგობრის, პანაიოტის იანაკისის ფოტო თვალს გიკრავს. დიმიტრის დიამანტიდისის მაისურით ოფლს იმშრალებს და თითქოს ბოდიშს გიხდის, რომ ოდნავ მოუწესრიგებელია. მაღაზია იმ სამ სიტყვასთან ერთად იძინებს, იღვიძებს და ბედნიერია. თუ თქვენ ნამდვილ სიყვარულს შეხვდებით, ის თქვენგან არსად არ წავა – არც ერთი კვირის, არც ერთი წლის შემდეგ.

იქ სიდიადე, ისტორია, დაფასება, უკვდავებაა. ნიკოს გალისმა საბერძნეთს ეს ყველაფერი 1987 წელს აჩუქა. და საბერძნეთს ეს ახსოვს. საბერძნეთი ამას ინახავს.

როგორც ის სამი სიტყვა: Galis, Panta Galis!
1987 წლის ევროპის ჩემპიონატზე საბერძნეთი არ იყო ფავორიტი. საბერძნეთი უსაბონისო საბჭოთა კავშირისა და ყოველთვის განსაკუთრებული იუგოსლავიის შემდეგ, ესპანეთთან, ისრაელსა და იტალიასთან ერთად იყო. რა მაგარი გუნდები თამაშობდნენ! ხუან ანტონიო სან ეპიფანიოს და იგნასიო სოლოსაბალის ესპანეთი. ანტონელო რივას და... მხოლოდ რივას იტალია. დორონ ჯამჩის ისრაელი და რიკ სმითსის ჰოლანდია, რომელიც იქ აუტსაიდერი იყო. იუგოსლავიაში კალათბურთს მოცარტები ქმნიდნენ – ტონი კუკოჩი, დინო რაჯა, ვლადე დივაცი, ჟარკო პასპალი, ალექსანდრ ჯორჯევიჩი და ლეგენდა, დრაჟენ პეტროვიჩი. საბჭოთა კავშირის ნაკრებში არ იყო ტრავმირებული საბონისი და იმ გუნდმა მაინც მაგარი ხალხი შეკრიბა: ალექსანდრ ვოლკოვი, სერგეი ტარაკანოვი, ვალდის ვალტერსი, სერგეი ტიხონენკო, ვალდემარას ხომიჩუსი, სერგეი გობოროვი, ვლადიმირ ტკაჩენკო, შარუნას მარჩულიონისი!
და იყო საბერძნეთი, საბერძნეთში. ევროტურის მასპინძელმა ნახევარფინალში მოუგო იუგებს 81:77. წააგო პირველი ტაიმი 35:45 და მეორეში გალისი და ხალისი დაიწყო. Galis, Panta Galis! ამ ტალღამ მოცარტები გადაფარა. იუგოსლავია ორი წლის შემდეგ, ბელგრადის ევროპის ჩემპიონატზე მოუგებს საბერძნეთს და ის იუგოსლავია ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში უძლიერესი ნაკრები იყო. მანამდე, გალისი სოლირებდა.
საბერძნეთმა გასცა ბრძანება – ვუგებთ რუსებს! ნუ, რომელი რუსი იყო ხომიჩუსი ან ჰეინო ენდენი, მაგრამ საბერძნეთისთვის, თითქმის ყველასთვის საბჭოთა კავშირის ნაკრები იყო რუსეთი. მოკლედ, გაიცა რუსეთთან მოგების ბრძანება. და იმ მომენტში ხვდები, რომ არის ბრძანება, რომლის გაცემაც შეიძლება და შესრულება – არა, ან ვერა. როგორ უნდა მოუგოს ერთმა გალისმა იმ მანქანას? წარმოუდგენელია.
ხვდები, რომ არ გჭირდება ბევრი უაზრო სიტყვა, რომ გამოხატო ის, რასაც ადამიანი ომში გრძნობს – შიში. უბრალოდ, იმ საბერძნეთისთვის ეს სიტყვა უცნობი იყო. ეს სიტყვა გალისმა თავისი ლექსიკონიდან ლანცეტით ამოჭრა. ბერძნები რუსებთან ფინალზე ქუდების გარეშე გავიდნენ; რომ ეს ქუდი მოსახდელი და ქედი მოსახრელი არ ყოფილიყო.

ნიკოს გალისი



Galis, Panta Galis!

და გალისმა ის ფინალი მოიგო. დამატებით დროში მოიგო: 103:101. საბერძნეთი პირველად გახდა გუნდური სახეობის ჩემპიონი. პირველად საბერძნეთის ისტორიაში. საბერძნეთმა საბერძნეთში მოიგო.
ნიკოს გალისმა საბჭოთა კავშირს 40 ქულა ჩაუგდო.

და გალისმა ის ფინალი დამატებით დროში მოიგო: 103:101.

იმ პერიოდში საბერძნეთში დეპრესია იყო. უმუშევრობა. შავ-თეთრი ხალისი. გალისმა იმ ერთი დღით ყველა მოარჩინა. და ხვდები, რომ არ არსებობს ბედნიერებაზე უკეთესი წამალი. ის ყველაფერს არჩენს. ის საუკეთესო მალამოა.
საბერძნეთი იყო მდიდარი. და საბჭოთა კავშირი? მოტეხილი ტიტანი, რომელსაც ტვიდის პიჯაკზე ჯიბე ჩამოახიეს და ყური აუწიეს.
აი, ეს იყო ნიკოს გალისი. რომელმაც მოიგო ევროპის ჩემპიონატი და საბერძნეთმა დაისვენა.
საბერძნეთი დღემდე ნიკოს გალისია. ბერძნებს ჰყავთ სპანულისი, რომელიც ბოლო წუთებისთვის ცოცხლობს, თამაშობს, კვდება მოედანზე. ბერძნებს ჰყავთ დიამანტიდისი, რომელიც ყველაზე ამაყი ბერძენია. ბერძნებს ჰყავდათ პაპალუკასი, რომელსაც არ ჰქონდა არც ერთი დახვეწილი მოძრაობა, მაგრამ ის მაინც საუკეთესო იყო.
და ადრე, წლების წინ საბერძნეთი იყო ნიკოს გალისი – გამთამაშებელი მსროლელის ინსტინქტებით. მსროლელი, რომელიც ბურთს გამთამაშებლებზე უკეთ ატარებდა. პატარა გმირი.
იმ მაღაზიაში გალისის უამრავი ფოტო იყო. ერთერთ მათგანზე გამოსახული ნიკოსი ვიღაც ქალბატონთან ერთად ცეკვავდა. და გალისი მოედანზეც, კალათბურთის დროსაც ცეკვავდა.
გალისი იყო უშიშარი და გალისი იყო ბერძენი. პატარა, ამაყი ბერძენი, რომელმაც არ დაუხარა თავი არავის და არაფერს.

Galis, Panta Galis!

იქ პანტა პუნტის საოცრება იყო.

HAIR



რა ქნას მეცი ამ ბიჭმა, რით ვერ უნდა გამოვიდეს თუნდაც მარადონას ჩრდილიდან?

ღმერთების დასასრული

გია ხადური

მესის მიერ „ბილბაოს“ კარში არნახული გოლის შეგდებამ მყისვე გამოინვია მორიგი აფეთქება საფეხბურთო სამყაროში – მორჩა, საკამათო აღარაფერია, მესი ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია, ბოლო-ბოლო თანამედროვე ფეხბურთში, რომელშიც სივრცეები მაქსიმალურად შეზღუდულია, ყველაფერ ლამის წამის მეათედებში უნდა მოასწრო, ასე ლაღად იდრიბლინგო, გოლიც გაიტანო და ეს აკეთო სისტემატურად... რა ქნას მეტი ამ ბიჭმა, რით ვერ უნდა გამოვიდეს თუნდაც მარადონას ჩრდილიდან? და მართლაც, საკითხი უკვე ასე დგას – მოექცა თუ არა დღესდღეობით მესი ფეხბურთელთა მოდგმის სათავეში?

პირადად მე ცოტა უაზროდ მეჩვენება საკითხის ასე დასმა (როგორ უნდა შეადარო დღეს მოთამაშე მესი, მაგალითად, 30-იან წლებში მოთამაშე თუნდაც ვინმე ბრაზილიელ ლეონიდასს?!). ამიტომაც, ჩემი აზრით, უპრიანი იქნება, სხვაგვარად დავსვათ შეკითხვა: არის თუ არა მესი ფეხბურთის მორიგი „მეფე“

ახლა ვიღაცა იტყვის, რომ „მეფე“ მარტო პელეა და მეტი არავინ, მაგრამ ნურას უკაცრავად! „მეფეა“ ყველა ის დიადი ფეხბურთელი, რომელმაც არა მარტო დიადი ეპოქა შექმა, არამედ დიადი „საფეხბურთო სამეფოებიც“. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი პირობითია და ცოტა პათეტიკურიც, მაგრამ ფაქტია, რომ თანამედროვე საფეხბურთო ძლევამოსილება, და ის „სიდიადე“, რომელიც ფეხბურთს გააჩნია, სწორედ ამ „მეფეების“ დამსახურებაა. აი, ასეთი რაკურსიდან თუ გავცემთ პასუხს ზემოთ დასმულ შეკითხვას, მესი ჯერ ვერ არის „მეფე“. მე კი მიმაჩნია, რომ ის მუდმივად იმ უფლისწულად დარჩება, რომელიც მეფე ვერასოდეს გახდება და ამაში შეიძლება თავად მას სულაც არ მიუღოდეს ბრალი.

რატომ? ერთი რამ უდავოა, ძნელად თუ მოიპოვება ფეხბურთის ისტორიაში ფეხბურთელი, რომელსაც ჰქონდა ისეთივე თანდაყოლილი ნიჭი, როგორიც აქვს მესის. თუმცა, ეს მისი შეუდარებელი ტალანტი უმთავრესად ვლინდება ისეთ საფეხბურთო კომპონენტში, როგორიც არის დრიბლინგი. ამ მხრივ, ის არც პელეზე და არც მარადონაზე ნაკლები არ არის. მესის, როგორც დრიბლიორის, უნარები და ოსტატობა განუზომელია და მისი მოძრაობების ზედმიწევნით შესწავლაც კი მესის შესაჩერებლად ვერანაირ შედეგს ვერ გამოიღებს. რასაც მესი აკეთებს, არა მარტო უაღრესად ეფექტურია საბოლოო ანგარიშის თვალსაზრისით, არამედ უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს ყველას – როგორც სპეციალისტებს, ასევე ფეხბურთის მილიონობით მოყვარულსაც და, აბა, მაშინ რა აზრი აქვს ყველა იმ პრეტენზიას, რომელიც მის მიმართ არსებობს? ის აზრი აქვს, რომ მესის ეს „გენიალურობა“ მოქმედებს მხოლოდ „ბარსელონაში“, რომელშიც მას სრული კომფორტი გააჩნია. მესის ყველანაირ პირობას უქმნიან, რომ მან იდეალურად იგრძნოს თავი. მაგრამ არის მეორე გუნდი, რომელშიც მესი თამაშობს. ეს გახლავთ არგენტინის ნაკრები, სადაც მესის უნიკალურობა უკვე აღარაა საკმარისი. აი, აქ კი უკვე ნათლად ჩანს, რომ მას არა აქვს ის რესურსი, ის მასშტაბი, რომ თამაში შექმნას, აათამაშოს მთელი გუნდი და რომ მისი გავლენა ვერ ვრცელდება მოედნის მთელ პერიმეტრზე. ყველა ეს ფაქტორი მესის აქცევს, უბრალოდ, პირველხარისხოვან სოლისტად, რომელსაც არ შეუძლია გადაწყვიტოს ის უმაღლესი ამოცანები, რომლებიც დგას არგენტინის ნაკრების წინაშე. არგენტინის ნაკრები ვერ შეუქმნის მესის იმ სათამაშო კომფორტს, რომელიც მას „ბარსელონაში“ აქვს; სხვანაირად კი ის ვერასდროს შეძლებს იმას, რაც შეეძლო პელეს, მარადონას, კრუიფს, ზიდანს და ბეკენბაუერსაც კი. „ცუდად“ მოთამაშე მარადონა, მაშინაც კი, როცა მას არ ჰყავდა „შესაფერისი“ პარტნიორები (მაგ., 1990 წელს), ახერხებდა იმას, რომ თავისი გავლენით, ქარიზმით, საფეხბურთო გენიალობით, გუნდი ფინალამდე მიეთრია. არგენტინამ შარშანაც მიაღწია ფინალამდე, მაგრამ მხოლოდ უმეცარი იტყვის, რომ ეს მესის „გმირობის“ დამსახურება იყო. მესისგან განსხვავებით, მარადონა, მაშინაც კი, როდესაც თვითონ ინდივიდუალურად სულაც ვერ ბრწყინავდა, პასუხისმგებლობას იღებდა თავის „ქვეშემდგომებზე“ და უშეღავათო ბრძოლებში, როგორც გენიალური მთავარსარდალი, ისე მიუძღოდა წინ თავის საფეხბურთო არმიას. იგივე შეგვიძლია ვთქვათ პელეზეც. ბრაზილიის 1970 წლის ნაკრები (საუკეთესოდ რომ მიაჩნიათ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში) სწორედ პელეს წყალობით ბრწყინავდა, თორემ მის გარეშე დარჩენილი, იმ დიდი გუნდის აჩრდილიღა თუ იყო. ანდა კრუიფი, რომელმაც მთელი ნაკრები „მფრინავ ჰოლანდიად“ გადააქცია... ფეხბურთის ნამდვილი „მეფე“ რომ გახდე, არა მარტო დიდი მასშტაბის ფეხბურთელი, არამედ ასეთივე პიროვნებაც უნდა იყო. თუ დააკვირდებით, პელეც, კრუიფიც, ბეკენბაუერიც, მარადონაცა და პლატინიც კი, ფეხბურთის მიღმაც დიდი გაქანების ადამიანები არიან. ნურავის შეიყვანს შეცდომაში მარადონას საყოფაცხოვრებო „უმსგავსობანი“. გენიალური ადამიანების მოქცევა ერთგვარი კეთილგონიერების, კორექტულობის საზღვრებში ხშირად შეუძლებელია. მესი, მართალია, კი არის უბრალო, კეთილგონიერი და მშრომელი ადამიანი, უდიდესი ნიჭის მქონე, მაგრამ მისი პიროვნული მასშტაბი, მისი გაქანება ვერ უზრუნველყოფს მესის „მეფედ“ კურთხევას.

საქმე იმაშია, რომ თანამედროვე ფეხბურთს „მეფეები“ საერთოდ არ სჭირდება. არ სჭირდება იმიტომ, რომ მსოფლიოს ყველა უძლიერესი ფეხბურთელი სულ რაღაც ათიოდე კლუბშია გადანაწილებული. ამიტომ ასე მკაფიოდ გამოხატული „თამაშის შემქნელი“, რომელზეც იქნება დამოკიდებული დანარჩენი გუნდი, პრინციპულად აღარ არის საჭირო. უფრო მეტიც, დღესდღეობით გრანდებში მოთამაშე „დიდ“ ფეხბურთელებს, მწვრთნელების დავალებით, მოედანზე სამოქმედო არეალები უმთავრესად შემოსაზღვრული აქვთ, რათა ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ. სწორედ ამიტომ არიან გადაგვარების გზაზე ე. წ. „ფლეიმეიკერები“.

ყველა ეს ფაქტორი მესის აქცევს, უბრალოდ, პირველხარისხოვან სოლისტად, რომელსაც არ შეუძლია გადაწყვიტოს ის უმაღლესი ამოცანები, რომლებიც დგას არგენტინის ნაკრების წინაშე.

ყველაზე ცუდი ამ ტენდენციაში ის არის, რომ უდიდესი მონაცემების მქონე ფეხბურთელების პიროვნულ-ინტელექტუალურ ზრდას, რომელიც გამოცდილებასთან ერთად მოდის, საფეხბურთო მოედანზე უკვე ნაკლები გასაქანი ეძლევა. სწორედ ამიტომაც არის, რომ ფეხბურთელების ფუნქციები იგივე რჩება, მათი საფეხბურთო მასშტაბი არ იზრდება. საუკეთესო შემთხვევაში, ისინი ხვეწენ იმას, რაც ადრეულ ეტაპზე ყველაზე კარგად გამოსდიოდათ და მეტი არაფერი. მე ვსაუბრობ იმ ფეხბურთელებზე, რომლებსაც საფეხბურთო ოლიმპოზე, „ღმერთების“ გვერდით უმზადებენ ადგილს. ვის შეუძლია ახლა თქვას, რომ რონალდო, ანდა მესი დღეს უფრო დიდი მასშტაბის ფეხბურთელები არიან, ვიდრე რამდენიმე წლის წინ? არავის. და თუ მათი ეფექტურობა უფრო მეტია, ეს გრანდების ფინანსური რესურსების დამსახურება უფროა, ვიდრე საფეხბურთო მოედანზე მათი მოქმედების არეალის გაფართოებისა. თუ კვლავ დავუბრუნდებით მესის, მან, თითქოს დანარჩენი თანაგუნდელების პარალელურად, მარჯვენა ფლანგზე საკუთარი შ. პ. ს. გახსნა. რა თქმა უნდა, ის პერიოდულად „უცხო“ ტერიტორიებზეც გადადის, მაგრამ ეს არ არის მისი მთავარი აქტივობა. მესის თამაშის შემყურე, ასეთი ძველი გამოთქმა მაგონდება: მთელი ჭკუა ფეხებში აქვსო! აი, რას ითხოვს მისგან პირველ რიგში „ბარსელონა“. რა თქმა უნდა, მესის განგებ არავინ უშლის ხელს, საფეხბურთო ინტელექტის გაღრმავების ხარჯზე კიდევ უფრო გაზარდოს თავისი გავლენა მოედანზე; უბრალოდ, ეს არ არის კლუბის პრიორიტეტი. საქმე უკვე იქამდე მივიდა, რომ ის თანამედროვე საფეხბურთო ტენდენციები, რომლებსაც გრანდები ამკვიდრებენ, სულ უფრო ამცირებს პელეს, მარადონას, კრუიფისა და დი სტეფანოს მსგავსი დიდი პიროვნებების მოსვლის ალბათობას, მეფეები კი მხოლოდ ასეთი მასშტაბისა და გაქანების ადამიანები ხდებიან.

აირტონ სენა

დავით ჩუბინიძე

„რბოლა, პაექრობა, სისხლში მაქვს გამჯდარი. ის ჩემი ნაწილია, ჩემი ცხოვრების ნაწილია. მთელი ცხოვრება ამას ვაკეთებ და სხვა ყველაფერზე მაღლა ვაყენებ!“

აირტონს სჯეროდა, რომ სასწაულებს მოახდენდა და მან ამის გაკეთება მართლა შეძლო.

აირტონ სენას, ფორმულა 1-ის ბრაზილიელი ჩემპიონის ეს გამონათქვამი ყველაფერს ნათელყოფს – მისი ცხოვრების სტილზე, მის მრწამსზე მიუთითებს. აირტონს სჯეროდა, რომ სასწაულებს მოახდენდა და მან ამის გაკეთება მართლა შეძლო.

1984 წელს მონაკოს გრან პრისათვის ბრძოლა ყველაზე საინტერესო და დაძაბული გამოდგა. რბოლა წვიმიან ამინდში მიმდინარეობდა და ვიწრო ქუჩებში სარბოლო ბოლიდის სტაბილურობის შენარჩუნება თითქმის ყველას უჭირდა. აირტონ სენა უსუსტესი Toleman-Hart-ით გამოდიოდა. გადაუღებელმა წვიმამ ასპარეზობიდან ბევრი ავტომრბოლელი გამოთიშა. შესანიშნავად თავს მხოლოდ აირტონი გრძნობდა. ფორმულა 1-ის დებიუტანტი მანქანის მართვაზე კონტროლის შენარჩუნების არაჩვეულებრივი სტილის დემონსტრირებას ახდენდა, წინ მიიწევდა. სენამ რბოლის ლიდერს, ალენ პროსტსაც აუარა გვერდი, მაგრამ ფრანგი ავტომრბოლელის McLaren-Porsche წითელი და საფინიშო ალმების დაქნევაზე გაჩერდა. რბოლის მთავარმა სტარტერმა, ბელგიელმა ჯეკი იქსმა, კოკისპირული წვიმის გამო ასპარეზობა ნახევარი დისტანციის გავლის შემდეგ შეწყვიტა. საბოლოო შედეგი ერთი წრით ადრე დაფიქსირდა, როცა პროსტი ლიდერი იყო. ფრანგი გამარჯვებულად გამოცხადდა, მეორე ადგილზე სენა გავიდა, მესამე კი გერმანელი შტეფან ბელოფი (Tyrrell-Ford) იყო. დაჯილდოების ცერემონიალზე აირტონი უგუნებოდ იყო, რადგან ფიქრობდა, რომ საუცხოო რბოლა „ჩაუშალეს“. ბრაზილიელი პილოტი ბრიტანელმა „უგვირგვინო ჩემპიონმა“, სტირლინგ მოსმა დაამშვიდა და უთხრა, რომ ის სათავადოში რბოლას აუცილებლად მოიგებდა. მოსის წინასწარმეტყველება სულ მალე ახდა. 1987 წელს სენამ პირველად გაიმარჯვა მონაკოში, Lotus-Honda-ის ბოლიდით. მერე კიდევ ხუთჯერ მოიპოვა პირველი ადგილი 1989-1993 წლებში, უკვე McLaren-Honda-ის სარბოლო ავტომობილით და ინგლისელი გრემ ჰილის (5 მოგება) შედეგი გააუმჯობესა. სწორედ მსოფლიოს ოთხგზის ვიცეჩემპიონის, სერ სტირლინგ მოსის წყალობით შეარქვეს ჟურნალისტებმა აირტონ სენას „წვიმის კაცი“, უამინდობაში არაჩვეულებრივი რბოლის ჩატარების გამო. აირტონი წვიმაში კარგად იმიტომ გრძნობდა თავს, რომ იგი უამინდობის იმიტაციის მიზნით, კარტადრომის საფარს ხშირად რწყავდა და საფარის გაშრობამდე ხვეწდა მოსახვევების სწრაფად გავლის ტექნიკას.

80-იანებიდან 90-იანი წლების შუალედამდე ფორმულა 1-ში უდიდესი კვარტეტი გამოიკვეთა ბრაზილიელი აირტონ სენას, ფრანგი ალენ პროსტის, ინგლისელი ნაიჯელ მენსელის და ბრაზილიელი ნელსონ პიკეს შემადგენლობით.

1991 წლის ჩემპიონატმა აირტონ სენას შეუდარებლობა დაადასტურა. ბრაზილიელი ყოველთვის ბოლომდე იხარჯებოდა – ისე, რომ რბოლის ბოლოს, არაქათი აღარ ჰქონდა და პოდიუმზე ვეღარ ადიოდა. სენა კონცენტრაციის საოცარი უნარით გამოირჩეოდა. 1991 წელს, McLaren-Honda-ის ბოლიდით, აირტონმა ბრაზილიის გრან პრი თავისი კარიერის მანძილზე პირველად მოიგო; თანაც როგორ: ბოლო ათ წრეზე მისი მანქანის გადაცემათა კოლოფში მხოლოდ მეექვსე საფეხური მუშაობდა. მარჯვენა ხელი, რომლითაც გადაცემები უნდა გამოეცვალა, ნაღრძობი ჰქონდა და დაძაბულობისგან უფრო ასტკივდა. თან სხვადასხვა სირთულის მოსახვევები უნდა გაევლო, ათი წრე უნდა გაეძლო. გაძლო და მოიგო კიდეც. გადაკვეთა თუ არა ფინიშის ხაზი, მიკროფონში ყვირილი გაისმა; ყვირილი – ერთდროულად აღუწერელი სიხარულისა და ტკივილის გამომხატველი. ასეთი გმირობის შემყურე მთელი სან პაულუ გადაირია. „ინტერლაგუშის“ ავტოდრომი ოვაციებისგან კინაღამ დაინგრა. იმავე სეზონში სენამ მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

ვინაიდან აირტონ სენა საკუთარ პროფესიაზე „გადამკვდარი“ იყო და საკმაოდ „ჩაკეტილ“ ცხოვრებას ეწეოდა, მიიჩნევდნენ, რომ მას მეგობარი არ ჰყავდა. ის კი არა, პირველი და ერთადერთი ცოლიც, ვივიანე ვასკონსელუშიც, სწორედ მისი საქმისადმი დამოკიდებულების გამო გაექცა. აირტონი 17 წლის იყო, როცა მასავით კარტინგით მოასპარეზე გოგონა ცოლად მოიყვანა, მაგრამ მათმა თანაცხოვრებამ ერთი წელიც ვერ გაძლო. აირტონი სრულად იყო ჩართული ავტოსპორტში და სხვა რამ ნაკლებად აინტერესებდა. პირველად ის პაბში მისმა პირველმა მენეჯერმა, პირადმა ფოტოგრაფმა და, როგორც თვითონ ამბობდა, მეგობარმა, ინგლისელმა კით სატონმა წაიყვანა და მათ ფორმულა 3-ში ტრიუმფის შემდეგ, ფორმულა 1-ში გადასვლა აღნიშნეს. მოგვიანებით, როცა აირტონი McLaren-ში ალენ პროსტის თანაგუნდელი გახდა, ფრანგმა პილოტმა სენას ურჩია, რბოლების გარდა ცხოვრებაში სხვა რაღაცებიც არის საინტერესო. პროსტი ბრაზილიელის ასეთი შრომისმოყვარეობით და პროფესიისადმი სიყვარულით ხალისობდა.

ცნობილია, რომ ავტოსპორტში პილოტებს შორის მეგობრობა თითქმის გამორიცხულია. თუმცა, აირტონ სენა თავის ერთადერთ მეგობრად „მაკლარენში“ ავსტრიელ თანაგუნდელს, გერჰარდ ბერგერს თვლიდა. არადა, ბერგერთან მეგობრობა იმას ნიშნავდა, რომ სენას ავსტრიელის სახუმარო ხრიკებისთვის უნდა გაეძლო. გერჰარდმა აირტონი ბევრჯერ გააწამა, მაგრამ იგი ბრაზილიელი მეგობრისგან ყველაფერს იტანდა. ერთხელ რბოლაზე მეგობრები ერთად გაემგზავრენ. საზღვარზე გადასვლისას გერჰარდმა საბაჟო უპრობლემოდ გაიარა. როდესაც აირტონის ჯერი დადგა, მას პოლიციელი გაოცებული მიაშტერდა. აირტონმა პასპორტს დახედა – მისი ფოტოს ადგილას შიშველი მოდელის ფოტო იყო ჩაკრული.

ვინაიდან აირტონ სენა საკუთარ პროფესიაზე გადამკვდარი იყო და საკმაოდ ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, მიიჩნევდნენ, რომ მას მეგობარი არ ჰყავდა.

მართალია, აირტონი ტრასაზე დაუნდობელი იყო, მაგრამ მეტოქეს პატივს სცემდა. 1992 წელს ბელგიაში, „სპა-ფრანკორშამზე“, სენამ ერიკ კომასის ავარიის გამო რბოლა მიატოვა და მძიმე მდგომარეობაში მყოფი მეტოქის საშველად გაემართა. იგი გიგიერ-ღენაულტ-ს ფრანგ პილოტს მიეჭრა და სანამ საექიმო ავტომობილი გამოჩნდებოდა, კომასს თვითონ ეხმარებოდა. აირტონმა საკუთარი სიცოცხლეც კი საფრთხის ქვეშ დააყენა, როცა ავარიის შედეგად ამტვერებულ გზაზე ბოლიდებს ერიდებოდა.

ის სეზონი როგორც ბრაზილიელი პილოტისთვის, ისე მისი McLaren-ისთვისაც ურთულესი გამოდგა. ბრიტანული გუნდის ავტომობილი აშკარად უფრო სუსტი იყო, ვიდრე ასევე ინგლისელი, ფრენკ უილიამსის გუნდის მანქანა. Williams-ში მაშინ ინგლისელი ნაიჯელ მენსელი და იტალიელი რიკარდო პატრეზე ასპარეზობდნენ. ისინი მთელი ჩემპიონატის განმავლობაში დომინირებდნენ. აირტონ სენა გამარჯვების შანსს ეძებდა და მონახა კიდეც მონაკოში. „კაზინოს გარშემო რბოლა“ (ასე ეძახიან მონტე კარლოში რბოლას) თავიდანვე მენსელის ლიდერობით დაიწყო. სენამ სტარტის შემდეგ ეფექტური მანევრირებით პატრეზე ჩამოიტოვა



და მენსელს გამოედევნა. როცა მეტოქეებს შორის სხვაობამ 30 წამს მიაღწია, ყველას ეგონა, რომ მენსელი, ბოლოს და ბოლოს, გაიმარჯვებდა ჯუჯა სახელმწიფოს ლეგენდარულ ტრასაზე, მაგრამ ინგლისელმა პილოტმა იგრძნო, რომ მანქანა არასტაბილური იყო და ბოქსებისკენ შეუხვია. ტრასაზე დაბრუნებულ მენსელს სენას McLaren-მა ჩაუქროლა. ბრაზილიელმა ყველას გაასწრო და ამ მომენტიდან ნამდვილი სარბოლო შოუ დაიწყო. „გადარეული“ მენსელი ყოველ წრეზე 5 წამს უგებდა ბრაზილიელს, ბოლოს „ანტიფრთაზეც კი დააჯდა“, მაგრამ სენა მეტოქის ყოველ შეტევას ოსტატურად იგერიებდა. მენსელი ხან მარცხნიდან, ხან მარჯვნიდან ცდილობდა გვერდის ავლას, მაგრამ სენა მოცურებით გასასვლელს უხურავდა. ტრასაზე განლაგებული მსაჯები ტყუილად იქნევდნენ ცისფერ ალმებს, რაც მეტოქისთვის გზის დათმობას ნიშნავს. სენა მენსელს გზას არ დაუთმობდა. ბოლოს ორივემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ვიღაცამ აირტონს ბრაზილიის ეროვნული დროშა მიაწოდა და ავტომრბოლელმა ამ დროშის ფრიალით გაიარა საპატიო წრე. ესეც დაუშვებელია, მაგრამ იმ დღეს სენას დაჯარიმება საერთაშორისო პოლიტიკური სკანდალის ტოლფასი იქნებოდა. მენსელმა სენას ჩაუარა და გამარჯვება მიულოცა. ბრაზილიელმა მეხუთედ მოიგო მონაკოს გრან პრი და სათავადოში გამარჯვების რაოდენობით ინგლისელ გრემ ჰილს გაუტოლდა. დაჯილდოების ცერემონიალზე სენა და პატრეზე გამოცხადდნენ. მენსელი არ ჩანდა და უცებ სატელევიზიო კამერებმა აჩვენეს, როგორ მოჰყავდა ბრიტანელი პილოტი ერთ-ერთ სტიუარდს. მენსელი წონასწორობას ვერ ინარჩუნებდა, დაღლილობისგან ფეხები ეკვეთებოდა. იგი როგორღაც აბობღდა კიბეზე და პატრეზეს გვერდით დადგა. იტალიელმა მეგობარს წელზე ხელი მოხვია; მენსელი ჯერ კიდევ ბორძიკობდა და მძიმედ სუნთქავდა. მაყურებელი საოცარი ორმხრივი გმირობისა და „სამართლიანი თამაშის“ მოწმე გახდა. როცა შამპანურის შხეფებით წუწაობის დრო დადგა, უკვე მოსულიერებული მენსელი სენას ბოთლით ხელში დასდევდა და ბოლოს ქანცგამოცლილი ასფალტზე დაჯდა. გამარჯვების ასეთი სახით აღნიშვნა 30-იანი წლების უდიდესმა იტალიელმა ავტომრბოლელმა, ტაციო ნუვოლარიმ მოიგონა.

აირტონი უკვე Williams-Renault-ის კოკპიტში იჯდა და სასტარტო ბილიკის პირველი ადგილის დასაკავებლად გადიოდა, რათა კარიერის ბოლო შვიდი წრე ლიდერობით გაევლო და... ტამბურელოს მოსახვევთან დაღუპულიყო.

პორტუგალიის გრან პრის შემდეგ, რომელზეც ალენ პროსტმა მეოთხედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, მან ფორმულა 1-იდან წასვლა გადაწყვიტა. როდესაც პროსტმა მომდევნო სეზონისთვის განკუთვნილი ავტომობილი გამოსცადა, იგი მიხვდა, რომ დარჩენა და კარიერის გაგრძელება აღარ ღირდა. აირტონ სენა მარტო დარჩა და... Williams-ში გადავიდა, იმის მაგივრად, რომ McLaren-ში დარჩენილიყო. იაპონიისა და ავსტრალიის გრან პრიზე სენა და პროსტი ერთად პოდიუმზე უკანასკნელად იდგნენ.

1994 წელი ფორმულა 1-ის ჩემპიონატების ისტორიაში „შავ პერიოდად“ არის ცნობილი. ჯერ იყო და, ავტომობილებს მთელი დამხმარე ელექტრონული მოწყობილობა მოხსნეს, რის გამოც მანქანები ძნელად სამართავი გახდა. ეს სენამაც იგრძნო, როცა პირველად მიუჯდა საჭეს. ტესტირების მერე ის ზურგისა და კისრის ტკივილს უჩიოდა. წინ უფრო მეტი სირთულეები ელოდა აირტონს. ბრაზილიასა და წყნარი ოკეანის გრან პრიზე, მიუხედავად იმისა, რომ სენას კვალიფიკაცია ჰქონდა მოგებული, მას არ გაუმართლა – ორჯერვე მოუსრიალდა ავტომობილი.

დადგა სან მარინოს გრან პრის უქმეებიც. აირტონ სენა ამბობდა, რომ ჩემპიონატი მისთვის სწორედ „იმოლას“ ავტოდრომიდან იწყება, ადგილიდან, სადაც მას რბოლა უკვე სამჯერ მოიგო. ამჯერად, აქ ყოველ დღეს რაღაც საშინელება ხდებოდა. პარასკევს სენას ახალგაზრდა მეგობარი და თანამემამულე, რუბენს ბარიკელო ავარიაში მოჰყვა, ხელი მოიტეხა, ცხვირი დაიზიანა და საავადმყოფოში მოხვდა. აირტონი ყველა წესის წინააღმდეგ წავიდა და სარბოლო კომბინეზონში გამოწყობილი ესტუმრა ავადმყოფს (საწვიმარ მილს აჰყვა და ფანჯრიდან გადაძვრა რეანიმაციის განყოფილების პალატაში). ამ სტუმრობამ ბარიკელოზე საოცრად იმოქმედა, მერე ბევრჯერ ჰყვებოდა, როგორ გაახილა თვალი და აირტონი დაინახა. სენამ გამოჯანმრთელება უსურვა მეგობარს, ტრასისკენ გაემართა და კვალიფიკაციაც მოიგო, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, უკანასკნელად თავისი კარიერის მანძილზე. ავარიები ბარიკელოს ინციდენტი არ დასრულებულა. შაბათს, კვალიფიკაციის დროს, მძიმე შეჯახების შედეგად მიღებული ტრავმებისგან ავსტრიელი როლანდ რაცენბერგერი (Simtek) დაიღუპა. რბოლის იტალიელი ორგანიზატორები საგონებელში ჩაცვივდნენ. მათ ვერ გადაეწყვიტათ, ასპარეზობა შეეჩერებინათ თუ ტრაგედია დაემალათ და რბოლა გაეგრძელებინათ. სამწუხაროდ, ორგანიზატორებმა მეორე გზა აირჩიეს და ამ ნაბიჯს უფრო დიდი ტრაგედია მოჰყვა. აირტონ სენა გაოგნებული იყო. მასზე მომხდარმა ამბავმა და საშინელმა ტყუილმა ისე იმოქმედა, რომ სენას ცრემლები წასკდა. მან გადაწყვიტა, რომ, თუკი ის სან მარინოს გრან-პრის მოიგებდა, ბრაზილიის დროშასთან ერთად ავსტრიის დროშასაც ააფრიალებდა და ამით როლანდ რაცენბერგერს პატივს მიაგებდა (სენას ავარიის ადგილის დათვალიერებისას Williams-Renault-ს კოკპიტში ავსტრიის დროშა აღმოაჩინეს). აირტონმა თავის საცოლეს, ფოტომოდელ ადრიანა გალისტეუს დაურეკა და ყველაფერი უამბო, თან დასძინა, რომ რბოლაზე გამოსვლა აღარ სურდა. ფორმულა 1-ის მთავარმა ექიმმა, პროფესორმა სიდ უოტკინსმა აირტონს ურჩია, ყველაფერი მიეტოვებინა და მას სათევზაოდ წაჰყოლოდა. სენამ კი უპასუხა, რომ არ შეეძლო, რადგან კონტრაქტის პირობები უნდა შეესრულებინა. კვირას პადოკებში, სადაც ფორმულა 1-ის გუნდების მოტორჰოუმებია განლაგებული, აირტონი ალენ პროსტს შეხვდა და მას ხელი ჩამოართვა. რაც მერე მოხდა, იმან ყველა დააფიქრა. ტრასაზე გასვლის წინ სენა მიკროფონით მიესალმა პროსტს: „To my… to our dearest friend Alain! We'll miss you, Alain!“ („მივესალმები ჩემს... ჩვენს უსაყვარლეს მეგობარ ალენს! მოგვენატრები, ალენ!“). აირტონი უკვე ჭილლიამს-ღენაულტ-ს კოკპიტში იჯდა და სასტარტო ბილიკის პირველი ადგილის დასაკავებლად გადიოდა, რათა კარიერის ბოლო შვიდი წრე ლიდერობით გაევლო და... „ტამბურელოს“ მოსახვევთან დაღუპულიყო. უფრო სწორად, მძიმე ტრავმები მიეღო და ბოლონიის საავადმყოფოში, ოჯახთან შეთანხმებით, გაეჩერებინათ ხელოვნური სუნთქვის აპარატი.

შვიდი დაუვიწყარი წრე ყველა მისი გულშემატკივრისთვის, მისი მეტოქეებისთვის – განსაკუთრებით ეს იმ რბოლაში მის მდევარს, გერმანელ მიხაელ შუმახერს (Benetton-Ford) და ავსტრიელ მეგობარს, გერჰარდ ბერგერს (Ferrari) შეეხო. პირველზე ამბობდნენ, რომ ის ძალზე ხისტად უტევდა

ბრაზილიელს. ასეც უნდა ყოფილიყო. თვით სენასაც გაუკვირდებოდა, შუმახერს მთელი თავისი ოსტატობის დემონსტრირება რომ არ მოეხდინა. როცა „ტამბურელოსთან“ აირტონის დამსხვრეული Williams-Renault გაჩერდა, იმ მომენტში ბერგერმა, ისევე როგორც სხვებმა, მას გვერდი აუარეს. რბოლა შეწყდა და ავტომრბოლელები სტარტზე გასვლაზე ძლივს დაითანხმეს. არავის უნდოდა ასპარეზობის გაგრძელება. რბოლის განახლებისას ბერგერი გალიდერდა, მაგრამ უცებ ბოქსებისკენ შეუხვია, კოკპიტი მიატოვა, ტანსაცმელი გამოიცვალა და მეგობრის სანახავად ბოლონიის საავადმყოფოსკენ გაემგზავრა. თვითნებურად რბოლის მიტოვება გუნდის ხელმძღვანელებისგან მოსაწონი არ არის და პილოტი ამის გამო ისჯება ხოლმე, მაგრამ ამჯერად ბერგერს სანქციები ვერ დაუწესეს, ვერ გაუბედეს.

ოცდაერთი წელი გავიდა, რაც აირტონ სენა ცოცხალი აღარ არის, მაგრამ ბრაზილიელი ავტომრბოლელი კვლავ ისეთი პოპულარულია, როგორიც ადრე იყო.

ავარიების მიზეზებს დიდი ხნის მანძილზე იკვლევდნენ. საქმეც კი აღიძრა რბოლის ორგანიზატორებისა და თვით ფრენკ უილიამსის გუნდის მიმართ არაგანზრახ მკვლელობის მუხლით, მაგრამ საბოლოოდ არც „იმოლას“ დირექტორი, არც გუნდის მთავარი კონსტრუქტორი ედრიან ნიუი მომხდარში არ დაუდანაშაულებიათ. საქმე დაიხურა და ალბათ გულშემატკივრები სიმართლეს ვერასდროს გაიგებენ. დღესაც კი გრძელდება ბრაზილიელი ავტომრბოლელის ავარიის კვლევა. მრავალი ვერსიაც გამოჩნდა. მაგალითად, ასეთი – თითქოს რბოლის დროს ტრასაზე უყურადღებოდ დარჩენილმა რაღაც დეტალმა, რომელსაც აირტონ სენას ბოლიდმა გადაუარა, ბალანსის დარღვევა გამოიწვია და მანქანა უმართავი გახდა. ავტომობილზე დამაგრებული კამერიდან ჩანდა, რომ „ტამბურელოს“ მოსახვევთან აირტონი მოხვევას ცდილობდა, მაგრამ ვერ შეძლო. ამის შესახებ შემდეგ თქვეს, რომ საჭის ღერძმა დატვირთვას ვერ გაუძლო და გატყდა. სენას საჭე ხელში შერჩა. პილოტის სიცოცხლისთვის საშიში ტრავმა კი დარტყმის შედეგად მომძვრალმა საკიდარის ნაწილმა გამოიწვია. ბასრმა დეტალმა ბრაზილიელის შლემი გახვრიტა და საფეთქელი დააზიანა. ამ ტრაგედიის შემდეგ „ტამბურელოს“ მოსახვევი გულშემატკივრების შეკრების ადგილად იქცა. ავარიის ადგილზე ყოველთვის ნახავთ სამახსოვრო წარწერიან ბარათებს და ყვავილებს.

სიძლიერისა და სიდიადის მხრივ, აირტონ სენას ლეგენდარულ არგენტინელს, მსოფლიოს ხუთზის ჩემპიონს ხუან მანუელ ფანხიოს ადარებდნენ. სწორედ ამ ორ ავტომრბოლელს ერთად დაუდგეს ძეგლი „დონინგტონ პარკზე“ 1997 წელს, ბრაზილიელი პილოტის საუცხოო გამარჯვებიდან ოთხი წლის თავზე.

2000 წელს „მილენიუმის“ დაჯილდოებაზე, როდესაც ალენ პროსტი XX საუკუნის საუკეთესო ავტომრბოლელად აღიარეს, ფრანგმა პილოტმა ყველა მეტოქეს მადლობა გადაუხადა და ბოლოს აღნიშნა: „ამ ჯილდოს ჩემი ბრაზილიელი მეგობარიც იმსახურებდა. კარგი იქნებოდა, რომ ის დღეს ჩემ გვერდით, აქ, სცენაზე ყოფილიყო!“ დარბაზი ოვაციებისგან კინაღამ დაინგრა.

ოცდაერთი წელი გავიდა, რაც აირტონ სენა ცოცხალი აღარ არის, მაგრამ ბრაზილიელი ავტომრბოლელი კვლავ ისეთი პოპულარულია, როგორიც ადრე იყო. იგი ყველას უყვარდა, განურჩევლად რასისა და სოციალური ფენისა. საკუთარი პროფესიისადმი აირტონისნაირი დამოკიდებულება ახალი თაობის პილოტებისთვის სამაგალითოა, თუმცა ახლა უკვე პირველ პლანზე პრაგმატიზმმა წამოიწია. ყველა რბოლაში „ბოლომდე დახარჯვა“ „მოდაში“ აღარ არის.

Some Ideas
Can Groove
You

FFG
FIRST
FLOOR
GROUP

FIRST FLOOR GROUP (FFG)

FFG offers management of companies' corporate magazines and different kinds of publications, design and polygraph services of all types.
FFG has official partners – Printing Houses in Austria, Turkey and Georgia.

Georgian - Austrian Publishing Holding

19/21 Mtskheta str.,Tbilisi, 0179, Georgia, Tel: +995 32 238 19 08, Cell: +995 568 36 99 11
E-mail: info@ffg.com.ge, www.ffg.com.ge, **Join Us on Facebook:** FIRST FLOOR GROUP Media Holding

იტალიის ჩმა







იტალიატყაში ეტლებით ასპარეზობა ფირველად მოიხსენია ჰომეროსმა – ეს შეჯიბრება აღწერილია „ილიადის“ სიმღერაში, რომელიც მოკლული პატროკლოსის ხსოვნისადმი მიძღვნილ ასპარეზობებს ეხება. აქილევსის საუკეთესო მეგობრისადმი მიძღვნილ შეჯიბრში მონაწილეობდნენ დიომედესი, ევმელოსი, ანტილოქოსი, მენელაოსი და მერიონესი.

ზუსტად არ არის დადგენილი, სად და როდის დაიწყო ეტლების რბოლა, როგორც სპორტული შეჯიბრი. *სავარაუდოა, რომ ეს რბოლები იმდენი ხნისაა, რამდენისაც თავად ეტლები. კერამიკულ ფიგურებზე არსებული გამოსახულებების მიხედვით, კარგად ვიცით, რომ ამგვარ გართობას უკვე კარგად იცნობდა მიკენი, მაგრამ ლიტერატურაში ეტლებით ასპარეზობა პირველად მოიხსენია ჰომეროსმა – ეს შეჯიბრება აღწერილია „ილიადის“ ოცდამესამე სიმღერაში, რომელიც მოკლული პატროკლოსის ხსოვნისადმი მიძღვნილ ასპარეზობებს ეხება. აქილევსის საუკეთესო მეგობრისადმი მიძღვნილ შეჯიბრში მონაწილეობდნენ დიომედესი, ევმელოსი, ანტილოქოსი, მენელაოსი და მერიონესი. ასპარეზობა ერთ წრედ მიმდინარეობდა და მასში დიომედესმა გაიმარჯვა, ხოლო ჯილდოს სახით მიიღო მონაქალი და უზარმაზარი სამფეხი (ოცდაორსაზომიანი) სპილენძის ქვაბითურთ.*

აი, ჩვენ ვარმოგვიმენ ეტლებით შეჯიბრის ჭეშმარიტი „ილიადის“ ოცდამესამე სიმღერაში:

პირველად სწრაფი ეტლების შეჯიბრებისთვის ბრწყინვალე ჯილდო წარმოადგინა აქილევსმა: ხელსაქმის მცოდნე უზადო ქალი, ყურიანი სამფეხი, ოცდაორსაზომიანი – პირველი ადგილისათვის; მეორე ადგილზე გასულისთვის დაადგინა ექვსწლიანი ცხენი, გაუხედნავი, ჯორით მაკე, მესამეს ჯილდოდ დაუნიშნა მშვენიერი ქვაბი, ოთხსაზომიანი, თეთრი და უხმარი, მეოთხეს დაუდგინა ორი ტალანტი ოქრო; მეხუთეს – ორსახელურიანი, ცეცხლში უხმარი ჭურჭელი...

...სწრაფმა ცხენოსნებმა თავი მოიყარეს. პირველი წარმოდგა ხალხთა ბელადი ევმელოსი, ადმეტოსის საყვარელი ძე, ცხენოსნობით სახელგანთქმული. მას შემდეგ წამოდგა ტიდევსის ძე, მძლავრი დიომედესი, ტროის ცხენების წყვილი ჰყავდა, რომელიც ენეასს წაართვა, როდესაც იგი აპოლონმა ბრძოლას მოაცილა. შემდეგ წამოდგა ატრევსის ძე, ოქროსთმიანი მენელაოსი, ზევსის ნაშიერი, რომელსაც უღელში ჰყავდა სწრაფი ცხენები, აითე, აგამემნონის ფაშატი და მისი საკუთარი პოდარგოსი... მეოთხე იყო ანტილოქოსი, მან ლამაზფაფრიანი ცხენები გაამზადა, ის იყო ბრწყინვალე ვაჟი დიდგულოვანი ნესტორისა, ნელევსის ძისა; პილოსური იყო ეტლში შებმული მისი ფეხმარდი ცხენებიც; მამა ახლოს დადგა და სასარგებლო რამ უთხრა ბრძენმა კაცმა გონიერ ვაჟს: „სხვებს უფრო სწრაფი ცხენები ჰყავთ, მაგრამ მეეტლის ოსტატობითა და მოქნილობით შენ მათ აღემატები. მაშ, მოდი, ძვირფასო შვილო, სულით მოუხმე ყველანაირ ოსტატობას, რომ ხელიდან არ გაუშვა შეჯიბრში გამარჯვების ჯილდო...“ მეხუთე იყო მერიონესი, რომელმაც ლამაზფაფრიანი ცხენები გამოიყვანა.

ყველანი ავიდნენ ეტლებზე და წილები მუზარადში ჩაყარეს. შეარხია აქილევსმა, ნესტორის ძის, ანტილოქოსის წილი

ამოვიდა, შემდეგი მოუწია მძლავრ ევმელოსს, შემდეგი ატრევსის ძეს, სახელოვან შუბოსან მენელაოსს, მის შემდეგ მერიონესს, ხოლო ბოლოს ეტლის გაჭენება ტიდევსის საუკეთესო ძეს მოუწია. დადგნენ ამ რიგით, მიჯნა დაანახა მათ აქილევსმა, შორს იყო მინდორში, იქ კი მეთვალყურედ დასვა ღვთისდარი ფოინიქსი, მამამისის მეგობარი, რომ დაჰკვირვებოდა რბოლას და სიმართლე ეთქვა.

ყველამ ერთად ასწია მათრახი, მოქაჩეს სადავეები და ხმამაღლა შესძახეს სიტყვებით, მძვინვარედ და სწრაფად გააჭენეს ველზე ცხენები, ხომალდებიდან მოშორებით; მათ ფეხქვეშ მტვერი აიჭრა და ღრუბელივით დადგა, გრიგალივით დატრიალდა; ქარის სუნთქვამ გაუშალა ფაფარი ცხენებს; ეტლები გარბიან ხან ნაყოფიერ მიწაზე, ხან ზემოთ აიჭრებიან, მეეტლეები ეტლებში დგანან, გული უთრთის თითოეულს, გამარჯვებას მიელტვიან...

...ახლოს გამოჩნდა ტიდევსის ძე, მათრახით მძლავრად მიერეკებოდა ცხენებს; ისინიც მაღლა ხტოდნენ და სწრაფად მიქროდნენ მიზნისკენ. მეეტლეს ტალახის წვეთები ეცემოდა, ოქროთი და კალით გაწყობილ ეტლს ფეხმარდი ცხენები წინ მიაქანებდნენ, კვაღლს თითქმის არ ტოვებდნენ ბორბლის სალტეები თხელ მტვერში, ისე სწრაფად მიფრინავდნენ ცხენები. წრის შუაგულში შეჩერდა ეტლი, ოფლი ღვრად სდიოდა ცხენებს და მიწაზე იღვრებოდა კისრიდან და მკერდიდან.

დიომედესი მოელვარე ეტლიდან მიწაზე ჩამოხტა, მიაყუდა მათრახი უღელს, აღარ მოიიმინა და მძლავრმა სთენელოსმა ჯილდო ხალისით აიღო. ქალი სულდიდ მეგობრებს ჩააბარა და სახელურებიანი სამფეხი გაატანა; თავად კი გამოხსნა ცხენები.

ამის შემდეგ ნელევსის შთამომავალმა ანტილოქოსმა მოაჭენა ცხენები, რომელმაც არა სიჩქარით, არამედ მზაკვრობით გადაასწრო მენელაოსს. მალე მენელაოსმაც მოაჭენა სწრაფი ცხენები, სულ ოდნავ ჩამორჩა იმ მანძილით, რაც არის ცხენსა და ბორბალს შორის...

ამასობაში მერიონესი, იდომენევსის მამაცი თანამებრძოლი, ჩამორჩა სახელგანთქმულ მენელაოსს შუბის ტყორცნის მანძილზე, რადგან ნელი იყო მისი ლამაზფაფრიანი ცხენები და თავად მეეტლეც ვერ იყო ამგვარ ასპარეზობებში გამოცდილი. ადმეტოსის ძე კი უკანასკნელი მოვიდა, ცხენებს ერეკებოდა და ლამაზ ეტლს მიაგელვებდა.

ეტლების რბოლა ითვლება სპორტის პირველ ოლიმპიურ სახეობად. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, მეფე ენომაიოსმა ეტლების რბოლაში მოიწვია მისი ქალიშვილის, ჰიპოდამიას, ხელის ყველა მთხოვნელი. ერთ-ერთმა მათგანმა, პელოფსმა, მოიგო ეს რბოლა და შემდგომში თავისი გამარჯვების აღსანიშნავად დააწესა სპორტული შეჯიბრებები, რომელთაგანაც დაიწყო ოლიმპიური თამაშები.

ძველ ოლიმპიადებზე, ისევე როგორც სხვა ასეთ თამაშობებზე, ეტლებით რბოლის ორი სახეობა იყო, ეტლში შებმული ცხენების რაოდენობის მიხედვით. იყო ოთხცხენიანი ეტლები („ტეტრიპონი“) და წყვილცხენიანები („სინორისი“). ცხენების რაოდენობის გარდა, ეს რბოლები არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. პირველად ეტლებით რბოლა, როგორც სპორტის ოლიმპიური სახეობა, შემოიღეს ოლიმპიაში ძვ. წ. 680 წელს.

რბოლა იწყებოდა ჰიპოდრომზე ეტლების საზეიმო შემოსვლით. მაცნე ხმამაღლა აცხადებდა მეეტლისა და ეტლის მფლობელის სახელებს. ოლიმპიის ჰიპოდრომი სიგრძეში 600 მეტრი იყო და სიგანეში – 200. ერთ რბოლაში მონაწილეობა შეეძლო მიეღო 60 ეტლს, თუმცა, ჩვეულებრივ, ეტლების რიცხვი გაცილებით ნაკლები იყო. ჰიპოდრომი იმ ბორცვის წინ იყო მოწყობილი, რომელზეც ფეხზე იდგა 10 000 მაყურებელი. რბოლა მოიცავდა ჰიპოდრომის ირგვლივ 12 წრეს და თავსა და ბოლოში ე. წ. მიჯნის ბოძებთან ხდებოდა მკვეთრი მოხვევა.

გამოიყენებოდა სხვადასხვა მექანიკური მოწყობილობა, რომელთაც ერქვათ „არწივი“ ან „დელფინი“; მათ იყენებდნენ რბოლის წრეების დასათვლელად. როგორც ჩანს, ეს იყო ბრინჯაოს ფიგურები, რომლსაც სამიჯნე ბოძებზე ამაგრებდნენ. სტარტის წინ მათ ზემოთ სწევდნენ, ხოლო შემდეგ თითო-თითოდ უშვებდნენ დაბლა და ამით აჩვენებდნენ მრბოლელებს, თუ რამდენი წრე დარჩა.

სხვა ოლიმპიური სახეობებისგან განსხვავებით, მეეტლეები შიშვლები არ იყვნენ; როგორც ჩანს, ითვალისწინებდნენ უსაფრთხოების მოთხოვნებსაც და იმასაც, რომ ცხენების ფლოქვებიდან და ეტლის ბორბლებიდან ოფლიან მეეტლეებს შიშველ სხეულებზე მტვერი არ აჰკიდებოდათ. სარბოლო ეტლებს საბრძოლო ეტლების მსგავსად ამზადებდნენ. ეს იყო ორბორბლიანი, უკნიდან ღია ხის ურემი. მეეტლეები ფეხზე იდგნენ, თავად ეტლი ყოველგვარი ამორტიზაციის გარეშე ეყრდნობოდა ღერძს. ასე რომ, რბოლა იოლი არ იყო. მაყურებლისთვის ყველაზე უფრო მიმზიდველი სანახაობა იყო მოსაბრუნებელი ბოძის გავლა. ამ რთული მანევრის დროს ტრავმის მიღების და თვით სიკვდილის რისკიც მაღალი იყო.

ეტლების რბოლა პრესტიჟულობით ჩამორჩებოდა „სტადიონს“ (სირბილში შეჯიბრებას), მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე რომელიმე სხვა საცხენოსნო შეჯიბრი.

HAIR

ზაფხული “სოკოს” გარეშე!

ზაფხული წელიწადის საუკეთესო დროა, მაგრამ სამწუხაროა, თუ არასასიამოვნო შეგრძნებები გვიმლის დასვენებაში ხელს. ქავილი და წვა ტერფების მიდამოში, მცირე ნახეთქები, მეწითლება ან აქერცვლა, ფერხილების გასქელება და აშრევება — ბევრი ჩვენთაგანი ამ სიმპტომებს არასერიოზულად აღიქვამს და თვლის, რომ ეს ავიტამინოზია, ან უბრალოდ, კანის სიმშრალე. თუმცა ეს სიმპტომები შეიძლება სერიოზულ დაავადებაზე — სოკოვან ინფექციაზე (მიკოზზე) მიუთითებდეს.



მიკოზის წყარო ყველაზე ხშირად დაავადებული ადამიანია. დაავადების განვითარებას ხელს უწყობს ოფლიანობა, დახურული სპორტული ან ვიწრო ფეხსაცმლის დიდხანს ტარება, ამიტომ ხშირად ამ პრობლემის წინაშე სპორტსმენები დგებიან. ინფექციის მიზები შეიძლება გახდეს კანის ტრავმული დაზიანებები, ენდოკრინული დაავადებები, მაგ.: დიაბეტი, ვიტამინების ნაკლებობა, სისხლძარღვების პათოლოგიები.

თუ შევამჩნევთ აღწერილი სიმპტომებს, თავი არ უნდა დავიმშვიდოთ, რომ სოკო თავისით გაივლის. არ გაივლის და სანამ ჩვენ ველოდებით, დაავადება განაგრძობს პროგრესირებას, დააზიანებს სხეულის სულ უფრო მეტ უბანს, გადავა სხვა ფერხილებზე, ფეხს გაუჩნდება არასასიამოვნო სუნი, ფერხილები გამუქდება და დაიწყებს აქერცვლას. ეს კი ხელს შეგვიმლის დასვენებაში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში, ვერ ვივლით სპორტდარბაზებსა და აუზებში. ამიტომ მაშინვე უნდა გამოვიჩინოთ ყურადღება და დავიწყოთ მკურნალობა სწრაფადმოქმედი და ეფექტური სოკოს საწინააღმდეგო საშუალებებით. გვახსოვდეს, რომ სოკოებს ახასიათებთ შეჩვევის უნარი პრეპარატების მიმართ, შედეგად სოკოვანი დაავადება ხშირად ბოლომდე არ ემორჩილება მკურნალობას და ხელსაყრელ პირობებში ისევ იჩენს თავს.

ზალაინი სოკოს საწინააღმდეგო ადგილობრივი პრეპარატების უახლესი თაობის წარმომადგენელია. მას ახასიათებს ძლიავრი სამმაგი მოქმედება, შედეგად სწრაფად სპობს სხვა პრეპარატების მიმართ გამძლე სოკოს უჯრედებსაც კი.

ზალაინს პროფილაქტიკური უნარიც აქვს - აფერხებს სოკოების მიძინებული მდგომარეობიდან აქტიურ ფორმაში გადასვლას. ამიტომ მისი მეშვეობით შეიძლება დავიცვათ თავი პირველადი ინფიცირებისგან და მოვხსნათ სოკოვანი დაავადების განმეორების პრობლემა. ზალაინი სრულიად უსაფრთხოა ნებისმიერ ასაკში. სამკურნალო მიზნით, ზალაინი გამოიყენება დაზიანებული ადგილისა და 1სმ ჯანმრთელი კანის არეში 1-ჯერ ან 2-ჯერ დღეში თხელი ფენის სახით, ხოლო პროფილაქტიკისთვის — 1-ჯერ დღეგამოშვებით ან კვირაში ორჯერ.

სოკოვანი ინფექციისგან თავდასაცავად უნდა შევარჩიოთ თავისუფალი და მოხერხებული ფეხსაცმელი; ვატაროთ ბამბის წინდები და ვიცვალოთ ყოველდღე; მკურნალობის დაწყებამდე გავაკეთოთ ფეხსაცმლის და წინდების დეზინფექცია და მკურნალობის პერიოდში თვეში ერთხელ გავიმეოროთ. სოკოვანი ინფექციის მომატებული რისკის დროს ანუ სპორტით დაკავებისას, აუზზე, საუნაში ან ზღვაზე ბანაობის შემდეგ და სხვ. პროფილაქტიკური მიზნით პერიოდულად გამოვიყენოთ ზალაინის კრემი, რათა ავიცილოთ თავიდან ამ შემაწუხებელი დაავადების განვითარება.

ბეუცვლელი ვიტამინი სპორტსმენებისთვის და აქტიური ადამიანებისთვის

ყველასთვის კარგად ცნობილია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ვიტამინები სპორტსმენებისთვის. მაშინ, როდესაც ფიზიკურად არააქტიურ ადამიანს შეუძლია ვიტამინების ბალანსის შენარჩუნება სწორი კვებით, სპორტსმენებს დიდი ენერგეტიკული ხარჯების გამო სჭირდებათ ვიტამინების დამატებით მიღება.

აუცილებელი ვიტამინების სიაში, პირველი ადგილს უდაოდ იკავებს C ვიტამინი. მისი ნაკლებობა არდევეს თითქმის ყველა სისტემის ნორმალურ მუშაობას და იწვევს კუნთების მასის შემცირებას.

C ვიტამინი არის ყველაზე მძლავრი ანტიოქსიდანტი ვიტამინებს შორის. იგი ხელს უწყობს უჯრედების ზრდას და აღდგენას, მონაწილეობს ამინომჟავების, კოლაგენის სინთეზში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ძვალ-კუნთოვანი სისტემის ნორმალური მუშაობისთვის: თუ მყესოვანი აპარატი სუსტია, ტრავმების რისკი იზრდება.

C ვიტამინი ხელს უწყობს ქსოვილების ჟანგბადით გაჯერებას, მონაწილეობს სტეროიდული ჰორმონების სინთეზში, ასტიმულირებს ჰროტეინების წარმოქმნას, აძლიერებს ენერგოცვლას კუნთებში, მუსკულატურის ზრდას და სწრაფ აღდგენას გადატანილი ტრავმების შემდეგ.

იოვიტალ C-დუო C ვიტამინის ახალი თანამედროვე ფორმაა, რომელიც შეიცავს ორი სახის გრანულებს – C ვიტამინის სწრაფი და გახანგრძლივებული გამოთავისუფლებით. დღეში 1 კაფსულა საკმარისია ანაზღაურებს ამ შეუცვლელი ვიტამინის მოთხოვნას, ხოლო რეტარდული ტექნოლოგია უზრუნველყოფს სტაბილურ ანტიოქსიდანტურ ეფექტს მთელი დღის განმავლობაში.

იოვიტალ C-დუო შეუცვლელია სპორტში კარგი შედეგების მისაღწევად!

იოვიტალ C დუო

კაფსულები პროლონგირებული გამოთავისუფლებით

500 მგ, 750 მგ №60

მხოლოდ 1 კაფსულა დღეში

იცავს დაავადებებისა და სტრესისგან

PSP №1

EGIS

ტელ: 2 55 99 06

ДОНИЛ БРАНСОНИ

ინტელექტუალური თამაში

ლატო ბასიკაძე

პოკერი, კერძოდ მისი ერთ-ერთი სახეობა, Texas Holdem, **მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თამაშია, რომელსაც ნებისმიერი ასაკის, სქესის, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულების, ორიენტაციისა და რასის წარმომადგენელი თამაშობს.** არადა, რამდენიმე წლის წინ საქმე ასე სულაც არ იყო...

ყველაფერი 2003 წელს დაიწყო, როდესაც ვინმე კრის მანიმეიქერმა, ჩვეულებრივმა მოყვარულმა მოთამაშემ, ინტერნეტში, სატელიტური ტურნირების მეშვეობით, პოკერის მთავარ და ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში, WSOP Main Event-ში მონაწილეობის უფლება მიიღო. 28 წლის ბუღალტერმა, რომელიც იმ დროს რესტორანშიც მუშაობდა, საკუთარი გვარი გაამართლა (Moneymaker – ფულის მომტანი, ფულის გამკეთებელი) და ტურნირზე გამარჯვებით 2.5 მილიონი დოლარი მოიგო.

მანიმეიქერი გახდა ისტორიაში პირველი მოთამაშე, რომელმაც „მეინ ივენთზე“ მოხვედრის უფლება ინტერნეტში მოგებული რამდენიმედოლარიანი (ისე, „მეინ ივენთზე“ თამაში 10 000 დოლარი ღირს) ტურნირის მოგებით მიიღო და შემდეგ ამ ტურნირში იმარჯვა. იმას, რაც შემდეგ მოხდა, პრესაში „მანიმეიქერის ეფექტი“ შეარქვეს – ინტერნეტში ასობით პოკერის საიტი გამოჩნდა, მოთამაშეთა რაოდენობა გაასმაგდა და იმ დღიდან მოყოლებული, პოკერი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ თამაშად იქცა. დღესაც ძალიან ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე, რომელიც პოკერის წყალობით მილიონერი გახდა, მადლობას სწორედ კრის მანიმეიქერს უხდის.

გენიალური ამერიკელი მწერალი ედგარ ალან პო, თავის ნაწარმოებში „მკვლელობა მორგის ქუჩაზე“, რომელიც თანამედროვე დეტექტიური ჟანრის პირველ ნაწარმოებად მიიჩნევა, გამოთქვამს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ჭადრაკი არაა გონების გავარჯიშებისთვის საუკეთესო თამაში, რადგან მოჭადრაკეს ანალიზზე მეტად კონცენტრაცია მოეთხოვება. ის მოჭადრაკე, რომელიც ნაკლებ შეცდომას დაუშვებს, შესაბამისად, არ მოეშვება და კონცენტრირებული იქნება, აუცილებლად მოიგებს პარტიას. გაცილებით მეტი ფიქრი, აზროვნება და ანალიზია საჭირო „ვისტის“ (აშშ-ში 19-ე საუკუნეში პოპულარული ბანქოს თამაში, რომელიც „ბრიჯისა“ და „პრეფერანსის“ წინამორბედად ითვლება) თამაშის დროს. პოს აზრით, კარგმა მოთამაშემ არა მხოლოდ ბანქო უნდა ითვალოს და შესაძლო კომბინაციები გამოთვალოს, რაშიც მას კონცენტრაცია და მახსოვრობა სჭირდება, არამედ ის უნდა დააკვირდეს მეტოქეს, შეისწავლოს მისი თითოეული მოძრაობა, მიმიკა, ყურადღება მიაქციოს ამა თუ იმ სიტუაციაში მის ყოველ სიტყვას, ემოციას, ხელის მოძრაობას, გამოხედვას, იმას, თუ როგორ ალაგებს ბანქოს ხელში. რამდენიმე დარიგების შემდეგ კარგი ანალიტიკური აზროვნების მქონე ადამიანმა თავისი ყველა მეტოქე ისე უნდა შეისწავლოს, თითქოს მათ ბანქოს ხედავდეს.

28 წლის ბუღალტერმა, რომელიც იმ დროს რესტორანშიც მუშაობდა, საკუთარი გვარი გაამართლა (MONEYMAKER ფულის მომტანი, ფულის გამკეთებელი) და ტურნირზე გამარჯვებით 2.5 მილიონი დოლარი მოიგო.

მართალია, ეს მოსაზრება პომ „ვისტის“ შესახებ გამოთქვა, მაგრამ ზუსტად იმავეს თქმა შეიძლება პოკერზე, კერძოდ, „ტექსას ჰოლდემზე“, რომელშიც მოთამაშეს კარგი ანალიტიკური აზროვნება, მეხსიერება და სწრაფად დათვლის უნარი სჭირდება. პოკერის მოთამაშემ, მეტოქეების შესწავლის გარდა, უნდა გამოთვალოს კომბინაციის აწყობის ვარიანტები, გადათვალოს შანსები, პროცენტულად გამოიანგარიშოს, ღირს თუ არა კონკრეტული რაოდენობის თანხის ჩასვლა ამა თუ იმ სიტუაციაში. ზოგადად, ბანქოს ყველა სხვა თამაშის მსგავსად, გამართლებას პოკერშიც დიდი როლი აქვს, მაგრამ არა გადამწყვეტი. გამართლების ხარჯზე მოთამაშემ შეიძლება მოიგოს ერთი ან რამდენიმე დარიგება, საოცარი გამართლების წყალობით, ერთი ტურნირიც კი, მაგრამ წლების განმავლობაში მხოლოდ გამართლების იმედად მყოფი მოთამაშე ბევრს ვერაფერს მიაღწევს და საბოლოოდ წაგებული დარჩება.



Johnny Moss,
Wills Slim,
Jack Binion,
Pearson

WSOP

WSOP, იგივე World Series Of Poker (პოკერის მსოფლიო სერია)

WSOP, იგივე World Series Of Poker (პოკერის მსოფლიო სერია) არის პოკერის ტურნირების ყველაზე პოპულარული სერია, რომლის გვირგვინიც გახლავთ უკვე ნახსენები Main Event. მას ხშირად მსოფლიოს ჩემპიონატსაც უწოდებენ. ამ ტურნირზე გამარჯვების მოპოვება ავტომატურად ჩაწერს მოგებულის გვარს პოკერის ისტორიაში.
2003 წელს, როდესაც „მეინ ივენთზე“ მანიმეიქერმა იმარჯვა, ტურნირში მონაწილება 839-მა მოთამაშემ მიიღო, მომდევნო წელს კი უკვე 2,576-მა. 2014 წელს „მეინ ივენთზე“ 6,683-მა მოთამაშემ იასპარეზა და შედეგად, გამარჯვებულმა, 27 წლის შვედმა მარტინ იაკობსონმა, ზუსტად 10 მილიონი დოლარი მიიღო. მართლაც წარმოუდგენელი და საოცარი ციფრებია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირველი „მეინ ივენთი“ 1970 წელს გაიმართა, თან მაშინ გამარჯვებული არა ტურნირის, არამედ გამოკითხვის მეშვეობით გამოვლინდა. პირველი გამარჯვებული იყო პოკერის ლეგენდა ჯონი მოსი. პირველი ტურნირი კი მომდევნო, 1971 წელს გაიმართა, რომელშიც სულ 6 ადამიანი მონაწილეობდა. გამარჯვებული კვლავ მოსი გახდა, რომელმაც სულ რაღაც 30 000 დოლარი მიიღო. მოსმა ერთგვარი „ჰეთთრიქი“ 1974 წელს შეასრულა, როდესაც „მეინ ივენთის“ გამარჯვებული მესამედ გახდა. ერთადერთი მოთამაშე, რომელმაც ეს ტურნირი ასევე სამჯერ მოიგო, სტუ ანგერი (1980, 1981, 1997) გახლავთ, მაგრამ მისი გამარჯვებები უფრო ფასეულია. ისევ და ისევ იმის გამო, რომ პირველი გამარჯვება მოსმა გამოკითხვის წყალობით მოიპოვა.
WSOP-ის ნებისმიერი ტურნირის გამარჯვებული („მეინ ივენთის“ გარდა წლის განმავლობაში კიდევ არაერთი ტურნირი იმართება) სოლიდურ თანხასთან ერთად ბრილიანტებით მოჭედილ სამაჯურს იღებს. ამ მხრივ რეკორდსმენი 1989 წლის „მეინ ივენთის“ გამარჯვებული ფილ ჰელმუტია, რომელმაც კარიერის განმავლობაში, ბევრ სხვა ასპარეზობასთან ერთად, WSOP-ის სერიის 13 ტურნირი და, შესაბამისად, 13 სამაჯური მოიგო.

ერთადერთი, ვინც ეს პრიზი ორჯერ მოიგო დანიელ ნეგრეანუ გახლავთ. იგი წლის საუკეთესო მოთამაშე 2004 და 2013 წლებში გახდა.

2004 წლიდან მოყოლებული, ტურნირებზე დაფიქსირებული შედეგების მიხედვით, ვლინდება წლის საუკეთესო მოთამაშეც. ერთადერთი, ვინც ეს პრიზი ორჯერ მოიგო დანიელ ნეგრეანუ გახლავთ. იგი წლის საუკეთესო მოთამაშე 2004 და 2013 წლებში გახდა. სამწუხაროდ, ნეგრეანუს, ისევე როგორც ბევრ სხვა ძლიერ მოთამაშეს (ფილ აივი, ტომ დუანი და სხვა) „მეინ ივენთი“ არასდროს მოუგია და, იქიდან გამომდინარე, რომ ამ ტურნირზე ყოველ წელს სულ ცოტა 6,000 ადამიანი მაინც თამაშობს, ძნელი წარმოსადგენია, რომ ოდესმე მოიგოს.

საქართველო

საქართველოში პოკერის პოპულარობა ქართული ონლაინ პოკერ რუმების გამოჩენის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა. ხშირად ერთ-ერთ საიტზე ერთბაშად 5-6 ათასი ადამიანი თამაშობს. ჯერჯერობით საერთაშორისო არენაზე სერიოზული და ხმაურიანი წარმატების შესახებ საუბარი ადრეა, მაგრამ ნელ-ნელა, საერთო მარაქაში ქართველი მოთამაშეებიც ერევიან. ცოტა ხნის წინ თბილისში ორი ტურნირი, MPN Poker Tour და WPT National Event გაიმართა, რაც უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია. ქართველმა მოთამაშეებმა არა მხოლოდ გამოცდილება მიიღეს, არამედ რამდენიმე ტურნირი მოიგეს კიდეც, რაც მეტყველებს იმაზე, რომ პოკერი საქართველოშიც ვითარდება. იმედია, უახლოეს წლებში ქართველი მოთამაშეები WSOP-ის რომელიმე ტურნირის მოგებასაც შეძლებენ, რაც ჩვენი თანამემამულე სპორტსმენის მიერ სპორტის ამა თუ იმ სახეობაში, ოლიმპიადაზე ან მსოფლიოს ჩემპიონატზე მოგებული ოქროს მედლის ტოლფასი წარმატება იქნება.

დანიელ ნეგრეანუ

ფილ ჰელმუტი

სტუ ანგერი



იოჰან კრუიფის „ფეხბურთის ფილოსოფია“

თარგმანი: დავით კოვზირიძე

თავი V

„მნიშვნელოვანია ისეთი მწვრთნელების არსებობა, რომლებიც მოთამაშეებს ფეხბურთს როგორც ხელოვნებას, ისე შეაყვარებენ“.
იოჰან კრუიფი

მწვრთნელთა უმეტესობას (უფრო თეორეტიკოსებს, ვიდრე პრაქტიკოსებს) შეცდომა დასაწყისშივე მოსდის, როცა ჰგონიათ, რომ შვიდი-რვა წლის ბავშვებს გამარჯვების სურვილი, ამბიცია არ გააჩნიათ. ეს საშინელი შეცდომაა! თქვენ ვერ წარმოიდგენთ, გამარჯვების რამხელა ჟინი ამოძრავებთ მათ! მე ვიტყოდი, უფრო დიდი, ვიდრე ბევრ უფროსს.

როგორც წესი, ბავშვები ყველაზე სასტიკები არიან. თავად გაიხსენეთ – ბავშვობისას ალბათ გყავდათ მეგობრები, რომლებიც ფეხბურთს ცუდად თამაშობდნენ და როცა ეზოში ბურთაობდით, ყველანაირად ცდილობდით, რომ ისინი თქვენს გუნდში არ მოხვედრილიყვნენ. გსურდათ, გუნდში საუკეთესოები გყოლოდათ, თუნდაც ის მოსისხლე მტერი ყოფილიყო. მატჩის შემდეგ ძველებურად აგრძელებდით ძმაკაცობას თქვენს მოუხერხებელ მეგობართან. და ახლა მე ვკითხულობ – რა არის ეს, თუ არა გამარჯვების წყურვილი?

ყველა მწვრთნელი ბავშვისთვის გამარჯვებულის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებას ცდილობს. არადა, მთავარი სულ სხვაა – პატარების საუკეთესო თვისებების სრულყოფა, ნაკლოვანებების გამოსწორება და ყველაფერი ეს – მათი თავმოყვარეობის შეულახავად.

ამიტომაცაა მნიშვნელოვანი ისეთი სპეციალისტების არსებობა, რომლებიც ფეხბურთს ხელოვნებად აღიქვამენ და ამ თვისებას შეგირდებსაც უნერგავენ. ჩვენ ფეხბურთის საწყის ეტაპს უნდა დავუბრუნდეთ, რომელიც აშკარად ცხადყოფს – სპორტის ეს ფანტასტიკური სახეობა შეიქმნა თამაშის პროცესში სიამოვნების მისაღებად და არა აქეთ-იქით სარბენად, ოფლის საღვრელად.

თამაშში გამოსაყენებელი ყველაზე ეფექტური იარაღია ტექნიკური შესაძლებლობებისა და ჯანსაღი აზრის შერწყმა, თანაარსებობა. ტექნიკა ბავშვობიდან ისწავლება. ხშირად მეკითხებიან: როგორ შეიძლება ეს ვასწავლოთ პატარებს, რომლებიც უკვე ვარჯიშობენ, თამაშობენ გუნდებში და გამოდიან შეჯიბრებებზე. მახსოვს, როდესაც ამსტერდამის „აიაქსს“ ვწვრთნიდი, ხანდახან ათი წლის ბავშვებსაც ვავარჯიშებდი, თუმცა ეს საფეხბურთო მოედანზე კი არა, ცარიელ ავტოსადგომზე ხდებოდა. რატომ? იმიტომ, რომ იქ გაცილებით მეტის სწავლაა შესაძლებელი.

თუ შენ თამაშობ კარგ მოედანზე, უმაღლესი ხარისხის საფარზე, მეტოქესთან შეჯახებისას ან სხვა ექსტრემალურ სიტუაციაში გაზონზე ეცემი, არაფერი მოგდის – წამოდგები, ჩამოიფერთხავ მტვერს და ერთ წუთში დაცემა აღარც გახსოვს.

ავტოსადგომზე კი სხვა მდგომარეობაა: შეტაკებისას ვარდები ასფალტზე, ძალიან გტკივა, მოგდის სისხლი. ამიტომ იძულებული ხდები, სწორად მოძრაობა ისწავლო, ირბინო და იაზროვნო სხვებზე ორიოდ წამით სწრაფად. ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალი (საფარი), სინამდვილეში რამდენიმე ასპექტის გამომუშავებაში გვეხმარება. ესენია: პოზიციის შერჩევა, ბურთის კონტროლი, სისწრაფის რეგულირება, კონცენტრაცია. მომავალში ეს შენც გამოგადგება და შენს გუნდსაც.

გაზონის ბეტონით შეცვლით, არაორდინალურ სიტუაციაში აღმოჩენით, ბავშვი სწრაფად აზროვნებას ეჩვევა, სწავლობს, რომ ბურთთან პირველმა მიირბინოს, სხვებს დაასწროს; ბურთს აღარ იჭერს ზედმეტად და დროულად აკეთებს პასებს.

ფიზიკურად სუსტი მოთამაშეებისგან განსხვავებით, ძლიერები ასე ალბათ არასდროს ივარჯიშებენ, მაგრამ შემდგომში, როცა ორივეს თვრამეტი წელი შეუსრულდება, მათ შორის აუცილებლად იქნება განსხვავება; რასაკვირველია, სუსტის უპირატესობით. იგი უფრო ადრე მიხვდება, როგორ განვითარდება მოვლენები მატჩის მსვლელობისას, აჯობებს კონკურენტს სისწრაფეში და გადაწყვეტილების მისაღებადაც ნაკლები დრო დაეხარჯება.

ჩემი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში ეს ვითომ უმნიშვნელო დეტალები ყველაზე რთულ მომენტებში მეხმარებოდა. ჯერ კიდევ ბავშვობაში აქცენტს ტექნიკაზე ვაკეთებდი, რათა აშკარა ფიზიკური ნაკლოვანებები დამემალა. იმის თქმა არ მინდა, რომ სხვებზე მეტს ვვარჯიშობდი, უბრალოდ, ყველასთვის გამოყოფილ დროს საოცრად რაციონალურად ვიყენებდი. ყოველთვის მჯეროდა და ახლაც დარწმუნებული ვარ – ყოველ ნაკლს თავისი უპირატესობა აქვს. თუ დაბალი ვარ, სხვებზე სხარტი უნდა ვიყო. თუ ფიზიკურად სუსტი ვარ, სხვებზე ჭკვიანი უნდა ვიყო, სხვა არაფერი დამრჩენია.

პერსპექტიული ბიჭები თავიანთი ნიჭის დადებით მხარეებს დროთა განმავლობაში კარგავენ; კარგავენ მწვრთნელთა უნიათობის გამო. ამიტომაცაა დღეს ძალიან ძნელი ისეთი ფეხბურთელების პოვნა, როგორებიცაა აიმარი და სავიოლა. შეუძლებელია არ დაეთანხმო მარკო ვან ბასტენის, ექსტრა კლასის მოთამაშის სიტყვებს: „თუ გავიხსენებთ, რომ კარიერის განმავლობაში დაახლოებით ათი მწვრთნელი გამოვიცვალე, მაშინ ესეც უნდა ითქვას – რაღაცეები ერთმა მათგანმა მასწავლა, სამს არაფერი დაუშავებია, ხოლო დანარჩენებმა ხელი შემიშალეს“.

ამ მხრივ აშკარად გამიმართლა – ჩემს მწვრთნელებს უყვარდათ ფეხბურთი და აფასებდნენ მას. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად მოვიკოჭლებდი, გამუდმებით მაძლევდნენ თამაშის საშუალებას. ჩემი აღნაგობიდან გამომდინარე, საჯარიმოს გარედან დარტყმებს ვერ ვასრულებდი. ეს კოშმარი იყო! ხშირად ბურთს კარამდეც ვერ ვაწვდენდი.

თუმცა, მწვრთნელები სულ იმის ცდაში იყვნენ, ეს ნაკლი და კომპლექსები დამეძლია. ისინი ჩემი მომზადების პროგრამაში სპეციალურ ვარჯიშებს რთავდნენ კუნთების განვითარებისთვის, სიჩქარის სტიმულირებისთვის... ამასთან, თვალყურს ადევნებდნენ, რომ არ დავღლილიყავი. ისინი არასდროს ცდილობდნენ ჩემი სტილის შეცვლას.

მთელი ჩემი სამწვრთნელო მუშაობა თითოეული ფეხბურთელის შესაძლებლობების ანალიზს ეფუძნება. შენ ამ ადამიანის სათამაშო სტილი მაქსიმალურად უნდა განავითარო, რათა მერე ის ბოლომდე გახსნილი ჩაეწეროს გუნდში და თამაშში ხელი კი არ შეეშალოს, არამედ კიდევ უფრო დაიხვეწოს.

ვენდეტა არგენტინულად

ბიძინა ბარათაშვილი

ნეიტრალური მაყურებლისთვის სამწუხაროდ, *წლევანდელ კოპა ამერიკაზე არ შედგა სამხრეთამერიკული „სუპერკლასიკო“: არგენტინა — ბრაზილია. მეოთხედფინალში „სელესაომ“ პენალტებით წააგო პარაგვაისთან და გამოეთიშა ასპარეზობას, არგენტინამ კი მომდევნო ეტაპზე იმავე მეტოქეს 6-1 მოუგო!*

ამ ორი საფეხბურთო სუპერსახელმწიფოს ურთიერთობაზე ბევრი დაწერილა და ალბათ მომავალშიც დაიწერება. დღეს გვინდა, გავიხსენოთ რამდენიმე ეპიზოდი მათი დაპირისპირების ისტორიიდან და მოგიყვეთ ამბავი, რომელიც 1946 წლის „კოპა ამერიკას“ გათამაშების დროს მოხდა.

არგენტინულ-ბრაზილიური საფეხბურთო დუელი გასული საუკუნის დასაწყისში, 1913 წელს იღებს სათავეს, როცა არგენტინის შეიარაღებული ძალების გენერალ-ლეიტენანტმა ხულიო როკამ დააწესა თასი, რათა ორი ქვეყნის ახალგაზრდობას „სპორტის ახალი, კეთილშობილური სახეობის კულტივირებისა და პოპულარიზაციის სტიმული გასჩენოდა“.

მართლაც, იმ პერიოდში ფეხბურთს არც კეთილშობილება აკლდა და არც რაინდობა. 1914 წელს ბუენოს აირესში ჩამოსულ ბრაზილიის ნაკრებს ადგილობრივი გულშემატკივრები ნავსადგურში ყვავილებით დახვდნენ. „ხიმნასია ი ესგრიმას“ სტადიონზე გამართულმა მატჩებმაც შესაბამის ატმოსფეროში ჩაიარა. პირველ მათგანში მასპინძლებმა 3-0 გაიმარჯვეს, მეორეში კი ბრაზილია, რუბენ სალესის შორეული დარტყმის შედეგად, იგებდა, როდესაც არგენტინელმა ლეონარდიმ გააყაიმა. ბრაზილიელმა არბიტრმა, ალბერტო ბორჟერტმა ვერ შეამჩნია, რომ დარტყმამდე ლეონარდიმ ბურთი ხელით გაისწორა, მაგრამ ფეხბურთელმა თავად მიირბინა მსაჯთან, დანაშაული აღიარა და გოლი გააუქმებინა. ანგარიში აღარ შეცვლილა, სტუმრებმა მოიგეს, ხოლო არგენტინულმა ინჩადამ ხელში აიტაცა გამარჯვებულთა მეკარე მარკოს მენდოსა და შესანიშნავი თამაში მინდვრის გარშემო დარტყმული საპატიო წრით დაუფასა!

დღეს ასეთი რამ უკვე წარმოუდგენელია! ორი ქვეყნის გულშემატკივართა პატრიოტიზმი დიდი ხანია შოვინიზმში გადაიზარდა და მუდმივი ქიშპობის „რეჟიმში“ ვითარდება.

20-იანი წლებიდან მოყოლებული, არგენტინელებმა დაიწყეს ფსიქოლოგიური შტურმი და მეზობლებს დამამცირებელი მეტსახელი „მაკაკიტოსი“ შეარქვეს, რითაც მათ რიგებში ფერადკანიანთა გამოჩენას დასცინოდნენ.

„რაო, მართალია, რომ რიოში ტელეფონები გაჩნდა, თუ თქვენთან, ქალაქის ცენტრში ჯერაც მაიმუნები სხედან ტოტებზე?“ — აღიზიანებდნენ ბრაზილიელებს „პლატინოსები“, რომელთა დედაქალაქიც იმხანად „სამხრეთამერიკულ პარიზად“ იწოდებოდა, კონტინენტზე ყველაზე ევროპულ ქალაქად ითვლებოდა და კულტურული განვითარების დონით აშკარად აღემატებოდა ლათინეთის ყველა დედაქალაქს. ზოგადად, სამხრეთ ამერიკაში ხშირად აღნიშნავენ არგენტინელთა ამპარტავნობასა და ქედმაღლობას. სტუდენტობისას ჩემმა უფროსმა მეგობარმა, ალექსანდრე რონდელმა ლათინურ ამერიკაში პოპულარული ხუმრობაც გამაცნო: „რა არის საუკეთესო ბიზნესი? იყიდო არგენტინელი მის რეალურ ფასად და გაყიდო იმ თანხად, რომელსაც თავად მიიჩნევს სამართლიანად!“

20 წლის ადემირმა სათამაშო შეტაკებისას ფეხი მოტეხა მეტოქის მცველ ბატალეროს, ბრაზილიელმა შიკომ კი უმოწყალოდ ჩეხა ყველა, ვისაც კი მიეკარა.

სხვათა შორის, ნაწილობრივ ამას თვითონ არგენტინელებიც აღიარებენ. 1869-74 წწ. არგენტინის პრეზიდენტი, პუბლიცისტი ხოსე სარმიენტო წერდა: „ნებისმიერი სოციალური მდგომარეობის არგენტინელს, განურჩევლად განათლებისა, ახასიათებს საკუთარი ნაციის მნიშვნელობის ჰიპერტროფირებული აღქმა. შეურაცხყოფილი მეზობლები ამას ხშირად გვსაყვედურობენ და არცთუ უსაფუძვლოდ, მაგრამ მე ეს სულაც არ მაღელვებს – ცოდვაა ის ერი, რომელსაც არ სჯერა საკუთარი შესაძლებლობების!“

30-40-იანი წლების მიჯნაზე არგენტინამ ზედიზედ ოთხჯერ მოიპოვა „როკას თასი“, თანაც საძულველი მეტოქე რამდენჯერმე დაამცირა (5-1, 3-0, 6-1).

ამ თამაშებიდან პირველი 1939 წლის 15 იანვარს „სან ჟანუარიოზე“, ბრაზილიელი არბიტრის, მონტეიროს (მეტსახელი „ტიჟოლო“ – „აგური“) მსაჯობით ჩატარდა და მასპინძელთა განადგურებით დასრულდა — 1-5! ქვეყანა შოკში ჩავარდა. ბრაზილიელებს არ ესმოდათ, როგორ შეიძლებოდა „შავ მარგალიტ“ ლეონიდასს, „ღვთიურ მასწავლებელ“ დონიგოსს, „დიად“ ტიმს, „გაუვალ მცველ“ მაშადოსა და მარცხენა გარემარბ ერკულესს ასე უსისხლოდ დაეთმოთ საშინაო თამაში.

ერთი კვირის თავზე გამართული რევანში კიდევ უფრო სკანდალური გამოდგა. ბრაზილია კვლავ აგებდა, როცა იმავე მსაჯმა – „აგურმა“ ჯერ ადილსონს გაათანაბრებინა, მერე კი სტუმართა კარში გამოგონილი პენალტი დანიშნა, რისთვისაც არგენტინელი არკადიო ლოპესისგან ალიყული მიიღო. არგენტინელები გასახდელში გაჰყვნენ გაძევებულ ლოპესს, პერასიომ კი პენალტი ცარიელ კარში დაარტყა და ბრაზილიამ 3-2 მოიგო.

ბრაზილიისთვის არასახარბიელო სერია გაგრძელდა „კოპა ამერიკაზეც“. 1942 წელს არგენტინამ 2-1 იმარჯვა მონტევიდეოში, 1945 წელს 3-1 ჩილეში. მომდევნო წელს კი „სელესაოს“ უკვე მშობლიურ ბუენოს-აირესში დაუხვდა.



ჟაირ დე პინტუ

შიკო

თუმცა, იქამდე ბრაზილიამ, როგორც იქნა, სრულფასოვანი რევანში აიღო „როკას თასზე“ – 6-2. მაგრამ აქ ორი უსიამოვნო ამბავი მოხდა. 20 წლის ადემირმა სათამაშო შეტაკებისას ფეხი მოსტეხა მეტოქის მცველ ბატალეროს, ბრაზილიელმა შიკომ კი უმოწყალოდ ჩეხა ყველა, ვისაც კი მიეკარა.
პასუხად, არგენტილებმა საშინაო „კოპაზე“ ჩამოსვლა არ ურჩიეს არც ადემირს და, მით უმეტეს, არც შიკოს, რომელიც არგენტინის წინააღმდეგ ჩატარებულ 10 შეხვედრაში 9-ჯერ გააძევეს მინდვრიდან!!!

გაისმა ძვლის მსხვრევის საზარელი ხმა და არგენტინელის ყვირილი – სალომონს ფეხი ორ ადგილას მოსტყდა (ფეხბურთი მას აღარ უთამაშია)!

ისტორიული მატჩი 1946 წლის 10 თებერვალს ჩატარდა. დაწყებამდე მასპინძელთა კაპიტანმა ხოსე სალომონმა დომინგუს და გიას ყვავილების თაიგული კი მიართვა, მაგრამ პარალელურად მინდვრის კიდეზე საკაცით ჩამოატარეს ფეხმოტეხილი ბატალერო, რასაც ინჩადა გამაყრუებელი ღრიალით შეხვდა: „Mira, Mira (შეხედეთ, შეხედეთ!)!“
თამაშის 28-ე წუთზე ბრაზილიელი ჟაირ დე პინტუ და სალომონი ბურთისთვის ბრძოლაში შეასკდნენ ერთმანეთს. გაისმა ძვლის მსხვრევის საზარელი ხმა და არგენტინელის ყვირილი — სალომონს ფეხი ორ ადგილას მოსტყდა (ფეხბურთი მას აღარ უთამაშია)! პინტუსკენ რამდენიმე თვალებანთებული არგენტინელი დაიძრა — დადგა ანგარიშსწორების ჟამი! ჟაირი გასახდელისკენ გაიქცა, მის დასაცავად ელენო დე ფრეიტასმა გაიწია, ჩხუბში შიკოც ჩაება, რომელსაც მალე სრულიად არგენტინა სცემდა — ხელებით, ფეხებით და...
პოლიციის ხელკეტებითაც კი, რადგან გარჩევაში ადგილობრივი სამართალდამცავებიც ჩაერთვნენ. ტრიბუნიდან მინდორზე შემოიჭრა ბრაზილიელი მსაჯი მარიო ვიანა, რომელმაც ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და ყველა მომხდურს მოკვლით ემუქრებოდა...
სიტუაციის განმუხტვა მხოლოდ ცხენოსანი სპეცრაზმის მეშვეობით მოხერხდა, მაგრამ მთავარი სიურპრიზი ჯერ კიდევ წინ იყო. გასახდელში გამოკეტილ შეშინებულ ბრაზილიელებს, რომლებიც სამშობლოში დაბრუნებაზეღა ოცნებობდნენ, მატჩის არბიტრი და პოლიციის შეფი გამოეცხადნენ და მინდორზე გასვლა მოსთხოვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, პოლიციის კორდონის მოხსნას დაჰპირდნენ!!!
„სელესაო“ დაბრუნდა, წყნარად გაუშვა 2 გოლი ნორბერტო მენდესისგან, არც შეცვლაზე შესული ადემირისთვის თავის გატეხა გააპროტესტა (ბატალეროს მოტეხილი ფეხი ჯერაც სამაგიეროს ითხოვდა!) და ისევ გასახდელს, იქიდან კი ლა პლატაში მოდარაჯე ჰიდროპლანს მიაშურა.
მხოლოდ რიოში გაირკვა, რომ პანიკაში მყოფ პარტნიორებს ბუენოს აირესში შიკო დარჩენიათ! ღვთის მადლით, ბრაზილიელი სიკვდილს გადაურჩა და პოლიციის ესკორტის თანხლებით მიაღწია საზღვრამდე.
შემდეგომი ათწლეულის მანძილზე ბრაზილიელებს არგენტინაში მგზავრობის გაგონებაც არ სურდათ. თავის მხრივ, არგენტინამაც იუარა ჯერ 1949 წლის „კოპა ამერიკაზე“ სან პაულუში ჩასვლა, მომდევნო წელს კი ბრაზილიის მუნდიალიც გამოტოვა...

HAIR

Ctrl + P
Joint Austrian-Georgian Company
Your Print
Management Partner
Official Partners - Printing Houses
in Austria, Turkey and Georgia.
19/21 Mtskheta str., Tbilisi, 0179, Georgia,
Tel: +995 32 238 19 08, Cell: +995 597 95 55 01

ფრანგი გამთამაშებლის სასიკვდილო დიასახლისი

ლევან სალუქვაძე



ტონი პარკერი

– დაიბადა 1982 წლის 17 მაისს,
სიმაღლე – 188 სმ, კ
ალათბურთელი.
ტიტულები NBA-ის ოთხგზის ჩემპიონი,
All Star-ის ექვსგზის მონაწილე,
ფინალური მატჩის MVP,
ევროპის ორგზის საუკეთესო კალათბურთელი.

ევა ლონგორია

– დაიბადა 1975 წლის
15 მარტს,
სიმაღლე –157 სმ,
მსახიობი, მოდელი.

ქვეყანაზე ბევრი „სელებრითი“ წყვილი შექმნილა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი მართლაც გამორჩეული იყო. ამ „ტანდემს“ თავის დროზე იდეალური წყვილის ეტალონი შეარქვეს.
ტეხასში დაბადებულ ევას ბავშვობაში თავი ნაშვილები ეგონა, ვინაიდან ოჯახში ის მეოთხე და იყო და, უფროსი ქერა, ცისფერთვალება დედმამიშვილებისგან განსხვავებით, მას მუქი თმები და თვალები ჰქონდა. პრანჭია დებს სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ, როდესაც მომავალი მსახიობი დღე და ღამე ბიჭებთან ერთად ბურთს დასდევდა. ის უკვე საკმაოდ დიდი იყო, როდესაც მიხვდა, რომ წარმატებული დარტყმის შემდეგ თანაგუნდელი ბიჭები ზედმეტად თბილად „ულოცავდნენ“ გოლს. შემდეგ დების ჯინაზე ჯერ სკოლის სილამაზის კონკურსში მიიღო მონაწილეობა, მერე ქალაქის, დაბოლოს, შტატის ულამაზესი გოგონას ტიტულიც მოიპოვა. ასე გადაიქცა სძაგელი ჭუკი ვედად და პირდაპირ შოუბიზნესში შეცურა, სადაც ადგილის დამკვიდრება არ გასჭირვებია და ტელესერიალებში შესრულებული რამდენიმე როლის შემდეგ მისი გარეგნობით მოხიბლული უამრავი თაყვანისმცემელი გაიჩინა. მათ შორის გახლდათ მისი კოლეგა, სიმპათიური ახალგაზრდა, ტაილერ კრისტოფერი, რომელიც გახდა კიდეც ლონგორიას პირველი მეუღლე. თუმცა, ევას კარიერა ძალიან სწრაფად ვითარდებოდა და ის მნიშვნელოვნად წინ უსწრებდა მეუღლისას. სწორედ იმ პერიოდში დაიწყო სერიალ „სასოწარკვეთილი დიასახლისების“ გადაღება, რომლის მეშვეობითაც ევა ლონგორია ნამდვილ ვარსკვლავად იქცა. წყვილი მალე დაშორდა ერთმანეთს და თავისუფალმა ლამაზმანმა „აიწყვიტა“. იგი პოპულარობის პიკზე იყო, ბევრს „ფლირტაობდა“, აბამდა მოკლე რომანებს (და კაცებს), შემდეგ თვითონვე მიატოვებდა ხოლმე მდიდარ და გავლენიან თაყვანიმცემლებს. მოკლედ, ერთობოდა და ცხოვრობდა ლაღად, სანამ... „სან ანტონიო სპურზის“ მატჩზე არ მოხვდა. ამ გუნდში კი თამაშობდა ტონი პარკერი. ის ბელგიაში დაიბადა. კარგი გარეგნობითა და აღნაგობით მამამ, კალათბურთელმა ტონი პარკერმა უფროსმა და დედამ, ჰოლანდიელმა მოდელმა პამელა ფორსტუნმა უზრუნველყვეს. ბავშვობაში ტონი ფეხბურთით იყო გატაცებული და კალათბურთის გაგონება არ უნდოდა, სანამ შემთხვევით მაიკლ ჯორდანზე გადაღებული დოკუმენტური ფილმი არ ნახა. ამის შემდეგ ის მამის გზას დაადგა და ევროპაში კარგი სტარტის შემდეგ უმთავრეს ლიგაში აღმოჩნდა. „სან ანტონიო სპურზმა“ ის დრაფტზე აიყვანა.
მოკლედ, ერთ-ერთი მატჩის შემდეგ წყვილი ერთმანეთს წარუდგინეს. მანამდე ევას სიყვარულის არ სჯეროდა და ამ გრძნობას აგდებითაც მოიხსენიებდა. პარკერმა კი ვარსკვლავი ვერ იცნო, ის ტელესერიალებს არ უყურებდა და დიასახლისები, მათ შორის სასოწარკვეთილნიც, არ მოსწონდა. მიუხედავად ამისა, ერთმანეთით მოხიბლულებმა „მესიჯ-ფლირტი“ გააბეს და მხოლოდ ერთი თვის თავზე გაბედეს პაემანზე შეხვედრა. ასე დაიწყო რომანი, რომლის მომსწრენიც აღტაცებას ვერ მალავდნენ. საოცრად სიმპათიური ტონი, უჭკვიანესი, ფენომენალური სისწრაფის მქონე გამთამაშებელი, რომელსაც თურმე არა მარტო მოედნის, არამედ მისი შემოგარენის ბრწინვალე ხედვა აღმოაჩნდა, და საოცრად სექსუალური, მექსიკურ-ესპანური სისხლის მქონე, მიჯნურზე შვიდი წლით უფროსი ლამაზმანი, ერთად მართლაც საოცარი სანახავები იყვნენ. ორწლიანი რომანის შემდეგ ტონიმ ლოს ანჯელესში ჩააკითხა შეყვარებულს და გადასაღებ მოედანზე ხელი სთხოვა. „ისე ნერვიულობდა, რომ მის შემხედვარეს ტირილი ამიტყდა, – სიცილით იხსენებდა ლონგორია ამ მომენტს, – პასუხიც ვერ გავეცი, მაგრამ ჩემი ცრემლები თანხმობას ნიშნავდა“. წყვილმა ქორწილის თარიღად 07.07.07 აირჩია. ჯვრისწერას სენ ჟერმენის ტაძარ ლოსერუაში 250 სტუმარი დაესწრო. თაფლობის თვე კი წყვილმა კარიბის კუნძულებზე გაატარა.
„ჩვენ აბსოლუტურად განმარტოებით ვცხოვრობდით ორი კვირა, თუმცა ვინმე სად უნდა გვენახა, როდესაც ნომრიდან ფაქტობრივად არც კი გამოვსულვართ“, – გულს უხეთქდა თავის და მეუღლის თაყვანიმცემლებს ევა ლონგორია. მსახიობმა ასაკის სხვაობის უპირატესობა გამოიყენა და კალათბურთელს BABY შეარქვა. პარკერს ზედმეტ სახელთან შეუფერებელი ფანტაზიები აღმოაჩნდა და როგორც ყვითელი პრესა წერდა, თურმე საწოლზე მიბმითაც კი „ანებივრებდა“ ახლადშეძენილ, ისედაც „სასოწარკვეთილ დიასახლისს“.
სამწუხაროდ, ასეთ ლამაზ სასიყვარულო ისტორიასაც შეიძლება სევდიანი დასასრული ჰქონდეს. ევა ლონგორიამ სასამართლოს პარკერთან განქორწინება მოსთხოვა. მიზეზი არ გახმაურებულა და კულტურული, ჰოლივუდური წყვილების გაყრის შაბლონი ბოლომდე დაიცვეს, რაც იურიდიულ ენაზე ასე ჟღერს: ხასიათების შეუთავსებლობა. მაგრამ თანდათან ჟურნალისტებმა მაინც მიაკვლიეს წყვილის დაშორების მიზეზს: მას ქალის სახელი – ერინ ბერი – ჰქონია. ეს ქალბატონი თურმე ტონის ყოფილი თანაგუნდელის, ბრენტ ბერის ყოფილი მეუღლე აღმოჩნდა, რომელიც თურმე „შემთხვევითი დამთხვევით“ ქმარს პარკერების სკანდალამდე ორი კვირით ადრე გაჰყრია. ყოველ შემთხვევაში, პრესის წარმომადგენლების კითხვას, როგორ მოახერხეთ ასეთი წყვილის დაშორებაო, ერინმა სიტყვების ნაცვლად, მხოლოდ ცრემლებით უპასუხა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქალბატონი ბერი მას შემდეგ პარკერის გარემოცვაში აღარ უნახავთ. თუმცა, ეს იმ ასობით მოკლე ტექსტურ შეტყობინებას, სპორტსმენის სმარტფონიდან მარტივად, მაგრამ მსახიობის მეხსიერებიდან ვერაფრით ამოშლიდა.
ტონი პარკერმა და ევა ლონგორიამ შვიდი წელი გაატარეს ერთად. ამდენი შვიდიანის (ამბობენ, შეყვარებულთათვის ბედნიერი რიცხვიაო) მიუხედავად, წყვილი ერთმანეთს მაინც დაშორდა!!! რამდენიმე წელიწადში კალათბურთელმა თანამემამულე ჟურნალისტზე, აქსელ ფრანსინზე იქორწინა. მათ ბიჭი შეეძინათ. ევა ლონგორია კი ბოლოხანს თავისუფალ დროს ლათინური ამერიკის მედიაჰოლდინგის მეპატრონე ჟოზე ანტონიო ბასტონთან ერთად ატარებს. თავს თითქოს ორივე ბედნიერად გრძნობს, ერთმანეთზე განქორწინების შემდეგ ცუდი არაფერი უთქვამთ, დღემდე სანიმუშო მეგობრებად რჩებიან, მაგრამ... ზოგიერთი მათი დაკვირვებული ახლობლის მზერას თუ ვენდობით, ისინი დღემდე არ არიან ერთმანეთისადმი გულგრილნი.

ერინ ბერი

მსმელები

ბიო ახვლედიანი

ინგლისური ფეხბურთი და სმა ერთი ძველი და ცნობილი ამბავია. თამაშის შემდეგ გადახუხვა ყოველთვის წესი იყო. ეს ფეხბურთელობის ძველი ყოველდღიურობიდანაც მოდის. როგორც მუშათა წრის თამაში, ფეხბურთიც მუშური ცხოვრების ადათებს მისდევდა. პარასკევ საღამოს მუშა კაცი ხელფასს იღებს და რჯულზე უნდა გამოთვრეს. ამის თაობაზე ჯერ კიდევ ჩაპლინმა გადაიღო ფილმი. გალეშვის, როგორც დასვენების ერთადერთი და ყველაზე იაფი საშუალების, კულტურა უძველესია.

ფეხბურთელი კი ძველ დროში იგივე მუშა კაცია. ის არა მხოლოდ მუშათა წრიდანაა, არამედ ხელფასს ფეხბურთის თამაშში იღებს, რაც სპორტსმენთა შორის მას მოკრივეების გვერდით აყენებს, რადგან სპორტი უფრო მაღალი ფენის ადამიანისთვის მხოლოდ სამოყვარულო რამაა და სპორტსმენობაში ფულის აღება მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ იმ კაცს არც განათლება ჰქონია, არც სამსახური და ბევრი არც სხვა რამ შეუძლია ცხოვრებაში, გარდა ბურთის ხათქუნისა.

ასე იყო ძველი დროის ინგლისში, მაშინ როდესაც ფეხბურთი პროფესიულ თამაშად ყალიბდებოდა და სხვანაირად ვერც იქნებოდა, რადგან ეს უბრალო ხალხის თამაში გამოდგა. უბრალო ხალხი კი უბრალოდაც ცხოვრობს. მაშინ ამას მუშათა კლასი ერქვა. ახლაც ასე ჰქვია. მაშინ ფეხბურთელები მხოლოდ მუშათა კლასიდან გამოდიოდნენ. სტუდენტი არასდროს შეიქნებოდა ფეხბურთელი, ის უფრო რაგბის და სხვა სამოყვარულო სპორტებს მისდევდა. სპორტით თავის შენახვას არ აპირებდა და ღირსების თამაშები კი ტრადიციულად სხვა იყო. ახლაც ასეა. ფეხბურთელები ინგლისში კვლავაც მუშათა კლასის შვილები არიან. ინგლისის მუშათა კლასს კი თავისი ადათები, უნარ-ჩვევები და მენტალიტეტი აქვს.

სერ სტენლი მეთიუსი ალბათ ერთადერთი ფეხბურთელი იყო მთელი საუკუნის განმავლობაში, რომელსაც სასმელი არათუ არ დაულევია, არც კი გაუსინჯავს. ის სტოკელი დალაქის შვილი გახლდათ და ფეხბურთი ოცდათხუთმეტ წელინადს ითამაშა. სამაგალითო იყო ყველასთვის და ყოველთვის, როგორც სპორტსმენი, როგორც ჯენტლმენი და როგორც პეწიანი ფეხბურთელი. თუმცა, მისი მაგალითი მხოლოდ მაგალითი იყო, რადგან ფეხბურთში სმის დიდი ტრადიცია არსებობდა.

ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მინდვრებზე

პოლ გასკოინი

ოცდაორ-ოცდაორი მთვრალი კაცი ერთმანეთს ეჯაჯგურებოდა, მაგრამ ბევრი დიდი და პატარა ფეხბურთელისთვის სმა ლოთობად იქცა და ლამის მთელი ცხოვრება წაიღო. ვინც გაუძლო, გამოძვრა და გადარჩა, ვინც არადა, ეს ისტორია დაუსრულებელია.

ჯიმი გრივსი, „ტოტენჰემის“ დიდი თავდამსხმელი საკუთარ წიგნში ჰყვებოდა, თუ როგორი ლოთი იყო; ტონი ადამსი, „არსენალის“ კაპიტანი, თავის წიგნში ჰყვებოდა, როგორ გამოდიოდა მოედანზე ნასვამი და როგორ ნიღბავდა თავის სიმთვრალეს. ჯორჯ ბესტი თავის წიგნში... ჯორჯ ბესტი პირველი ფეხბურთელია, რომელმაც საფეხბურთო წრეები გაარღვია და შოუს კაცი, მეხუთე „ბიტლი“ გახდა. მან პირველმა სცადა სიმთვრალის, გართობისა და ფეხბურთის შეხამება და რამდენიმე წელიწადს გაძლო. ბესტი ჩრდილოეთირლანდიელი იყო, ბელფასტიდან. ის დღემდე სამყაროს ერთ-ერთ გენიალურ ფეხბურთელად რჩება, თუმცა ასევე რჩება ერთ-ერთ გამოუსწორებელ ლოთად. უფეხბურთოდაც უნიჭიერესი ადამიანი, ბესტი თავს ყოველთვის ინახავდა, საბოლოოდ ღვიძლიც გადაუნერგეს, თუმცა სმას მაინც ვერ შეეშვა და გარდაიცვალა.

ეს ყველაფერი, გუნდური გადახუხვებისა და ღრეობების მიღმა ამბებია, ხოლო როცა გუნდი ქეიფობს, ის სრულიად ბუნებრივ რამედ ითვლება, თუ, რა თქმა უნდა, საქმე ჩხუბებამდე და პოლიციამდე არ მივიდა.

ახალი დროის უდიდესი ლოთი პოლ გასკოინი იყო. არაადამიანური ნიჭის ფეხბურთელი, რომელსაც სმამ თამაშის უნარიც დაუქვეითა და ერთ საბრალობელ, ავადმყოფობით ტანჯულ კეთილ და უსუსურ ადამიანად აქცია. გაზა იმასაც კი მოგვითხრობს, რომ საუკეთესო გოლები ნასვამს გაუტანია. მეტიც, ის მსოფლიო ჩემპიონატის დროსაც კი ახერხებდა სმას, როცა მწვრთნელის თვალის ასახვევად ბარმენს გაურგიდა და ის ვითომ რძეს უსხამდა, სინამდვილეში კი „ბეილისით“ უვსებდა დიდ ჭიქას.

ასეთი ისტორიები უთვალავია, ოღონდ ბესტიცა და გაზაც იმას ამბობდნენ, რომ ერთ დღეს და თანაც საკმაოდ მალე, ორგანიზმი ნებდება და ძველებურად ვეღარ დაფრინავ.

თუმცა, საქმე იმდენად ლოთობაში არ არის, რამდენადაც სწორედ საფეხბურთო დროსტარების ადათებსა და წესებში, რომლებშიც ვიღაც ლოთდება, ვიღაც საერთოდ არ სვამს, ვიღაც ხულიგნობს, ვიღაც, უბრალოდ, დროის მატარებელ კაცად რჩება. საბოლოო ჯამში კი, გამოდის, რომ ეს ღრეობაა.

ერთი უცხოელი ფეხბურთელი მიამბობდა, როგორ ღვრიდა ჩუმად მისთვის მოწოდებულ მორიგ კათხას, რადგან შეუძლებელი იყო, თანაგუნდელებს სმაში აჰყოლოდა.

უცხოელი ფეხბურთელების უკიდეგანო მდინარემ, რომელიც ინგლისურ საკლუბო ფეხბურთში შემოვარდა, ბევრი რამ შეცვალა მინდორზეც და მის გარეთაც. უცხოელები ნაკლებად ან სულ არ მისდევდნენ იმ ადათებს, რომლებიც აქაურ მინდვრებს გარეთ დამკვიდრებულიყო. კი, ქეიფი, დროსტარება, ვახშამი, მაგრამ პაბის დახლზე კათხით ხელში ცეკვა, ნურას უკაცრავად! ამიტომ, ცხადია, ბევრი რამ შეიცვალა. ერთგვარი კულტურათა დიალოგი, ან რაღაც ასეთი, შედგა.

წლების განმავლობაში ბევრი იწერებოდა ფეხბურთში სმის ტრადიციაზე და თითქოს მან ფერიც კი დაკარგა, რადგან ახალგაზრდა ლიდსელი ღრეობის ტრფიალი ჩხუბისთავების თაობის შემდეგ ფრონტის ამ ხაზზე დიდად თვალში საცემი აღარაფერი მომხდარა. მაგრამ, აჰა, გაჩნდა ახალი ვარსკვლავი, მთლად ყმაწვილი ჯეკ გრილიში, უკვე გადასარევი ფეხბურთელი, თითქოს ჭკუით გატენილი და ნიჭით დაპენტილი და, როგორც კი შვებულება მოიგდო, ჯერ აზოტის ქვეჟანგის მაცინებელი გაზის სუნთქვაში ჩაიჭირეს, რაც თავისთავად ბოლო წლების ამბავია ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის, მერე კი მიწაზე მძინარეს გადაუღეს სურათი კანარის კუნძულებზე, რაც თავისთავად იმის გაგრძელება იყო, რომ სხვა ფოტოებზე სრულიად ამპარტავნული იერით ეხუტებოდა სამლიტრიან არყის ბოთლს.

ჩანს, ინგლისურ ფეხბურთში არცთუ იოლი მოსაკლავია გალეშვის, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი დასვენების, სურვილი.

ალბათ მანამდე, სანამ კასრში ლუდი არ გათავდება.

არის ასეთი კომედია: „მაიკ ბასეტი, ინგლისის მწვრთნელი“. ფილმი ალბათ თხუთმეტი წლის წინაა გადაღებული, თუმცა დღესაც ცოცხალ სატირად რჩება; ალბათ მანამდე, სანამ კასრში ლუდი არ გათავდება.